

- მოსწავლეების შემეცნებითი ინტერესების დაკმაყოფილება;
- მოსწავლეებს შორის კომუნიკაციის წახალისება;
- საკუთარი შესაძლებლობების შეფასება;
- თვითგანვითარების ხელშეწყობა

ძვირფასო მასწავლებლებო!  
ჟურნალი „მასწავლებელი“ და ინტერნეტგაზეთი „Mastsavlebeli.ge“ წარმოგიდგენთ

მასწავლებლის წიგნს:  
„განმავითარებელი შეფასება სასწავლო პროცესში“



mastsavlebeli.ge

# მასწავლებლის წიგნი

განმავითარებელი  
შეფასება  
სასწავლო  
პროცესში

16

16



# მასწავლებელი <sup>№2(93), 2023</sup>

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის გამოცემა

ჟურნალი „მასწავლებელი“ საქართველოს ყველა სკოლაში უფასოდ რეიდება და ხელმისაწვდომია თითოეული მასწავლებლისათვის.

პროფესიული ჟურნალი „მასწავლებელი“ გამოდის ორ თვეში ერთხელ.

მთავარი რედაქტორი:  
ნატო ინგოროყვა

რედაქტორები:  
მანანა ბოჭორიშვილი,  
ნანა მაჭავარიანი

რედკოლეგია:  
ბერეკა შუკაკიძე,  
ნათია ნაცვლიშვილი

სტილისტი:  
ირმა ტაველიძე

დიზაინი:  
ბესიკ დანელია

მხატვარი:  
მამუკა ტყემელაშვილი

კორექტორი:  
ქეთევან ნიკოლეიშვილი

ნომერზე მუშაობდნენ:  
თამთა კობახიძე, ლევან ალფაიძე,  
მანანა სუხნიაშვილი,  
ქრისტინა სურგულაძე,  
ნასტასია არაბული, მკვა სახურია,  
ანა ლვინიანიძე, ქეთევან კობლაძე,  
ქეთევან ოსიაშვილი,  
თემურ სუყაშვილი,  
მაია ჯვალიაშვილი,  
ლელა კოტორაშვილი,  
ნათელა ბალატრიშვილი,  
მაია ფირჩხაძე, ინა იმედაშვილი,  
მაია იანტხელიძე,  
ელრზბარ ელიზბარაშვილი,  
ირმა კახურაშვილი,  
შორენა ტყემელაშვილი, ნინო ლომიძე

საკონტაქტო ინფორმაცია:  
მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი.  
მისამართი:  
თბილისი,

ზურაბ ანჯაფარიძის I შესახვევი №6,  
ელ. ფოსტა: info@tpdc.ge

ჟურნალში გამოყენებულია შრიფტი: FuturaBook Goe. ავტორი: კობა კურტანიძე. ყველა უფლება გათვინის ავტორს.  
ჟურნალში გამოქვეყნებულ პუბლიკაციებში გამოთქმული ზოგიერთი მოსაზრება, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრისა და „მასწავლებლის“ რედკოლეგიის შეხედულებებს. ცალკეულ სტატიებში დასახელებული ფაქტების უცვლარობაზე პასუხისმგებელია სტატიის ავტორი.

ISSN 1987-6149 UDC 371.1  
გ-374

www.tpdc.ge

## ნატო ინგოროყვა



ჩვენ ხშირად ვსაუბრობთ მომავალზე, ჩვენს პასუხისმგებლობაზე მომავლის წინაშე.

ხშირად ვსაუბრობთ მომავლის სკოლაზე, მომავლის პროფესიებზე, მომავლის მასწავლებლებზე.

ხშირად ვსაუბრობთ იმაზე, რომ სკოლამ მოსწავლეს მხოლოდ კონცეპტუალური განათლება კი არ უნდა მისცეს, არამედ მომავლის უნარებიც განუვითაროს.

ჯერ კიდევ 1917 წელს დიმიტრი უზნაძე „ზოგადგანმანათლებლო სკოლის ამოცანებში“ წერდა: „მომავლის სკოლა, რომლის მიზანი მოქალაქეობრივად განწყობილი ხასიათის აღზრდა იქნება, აუცილებლად ბევრს იფიქრებს სასკოლო ცხოვრებაში მჩქეფარე პრაქტიკულ საქმიანობაზე, რომელიც დღენიადაგ აღძრავს ბავშვებში თვითმოქმედებას, ინიციატივას, შეუპოვრობას. არსებითაა არა შეხედულებათა წრის შეთვისება, არამედ ხასიათისა და ნებისყოფის სამოქალაქო წრთობა. ეს მიზანი კი შეიძლება განხორციელდეს სასკოლო ცხოვრების პრაქტიკაში... სკოლა ხომ პატარა სახელმწიფოა და ამ სახელმწიფოს მოქალაქენი მისი აღსაზრდელები არიან. დაე, სკოლა დემოკრატიულად იყოს მოწყობილი. დაე, მისი მართვა, არსებითად, მოსწავლეთა ხელში გადავიდეს. მართვის ცოცხალი პრაქტიკა გამოაწრთობს მოზარდი თაობის მოქალაქეობრივ ხასიათს“.

თითქოს თანამედროვე სკოლის მიზანს აღწერდა ას წელზე მეტი ხნის წინ მეცნიერი... ასე რომ,

დემოკრატიის, განათლებისა და სკოლის როგორც საზოგადოებრივი ინსტიტუტის ურთიერთკავშირის შესახებ სამეცნიერო დისკუსია საუკუნეზე მეტი ხნისაა.


თანამედროვე სკოლის მდგომარეობის გასაზრებლად აუცილებელია, გვეკონდეს პასუხი კითხვაზე: რისკენ ისწრაფვის ჩვენი საზოგადოება?

თუ ისევ დიმიტრი უზნაძეს მივუბრუნდებით, ამავე ნაშრომში ის აღნიშნავს: „უდავოა, რომ დემოკრატია დაინტერესებულია შეგნებულ მოქალაქეთა აღზრდით, რომლებსაც უნარი ექნებათ, შემოქმედებითად ჩაერიონ სახელმწიფოს ცხოვრების განვითარების პროცესში“.

ჩვენ ხშირად ვსაუბრობთ იმაზე, რას ელის ჩვენი საზოგადოება სკოლისგან და რა არის სამოქალაქო საზოგადოება.

კითხვები საჭიროა. მათი არსებობა კრიტიკული აზროვნების მნიშვნელოვანი მახასიათებელია. მაგრამ როდესაც პასუხები ისევ იქ არის, ას წელზე მეტი ხნის წინ, ეს ნიშნავს, რომ ისინი კვლავ მოსაპოვებელია.

მთავარია, სკოლა და მასწავლებელი ისე არ დაშორდნენ მოსწავლეს, მის საჭიროებებს, მოთხოვნებსა და სულისკვეთებას, რომ ასი წლის შემდეგ პასუხები ისევ დიმიტრი უზნაძის ნაშრომებში ვეძებოთ.



## მოსაზრება

### თამთა კობახიძე

## 8 მასწავლებელთა წარმოდგენები სწავლა-სწავლებასა და სკოლაზე

მასწავლებლებს გადაწყვეტი რილი ენიჭებათ სწავლა-სწავლების ეფექტურად წარმართვის პროცესში. ხშირ შემთხვევაში, სწორედ სკოლა, სასწავლო გარემო და მასწავლებელი განსაზღვრავს მოსწავლის მოტივაციას სწავლისადმი დამოკიდებულების, საკუთარი თავის აღქმისა და მომავლის დაგეგმვის საკითხში.

### ლევან ალფაიძე

## 11 პროფესიის არჩევისა და თავისუფლების შესახებ

დღეს ადამიანური რესურსების კრიზისია. ამ ცნებაში (კრიზისში) სერიოზული პრობლემაა – ადამიანების უმეტესობას წარმოდგენაც კი არ აქვს, რა ხელეწიფება და რა უნარების პატრონია, რა ტალანტების მფლობელი.

### მანანა სეხნიაშვილი

## 39 ინტერესი, შთაგონება და წარმატება

სკოლის მიზანი ჰარმონიული, კრეატიული, კრიტიკულად მოაზროვნე პიროვნების აღზრდა უნდა იყოს და არა კონკრეტული საგნის სპეციალისტის. სწავლის მოტივაციის ფორმირება განათლების სფეროში ყველაზე მნიშვნელოვანი თემაა.

### ქრისტინა სურგულაძე

## 42 „საშინელი დავალება“

ყველა საგანს თავისი სპეციფიკა აქვს, თუმცა მჯერა, რომ რამდენიმე კვირაში ერთხელ მაინც შეიძლება ისეთ თემას მივადგეთ, რომელიც სახალისო დავალების მიცემის შთაგონებას მოგვცემს.

### ნანტასია არაბული

## 52 როცა ნიშნავს, როცა ბავშვს რაღაცის სწავლა არ უნდა

როცა ბავშვი რაღაცის სწავლაზე ან კეთებაზე უარს ამბობს, ეს თითქმის ყოველთვის უფროსების ბრალია – ჩვენ ვერ ვუხსნით მათ საკმარისად მკაფიოდ, რისთვის სჭირდება ესა თუ ის ინფორმაცია, დისციპლინა და უნარები, ჩვენ ვერ ვპოულობთ მათთვის გასაგებ ენას ცოდნების გადასაცემად.

### მაკა სახურია

## 55 მასწავლებლის სახე ალბერ კამიუს „სტუმარში“

ალბათ მემილიონედ გვითხულობთ და ვეკითხებით ერთმანეთს: მაინც როგორი უნდა იყოს მასწავლებელი? გარდა ცოდნის გადაცემის მისიისა, კიდევ რა როლი უნდა შეასრულოს მან მოსწავლის ცხოვრებაში? ვფიქრობ, ამ კითხვას პასუხობს ალბერ კამიუს მოთხრობა „სტუმარი“, რომელიც ყველა მასწავლებელმა უნდა წაიკითხოს.

## განათლების ფსიქოლოგია

### ანა ღვინიაძე

## 24 შინაგანი ხმა – აღზრდელების მარადიულობის სამყოფელი

ადამიანის შინაგანი ხმა ან შინაგანი მეტყველება თითქმის უწყვეტად მიმდინარე ურთიერთობაა, რომელიც მას როგორც საკუთარ თავთან, ასევე ირგვლივ მყოფებთან აკავშირებს, მის შინაგან სამყაროს ამრავალფეროვნებს, აღძრავს ვნებათაღელვას. ის შინაგანი მდგომარეობების მონაცვლეობის ერთ-ერთი წინაპირობაა.

### ქეთევან კობალაძე

## 33 ემპათია, სკოლა და თანამშრომლობა

ემპათია ჰუმანიზმის არსი და მზრუნველი, კეთილი პიროვნების ჩამოყალიბების საფუძველია. ემპათია არასდროს ყოფილა ისეთი მნიშვნელოვანი, როგორც ჩვენს თანამედროვე ყოფაში. სწორედ ამიტომ, უფროსებმა უნდა განუვითარონ პატარებს სხვა ადამიანების გრძნობებისა და მოთხოვნილებების გაგების უნარი.

### ქეთევან ოსიაშვილი

## 36 სიუჟეტურ-როლური თეატრის მნიშვნელობა სკოლაში


ძნელია, მოიძებნოს აღზრდელი, რომელიც არ დაადასტურებს, რომ თამაში სკოლაში პერიოდში ბავშვის უსაყვარლესი საქმიანობაა. სკოლაში აღსაყვარებელი თამაშის ასაკს ხშირად თამაშის ასაკსაც უწოდებენ.

## მოქალაქეობა

### თემურ სუყაშვილი

## 46 აქტიური მოქალაქეობის სწავლება კვიციანის შემუშავებით

საკუთარი და სხვათა უფლებების დაცვა, ურბანული პრობლემების მოგვარება, გარემოსდაცვითი აქტივობები, ჩართულობა ადგილობრივი თვითმმართველობის საქმიანობაში, თემის ინფორმირება – იმ საკითხების არასრული ჩამონათვალია, რომლებზეც ახალგაზრდები სკოლიდან იწყებენ ფიქრს და გადაჭრის გზების პოვნას ცდილობენ.



ინტერნეტგაზეთი

www.mastsavlebeli.ge

**განათლება -**  
თავისუფლება!



**ინტერნეტგაზეთი**  
**www.mastsavlebeli.ge**

ელიზბარ ელიზბარაშვილი

**27** ამედო ავოგადრო

ირმა კახურაშვილი

**28** დამოკიდებულებები, რომლებიც სწავლაში ხელს გვიშლის

შორენა ტყეშელაშვილი

**29** სიყვარულით, გოგონებს

ნინო ლომიძე

**30** თანამედროვეობა, მოსწავლე...

რესურსი

14 | **ლელა კოტორაშვილი**  
**არჩევითი დავალებები**

თუ დააკვირდებით მოსწავლეების მიერ მოფიქრებულ დავალებებს, მასწავლებლის მიერ შეთავაზებულზე გაცილებით მრავალმხრიანი და სახალისოა.

18 | **ნათელა ბალათრიშვილი**  
**მეცნიერება სცენაზე**

ჩვენი მოსწავლეების ირგვლივ, ყოფა-ცხოვრებაში, უამრავი ისეთი რამ ხდება, რის ახსნასაც მეცნიერებაში უდგას ფესვები. სამწუხაროდ, მოსწავლეთა დიდი ნაწილი ამ მოვლენებსა თუ ფაქტებს უყურადღებოდ ტოვებს – არ უჩნდებათ კითხვები, შესაბამისად, არც პასუხების ძიებას იწყებენ.

21 | **მაია ფირჩხაძე**  
**იდეატორთა კლუბი და „ძველი ეზოს თაგაშები“ ეფექტიანი სასწავლო გარემოსთვის**

შემეცნებითი პროექტები და კლუბური მუშაობა საზოგადოებრივი აქტიურობის შესრულებას, აქტიურ სოციალიზაციასა და მოსწავლეზე ორიენტირებული გარემოს შექმნას უწყობს ხელს. USAID-ის საბაზისო განათლების პროგრამამ ამ მიმართულებით საინტერესო პროექტები განახორციელა. ერთი მათგანია სკოლებში იდეატორთა კლუბების შექმნა.

პროფესია – მასწავლებელი

4 | **მაია ჯალიაშვილი**  
**კვადაგოვიური ოსტატობის უნივერსალური კანონი**

პედაგოგიც ისევე დაოსტატებული უნდა იყოს თავის საქმეში, როგორც ნებისმიერი სხვა სპეციალობის ადამიანი: ექიმი, მფრინავი, მეზღვაური, პროგრამისტი, მარკეტოლოგი... ოსტატობა გულისხმობს, იყო მაღალი ხარისხის სპეციალისტი, რომელმაც სიღრმისეულად იცის თავისი სფერო და კარგად იცნობს მეცნიერებისა და ხელოვნების მომიჯნავე დარგებს.

26 | **ინა იმედაშვილი**  
**რატომ უნდა იქცე ნაძვად ურწმუნოთა სამყაროში?**

შვის სისტემის პლანეტათა აღლუმი „ვეფხისტყაოსანში“ და სიმბოლოების ძიების პროცესი როგორც ტექსტის სიღრმისეულად გააზრების ხერხი

მოზარდებს რაც ყველაზე მეტად აინტერესებთ და ცნობისმოყვარეობას უღვიძებთ, დაფარული, იდეალებით სავსე სამყაროებია, კოსმოსია. რა ხდება ჩვენი პლანეტის მიღმა? ღამით ცაში მოკიაფე ვარსკვლავები რას გვიმალავენ? როდის გაიგეს ადამიანებმა მათ შესახებ? რა ხდებოდა ათასწლეულების წინ?

49 | **მაია იანტბელიძე**  
**უსაფრთხო „მგზავრობის“ აკოლოგია**

„მგზავრის წერილები“ ილია ჭავჭავაძის პიროვნული თუ შემოქმედებითი კრედიტის მატარებელი ნაწარმოებია. მასში ავტორისთვის ჩვეული საზოგადოებრივი ენერჯია და ბრძოლისუნარიანობა, ეროვნული მუხტი, რომელიც სათქმელს დაიბაზონსა და მასშტაბს განუვრცობდა. ეს ნაწარმოები ცრემლიანი ჰიმნია სიცოცხლის მარადიულობისა, მისი უწყვეტი წრებრუნვისა.





მაია ჯალიაშვილი

# პედაგოგიური ოსტატობის უნივერსალური კანონი

**პედაგოგიც ისევე  
დაოსტატებული უნდა  
იყოს თავის საქმეში,  
როგორც ნებისმიერი  
სხვა სპეციალობის  
ადამიანი: ექიმი,  
მფრინავი, მეზღვაური,  
პროგრამისტი,  
მარკეტოლოგი...  
ოსტატობა  
გულისხმობს, იყო  
მაღალი ხარისხის  
სპეციალისტი,  
რომელმაც  
სიღრმისეულად  
იცის თავისი სფერო  
და კარგად იცნობს  
მეცნიერებისა  
და ხელოვნების  
მომიჯნავე დარგებს.**

პედაგოგიც ისევე დაოსტატებული უნდა იყოს თავის საქმეში, როგორც ნებისმიერი სხვა სპეციალობის ადამიანი: ექიმი, მფრინავი, მეზღვაური, პროგრამისტი, მარკეტოლოგი... ოსტატობა გულისხმობს, იყო მაღალი ხარისხის სპეციალისტი, რომელმაც სიღრმისეულად იცის თავისი სფერო და კარგად იცნობს მეცნიერებისა და ხელოვნების მომიჯნავე დარგებს. მასწავლებელი თუ ოსტატია თავისი საქმისა, უნდა ერკვეოდეს ფსიქოლოგიის, განსაკუთრებით კი ბავშვთა ფსიქოლოგიის საკითხებში, დაინტერესებული იყოს ამ სფეროში ახალი კვლევებით და, რასაკვირველია, სრულყოფილად ფლობდეს სწავლა-აღზრდის მეთოდებსაც. პედაგოგს უნდა ჰქონდეს მაღალი სტანდარტი თუ თამასა. მაშინ მისი პედაგოგიური საქმიანობა იქნება განვითარების დაუსრულებელი და აღმოჩენებით სავსე, სასიამოვნოდ ამბულელებელი გზა. სწორედ ეს არის პედაგოგიური ოსტატობის უნივერსალური კანონი – არასოდეს დაკმაყოფილდე მიღწეულით. როგორც ილია ჭავჭავაძე, ქართველი ერის „მარადიული მასწავლებელი“ ამბობს: „კმაყოფილება მომაკვინებელი სენია“.

„პედაგოგიური ოსტატობა“ გულისხმობს ზოგადი ერუდიციის მაღალ კულტურას; არა მხოლოდ საგნის ფუნდამენტურ, სრულყოფილ ცოდნას, არამედ ასაკობრივი და პედაგოგიური ფსიქოლოგიის ცოდნასაც; თეორიული ცოდნის პრაქტიკულად გამოყენების უნარს, რაც, მეცნიერთა აზრით, იმით გამოიხატება, რომ მასწავლებელს კარგად აქვს გააზრებული, როგორ ასწავლოს და აღზარდოს მოსწავლე.

პედაგოგიური ოსტატობის მიღწევა შესაძლებელია ყველასთვის, ვინც პროფესიად პედაგოგობა აირჩია, იმიტომ რომ მოწოდება თუ მიდრეკილება იგრძნო. თუ ეს არჩევანი შემთხვევითია და არ ეთანხმება გულს, სულსა და გონებას, მაშინ სკოლა გამუდმებული ტანჯვისა და წამების ადგილად იქცევა.

საგნის ფლობა, მისი მეთოდის ინსტრუმენტად გამოყენება პედაგოგს საშუალებას აძლევს, არა ემოციურად, არამედ გააზრებულად, მეცნიერულ საფუძველზე გადაწყვიტოს სწავლის პროცესში თავჩენილი პრობლემები. ასაკობრივი ფსიქოლოგიის საკითხებში გარკვეულობა პედაგოგს საშუალებას აძლევს, ჩაუღრმავდეს მოსწავლის ქცევის ნიუანსებს, გააანალიზოს დეტალები, ერთმანეთს დაუკავშიროს, ერთი შეხედვით, არასაჭირო ფაქტები და მოვლენები, გამოკვეთოს შინაგანი და გარეგანი მოტივაციები და მოიხელთოს კანონზომიერება, რომელიც მოსწავლის სიტყვიერ თუ ფიზიკურ რეაქციებს განაპირობებს.

თუ მასწავლებელი სათანადოდ არ აფასებს პედაგოგიის მომიჯნავე სფეროებს და ზედმეტად მიიჩნევს მათ ცოდნას, მაშინ სწავლება არ იქნება ეფექტური და სასურველი შედეგის მომცემი. ამ შემთხვევაში პედაგოგი იოლად შეიძლება მოექცეს სტერეოტიპების, შტამპების, პრიმიტიული წარმოდგენების ტყვეობაში.

მასწავლებლის ცოდნა უნდა იყოს კომპლექსური. ყოველდღიური სწავლების პროცესში მან უნდა გამოიყენოს ე.წ. კომპლექსური მიდგომები.

ნებისმიერი საგნის თანამედროვე მასწავლებელს, სხვა ტიპის წერით თუ ზეპირ სავარჯიშოებსა და აქტივობებთან ერთად, სჭირდება მრავალფეროვანი კომპლექსური დავალებების მოფიქრებაც.

პედაგოგიურ-ფსიქოლოგიურ უნარებს შორის გამოყოფენ დიდაქტიკურ უნარსაც, რომელიც გულისხმობს შემდეგს: მასწავლებელს შეუძლია, სათანადოდ, ნათლად, ზუსტად, საინტერესოდ მიაწოდოს მოსწავლეებს ასახსნელი მასალა. თუ ამ უნარს ფლობს, მაშინ პედაგოგს შეუძლია გამოამჟღავნოს შემოქმედებითობა, რათა გამოიწვიოს მოსწავლეთა წარმოსახვისა და აზროვნების გააქტიურება; სწავლების პროცესში შემოიტანოს რამე ახალი, უჩვეულო, რაც

ეს კი მის მომავალ ცხოვრებასაც განსაზღვრავს – შემატებს რწმენას, რომ საზოგადოებაში ღირსეულ ადგილს დაიკავებს, მიაღწევს წარმატებას, აისრულებს ოცნებას. ოღონდ ამისთვის ყოველდღიური, თავდაუზოგავი შრომაა საჭირო.

სწავლის პროცესში უმნიშვნელოვანესია მასწავლებლის ორგანიზატორული უნარიც. მოსწავლემ უნდა გააცნობიეროს, რომ დამოუკიდებლად შეუძლია დასახული ამოცანების, დავალებების შესრულება, რომ მას ენდობიან, პატივს სცემენ და აღიარებენ. გასათვალისწინებელია, რა თქმა უნდა, ბავშვის ბუნებრივი მონაცემები და მიდრეკილებებიც, ზოგიერთის სიმორცხვის დაძლევა და გადალახვა, ზოგიერთის, პირიქით, სითამამისა და




შეძრავს არა მხოლოდ გონებას, არამედ გულსაც. ამ შემთხვევაში მოსწავლეს შესასწავლი მასალის მიმართ ემოციური დამოკიდებულება გაუჩნდება, რაც არა მხოლოდ მასალის ათვისებას შეუწყობს ხელს, არამედ უფრო მეტის მოძიების, აღმოჩენის სურვილსაც გაუღვიძებს მოსწავლეს. ერთი სიტყვით, მოსწავლემ უნდა იგრძნოს, რომ სწავლის პროცესი სახალისო, დაბრკოლებებით სავსე თავგადასავალია, რომელიც მას სამყაროსა და საკუთარი თავის უკეთ გაცნობაში ეხმარება,

გაბედულების მოთოკვა, თავხედობის ალაგმვა. ინდივიდუალიზმის განვითარებასთან ერთად, მასწავლებელი მოსწავლეს უნდა დაეხმაროს, დაძლიოს ეგოიზმიც და მეწყვილესთან ან ჯგუფთან ერთად შეასრულოს დავალება. ამ შემთხვევაში მასწავლებელზე დამოკიდებული, როგორ შეაჩვენოს მოსწავლეს ხან მთავარი და ხან მეორეხარისხოვანი როლის შესრულებას. გაკვეთილიც ხომ მინისპექტაკლივით არის. მოსწავლემ უნდა გააცნობიეროს, რომ გაკვეთილზე შესრულებული

ნებისმიერი როლი, ჩუმად ყოფნა, მოქმედება თუ ლაპარაკი უმნიშვნელოვანესია.

საგაკვეთილო დისციპლინა მასწავლებლისგან დიდ ძალისხმევას მოითხოვს. სათანადო მენეჯერული უნარებით პედაგოგი მოსწავლეებს აჩვენებს სიზუსტეს, წესრიგს. საკომუნიკაციო უნარები მასწავლებელს ეხმარება, ბავშვებს ერთმანეთთან მეგობრული ურთიერთობა ჩამოუყალიბდეთ. გამოცდილება პედაგოგს თანდათან გამოუმუშავებს უნარს, თვალის ერთი შეველებით შეატყოს მოსწავლეს, რა უჭირს თუ უხარია და ამის გათვალისწინებით გადაანაწილოს თავისი ყურადღება, რათა არავის არაფერი მოაკლოს, ყველამ

ჭილაძე წერილების წიგნში „ბედნიერი ტანჯული“ აღნიშნავს: „კარგი სკოლა თუ გვინდა, პირველ რიგში, პატივი უნდა მივაგოთ მასწავლებელს. მხოლოდ და მხოლოდ მასწავლებელი განსაზღვრავს სკოლის ხარისხსაც და ხასიათსაც. მასწავლებლის სახე (თუნდაც მოლუშული) ერთ-ერთი უსპეტაკესი და უკეთილშობილესი სახეა (უნდა იყოს!), ბავშვობიდან გამოყოლილი. ღვთის წყალობით, მეც მოვესწარი ძველი ყადის მასწავლებლებს, რომელთა მიმართ აქამდე არ გამწვანებია პატივისცემისა და მოკრძალების გრძნობა. ისინი რაიმე კონკრეტულ ცოდნაზე მეტად, ზოგადად, ადამიანობის მაგალითებს გვაძლევდნენ“.



იგრძნოს მზრუნველობა და თავი დაჩაგრულად არ იგრძნოს.

მასწავლებლის პროფესიონალიზმზე მეტყველებს ისიც, რამდენად შეუძლია, იყოს მოსწავლის შთამაგონებელი, როგორ ახერხებს ენთუზიზმის გამოწვევას ისე, რომ მოსწავლეებს ჰქონდეთ განცდა საკუთარი ინიციატივების ღირებულებისა. პედაგოგი ისე ფაქიზად უნდა ახერხებდეს იდეების მიწოდებას, რომ მოსწავლემ თანამონაწილედ იგრძნოს თავი და არა უბრალოდ ბრძანების შემსრულებლად. ოთარ

მასწავლებლის ორიგინალურმა ახსნამ შეიძლება ბავშვებში დიდი გამოძახილი პოვოს და გასაქანი მისცეს ფანტაზიას, რაც მათ შემოქმედებით უნარებს განუვითარებს. ცნობილი ფრანგი მწერალი დანიელ პენაკი წიგნში „სიზმრის მხილველის კანონი“ იხსენებს, როგორ აუხსნა მასწავლებელმა ელექტრობა. მან მოსწავლეებს უთხრა, რომ სინათლე წყალია; კაშხლების წყალობით ტბებამდე ქცეულ მდინარეს სპეციალურ სადგურებში ათვინიერებენ; მოთვინიერებული წყალი მთელი ძალით მიედინება ელექტროსადენებში, დიდი სისწრაფით ტრიალებს ნათურების ვარვარა









**მასწავლებელი  
თუ ოსტატია  
თავისი საქმისა,  
უნდა ერკვეოდეს  
ფსიქოლოგიის,  
განსაკუთრებით  
კი ბავშვთა  
ფსიქოლოგიის  
საკითხებში,  
დაინტერესებული  
იყოს ამ სფეროში  
ახალი კვლევებით  
და, რასაკვირველია,  
სრულყოფილად  
ფლობდეს  
სწავლა-აღზრდის  
მეთოდებსაც.**

მავთლებში და მათი გაცხელებით კამკაშა სინათლე წარმოიშობა. ამ სიტყვებმა ისეთი შთაბეჭდილება მოახდინა პატარა გმირზე, რომ ღამით ესიზმრა, გამსკდარი ნათურიდან როგორ წამოვიდა ყვითელი მდინარე და ოთახში „მუქის წყალდიდობა“ მოხდა, სინათლე კი დაღვრილ თაფლად გადაიქცა. მერე მეორე ნათურაც „გადასკდა მწიფე ხილივით. ყვითლად აფეთქდა. ყვითელი ფერი უფრო მუქი ყვითელი იყო, ვიდრე პატარა ნათურის თაფლი. უფრო ბლანტად მოედინებოდა. ოქროსავით. ყოველ შემთხვევაში, მინდვრის ყვითელი ყვავილივით, დედა რომ ბაიას ეძახდა. ზუსტად ესაა. ბაიას ოქროს ნამცვრევები კედელზე, იატაკზე“.

ასეთი ბავშვები შემდეგ გამომგონებლები, მწერლები, მხატვრები, მუსიკოსები ხდებიან. თუმცა ამგვარი ხატოვანი ახსნა-განმარტებები მხოლოდ ხელოვნებისკენ მიდრეკილი ბავშვებისთვის კი არ არის მნიშვნელოვანი, არამედ ნებისმიერი მოსწავლისთვის, რომელიც სამყაროს არა ვიწრო ჭუჭყრუტანიდან, არამედ ფართოდ გაშლილი სივრციდან დაუწყებს ყურებას, შესაბამისად, მრავალგანზომილებიანი გახდება მისი აღქმისა და გააზრების უნარები.

ისიც უნდა ვთქვათ, რომ მასწავლებლის პროფესიონალიზმს ხანდახან ბევრი ისეთი ვინმე აკრიტიკებს, ვისაც არაფერი გაეგება პედაგოგიკის მეცნიერებისა. საზოგადოებას, რატომღაც, ეს საქმე იოლად მიაჩნია, ამიტომაც არის, რომ მშობლები ხშირად საკუთარ შვილებში კი არ ეძებენ უცოდინარობის მიზეზებს, არამედ იოლ გზას პოულობენ და მასწავლებელს ადანაშაულებენ, რაც, რა თქმა უნდა, არასწორი და მიუღებელია. აკაკი ბაქრაძე თავის წიგნს („აკაკი წერეთელი“) ერთი გონებამახვილური იგავით იწყებს, რომელიც უსამართლოდ გაკრიტიკებულ პედაგოგებს აბეზარ გამკრიტიკებელთა წინააღმდეგ ძლიერ არგუმენტად დღესაც გამოადგებათ: „მეფემ შვილი აღსაზრდელად ბრძენს მიაბარა. ყმაწვილი უგუნური აღმოჩნდა. სწავლულის შრომა-გარჯამ ამაოდ ჩაიარა. ის დღეც მოვიდა, როცა უფლისწული სასახლეში უნდა დაბრუნებულიყო. უკანასკნელად ექვსი დარიგება მისცა მზრდელმა მეფის ძეს:

-  დაუფერებელს ნუ დაიჯერებ;
-  სადაც ვერ მიწვდები, იქით ხელს ნუ გაიშვერ;
-  წარსულ საქმეს ნუ ინანებ;

-  გზაზე რომ მიდიოდე, განზე ყურებას ნუ დაიწყებ, წინ დაიხედე;
-  ბრიყვისაგან ნურა გეწყინება რა;
-  ავზე ნუ აჩქარდები და კარგზე ნუ დაიგვიანებ.

არც ამან უშველა. ბატონიშვილმა ვერცერთი დარიგება ვერ აითვისა და ვერ გამოიყენა.

შვილი რომ გაუწვრთნელი ნახა, ხელმწიფე განრისხდა, ბრძენი დაადანაშაულა. მაშინ ეს უთხრა მზრდელმა მეფეს: ერთი კაცი მომგვარეს სტუმრად სახლში. მე ვერ მივიღე, რომ უნდოდა, ისე, რადგანაც ბინა არა მქონდა. მწყრალადაც დავუხვდი. სტუმარიც გაჯავრდა და წავიდა. აღარ დადგა ჩემს სახლში... და მიმყვანს ბრალი რამ აქვს თუ არა?

მეფემ ბრძანა: მიმყვანს რა ექნა, ეგ მასპინძლის ბრალია, რომ კარგად ვერ მიუღია და ბინა არ ჰქონია.

– მაშ, მე რაღად მიწყრებით, დიდებულო მეფეო! – მიუგო ბრძენმა. – სწავლა და მეცნიერება სტუმარია, ჭკუა კი – მასპინძელი და თუ თავში ჭკუა მწყრალად არის, აღარც ისინი მოიცდიან. მე ისინი მიგვარე ამ თქვენს შვილს, მაგრამ მაგას რომ ბინა არ ჰქონდეს მათთვის და ვერ მიიღოს, ჩემი რა ბრალია?“

ამ იგავის სიბრძნე, რა თქმა უნდა, მარადიული და უნივერსალურია. ის დაეხმარება მასწავლებელს, თავი არ დაიდანაშაულოს, როცა დიდ ძალისხმევას შედეგი არ მოჰყვება. თუმცა ყოველდღიური ცხოვრება ცოცხალი, მფეთქავი პროცესია, რომელიც მოულოდნელობებით არის აღსავსე. ხელჩაქეული ბავშვის გონების „ყამირი მიწიდან“ ერთ დღეს შეიძლება მშვენიერმა უცხო ყვავილებმა ამოხეთქოს, ოღონდ ამისთვის ისეთი რთული და იმავდროულად მარტივი რამის შეგროვებაა საჭირო, როგორც იმედია.





თამთა კობახიძე

# მასწავლებელითა წარმოდგენები სწავლა-სწავლებასა და სკოლაზე

**მასწავლებლებს  
გადამწყვეტი  
როლი ენიჭებათ  
სწავლა-სწავლების  
ეფექტურად  
წარმართვის  
პროცესში. ხშირ  
შემთხვევაში,  
სწორედ სკოლა,  
სასწავლო გარემო  
და მასწავლებელი  
განსაზღვრავს  
მოსწავლის  
მოტივაციას  
სწავლისადმი  
დამოკიდებულების,  
საკუთარი თავის  
აღქმისა და მომავლის  
დაგეგმვის საკითხში.**

მასწავლებლებს გადამწყვეტი როლი ენიჭებათ სწავლა-სწავლების ეფექტურად წარმართვის პროცესში. ხშირ შემთხვევაში, სწორედ სკოლა, სასწავლო გარემო და მასწავლებელი განსაზღვრავს მოსწავლის მოტივაციას სწავლისადმი დამოკიდებულების, საკუთარი თავის აღქმისა და მომავლის დაგეგმვის საკითხში. მაგრამ ამასთანავე საინტერესოა, რა განსაზღვრავს თავად მასწავლებელთა დამოკიდებულებას ამა თუ იმ მოვლენის მიმართ? როგორ აღიქვამენ მასწავლებლები საკუთარ როლს მოსწავლის წარმატებაში? ხედავენ თუ არა ისინი სკოლის საერთო წარმატების აუცილებლობას და იზარებენ თუ არა ამ პროცესში საკუთარ წვლილს?

ბევრმა კვლევამ დაადასტურა (Locke & Latham, 2015), რომ დასაქმებულები მაშინ აღწევენ წარმატებას ორგანიზაციაში, თუ მენეჯმენტის მხრიდან მათ კონკრეტული, მიღწევადი და გაზომვადი საქმიანობის მიზნები აქვთ დასახული. თუმცა პრაქტიკაში ხშირად ხდება დასაქმებულების წარსული გამოცდილებების იგნორირება

(როგორც ზემოაღნიშნულ კვლევაში), რომელიც უმეტესწილად ჩვენი ქვეყნის განმაპირობებელი ფაქტორია. საქმე ის გახლავთ, რომ ადამიანს უნდა გააჩნდეს მიზნის მიღწევის მოტივაცია. იმ შემთხვევაშიც კი, თუ მიზნები სწორადაა განსაზღვრული, მაგრამ მასწავლებელს მათ მისაღწევად არ გააჩნია მოტივაცია, მაშინ მიზანი მისთვის ტვირთად და ფორმალურ დასაკმაყოფილებელ მოთხოვნად გარდაიქმნება, რაც თავისთავად ხელს უშლის ორგანიზაციის წარმატებას.

ადამიანის ქცევას კონკრეტულ გარემოში მრავალი ფაქტორი განსაზღვრავს, მათ შორის კი უმთავრესი გამოცდილება და აზროვნების სქემებია, რომლებიც ჩვენი შეხედულებების ფორმირებას ახდენენ და საბოლოოდ კონკრეტული ქცევისკენ გვიბიძგებენ.

ადამიანის კონკრეტულ ქცევასა და გადაწყვეტილებაზე ორი სისტემა ახდენს გავლენას - ცნობიერი (ენა და ლოგიკა) და არაცნობიერი. თუმცა საიდუმლო არაა, რომ ყველა ჩვენგანი ლოგიკაზე დაფუძ-

ნებით არ იღებს კონკრეტულ სიტუაციაში რაიმე გადაწყვეტილებას – არამედ სხეულის ენის, შეგრძნებების, წარსული გამოცდილებისა და ისეთი ფაქტორების გათვალისწინებით მოქმედებს, რომლებსაც შეიძლება ლოგიკასთან კავშირი არ ჰქონდეს და ინტუიციით იყოს გამართლებული. დღეს მკვლევრები იმ თეორიიდან ამოდიან, რომ ორივე სისტემა პარალელურ რეჟიმში მუშაობს, რაც გულისხმობს იმას, რომ ერთი მათგანი მშვიდობიანად „იცდის და ელოდება“, როდის დაასრულებს მეორე საქმეს, რომ კვლავ ასპარეზზე გამოსვლის შესაძლებლობა მიეცეს.

არაცნობიერ სისტემას ცნობიერისგან განსხვავებით გამოხატვის საკუთარი მექანიზმები აქვს, რომლებიც ანტონიო დამასიომ (Damasio, 1994) „სომატური მარკერის“ ცნების ქვეშ გააერთიანა. ის გულისხმობს დამახსოვრების სპეციფიკურ სისტემას, რომელიც არაცნობიერ დონეზე მუშაობს და ემოციურ გამოცდილებებს ემყარება. დამასიო აღნიშნავდა, რომ ემოციური გამოცდილებები გადაწყვეტ

როლს თამაშობს ადამიანის ქცევასა თუ ამა თუ იმ საკითხზე დამოკიდებულების ჩამოყალიბების კუთხით. ტვინის ის სფეროები, რომლებიც ემოციურ გამოცდილებებზე პასუხისმგებელი დაბადებიდანვე იწყებენ მუშაობას (როგორც ადამიანებში, ასევე ცხოველებში). იქ ინახება ინფორმაცია ყველა იმ ემოციური გამოცდილების შესახებ, რომლებიც ცხოვრებაში გადაგვტყდა. თუმცა ამ გამოცდილებებს ადამიანი ვერ გადმოსცემს მეტყველებით, რადგან ტვინის ის სფეროები, რომლებიც მეტყველებასა და კომუნიკაციას პასუხისმგებელი, დაბადებიდან ორი წლის განმავლობაში თანდათანობით ვითარდება. შესაბამისად, ემოციური გამოცდილების

ნაწილში დაღეჭილი ინფორმაცია შეგრძნებებისა და სხეულის მგრძობელობის საშუალებით არის აღქმული. კონკრეტული სიგნალების მეშვეობით სხეულს შეუძლია ისწავლოს და უკვე ნასწავლი „გამოიძახოს“ საჭიროების შემთხვევაში, რათა თავი აარიდოს მისთვის არასასურველ სიტუაციას ან პირიქით. ამ მხრივ ემოციური გამოცდილების ეს „სკივრი“, დამასიოსა და მისი კოლეგების აზრით, მოიცავს ისეთ ინფორმაციას, რომელიც მთელი ჩვენი ცხოვრების განმავლობაში მიღებულ გამოცდილებებსა და ფასდაუდებელ „განძს“ ინახავს.

როგორ მუშაობს ეს მექანიზმი? როდესაც დგება კონკრეტული გადაწყვეტილების მიღების დრო, ტვინი ქმნის მოვლენების განვითარების სავარაუდო სცენარებს, როგორც მოკლემეტრაჟიან ფილმებს. მთელი ეს სცენარები პარალელურად აღიქმება არაცნობიერი სისტემის მიერ ცნობიერი სისტემისგან დაფარულად. შემდგომ ამისა, მოვლენების განვითარების თითოეულ სცენარს ტვინი ადარებს უკვე მიღებულ გამოცდილებას, მსგავს სიტუაციებს და იმ ინფორმაციას, რომელიც

**ადამიანის ქცევას კონკრეტულ გარემოში მრავალი ფაქტორი განსაზღვრავს, მათ შორის კი უმთავრესი გამოცდილება და აზროვნების სქემებია, რომლებიც ჩვენი შეხედულებების ფორმირებას ახდენენ და საბოლოოდ კონკრეტული ქცევისკენ გვიბიძგებენ.**



ემოციური გამოცდილების „სკივრში“ ინახება. თუ მსგავს მოვლენაზე სხეულს უკვე დამახსოვრებული აქვს ემოციური გამოცდილება, ადამიანის ქცევაც უკვე მას ეფუძნება – პირველ ეტაპზე არაცნობიერად სხეულის ენით გამოიხატება, რომელიც წარმოადგენს „სომატურ მარკერს“. მთელი ეს პროცესი იმდენად სწრაფად ხდება, რომ შეუძნეველია ცნობიერი ნაწილისათვის, რომელიც ამ დროს პარალელურ რეჟიმში მუშაობს – როგორც მუდმივად ჩართული კომპიუტერი, „აკომენტარებს“ ჩვენს ქცევას მეტყველების მეშვეობით. მაგალითად, კვლევის ერთ-ერთი მონაწილე, რომელიც აკვირდებოდა საკუთარი სხეულის ენას და ცდილობდა, ამოეცნო კონკრეტული სომატური სიგნალები, ამბობს: „როდესაც შეხვედრებზე ბატონი N-ის შემოთავაზებას განვიხილავდით, საშინლად უარყოფითი ემოცია მქონდა, თითქოს რაღაც საშინელებას მიხსნიდნენ. ხოლო საკითხში კარგად გარკვევის შემდეგ ეს ემოცია გაქარწყლდა და ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს ახალი გამოწვევის წინაშე ვიდექი. რომელია ამ შემთხვევაში ჩემი სომატური მარკერი?“ – ამ შემთხვევაში არაცნობიერი სიგნალი ყოველთვის ის ემოციაა, რომელიც პირველად მოდის, ხოლო ყველა დანარჩენი, რაც მერე ჩნდება უბრალოდ ცნობიერი სისტემის მიერაა „დავარცხნილი“. (Aldmayer-Herbs, at all, 2018).

ისმის კითხვა – რა კავშირი აქვს ამ ყველაფერს სამუშაო გარემოში გადაწყვეტილების მიღების პროცესთან? როგორც აღვწერეთ ემოციურ გამოცდილებაზე დაფუძნებული გადაწყ-

ვეტილებები ჩვენი ყოველდღიურობის განუყოფელი ნაწილია, შესაბამისად, ჩვენი ქცევაც შეფასებას ეფუძნება. იმ შემთხვევაში, თუ უკვე მიღებული გამოცდილებიდან მოვლენების განვითარების კონკრეტული სცენარი დადებით შეფასებას დაიშასურებს, ჩვენი დამოკიდებულებაც დადებითი იქნება, ხოლო უარყოფითი ემოციური გამოცდილების შემთხვევაში – უარყოფითი. ამ დროს წინა პლანზე მოდის ისეთი ემოციები, როგორცაა შიში, გაურკვევლობა, უსაფრთხოებასთან დაკავშირებული საკითხები და ა.შ.

ზრდასრულ დონეზე დიდი გავლენა აქვს ასევე სოციუმს და მასში დამკვიდრებულ არაფორმალურ წესებს, შეხედულებებს, აღქმებსა და დამოკიდებულებებს, რომლებიც ასევე უკავშირდებიან ჩვენს ემოციურ გამოცდილებას და ახალ ინფორმაციებს ინახავენ გამოცდილების „სკივრში“, მაგალითად, საზოგადოებაში ჩამოყალიბებულ სტერეოტიპებს. სტერეოტიპები შემოკლებული კოგნიტიური გზაა, რომელიც გავლენას ახდენს იმაზე, თუ როგორ ამუშავებენ ადამიანები ინფორმაციას სხვადასხვა ჯგუფთან და ჯგუფის წევრებთან მიმართებაში. ჯგუფს ან მის წევრს, ადამიანები თავად ჯგუფში არსებული რეალური განსხვავებების მიუხედავად მიაწერენ ხოლმე რაღაც მახასიათებლებს (Hamilton, Stroessner, & Driscoll, 1994). ბევრი სტერეოტიპი ადაპტირებადი სტრუქტურაა, იმ კუთხით, რომ ისინი სტერეოტიპული ჯგუფების შესახებ რაღაც უკვე არსებულ გამოცდილებებს ეფუძნება და სიმართლის მარც-

ვალსაც შეიცავს. სტერეოტიპები ცუდად შეიძლება განვითარდეს და არასწორი წარმოდგენა შეგვიქმნას, ან ხელი შეუშალოს ადამიანთა ჯგუფში ინდივიდუალური განსხვავებების დანახვას (Aronson, 1995). (Leadership, Northouse, 2010)

მეორე და მთავარი შეკითხვა საგანმანათლებლო ორგანიზაციაში უკავშირდება სრულიად ლეგიტიმურ, ცვლილებების დაგეგმვის საკითხს – როგორ შეიძლება ამ ინფორმაციის გამოყენება სკოლის დირექტორის მიერ? როგორ შეიძლება მენეჯერმა გაითვალისწინოს ათობით ადამიანის გაუცნობიერებელი ემოცია და შექმნას წარმატებული ორგანიზაცია? ამ კითხვებზე პასუხი მარტივი არ არის, თუმცა არსებობს კონკრეტული მიდგომები, რომლებიც დაეხმარება სკოლის დირექტორს, კარგად ამოიცნოს თანამშრომელთა დამოკიდებულებები და გამოიყენოს ისინი საერთო მიზნის მიღწევის პროცესში.

არაცნობიერ დონეზე გამოცდილების „სკივრში“ ყველაზე უფრო დიდი რაოდენობით გადამალული უარყოფითი ემოცია – შიშია. მომავლის, უსაფრთხოების, მარტოობის, გარიყვის და სხვა მრავალი ფაქტორისაგან გამოწვეული. ცვლილებების დაგეგმვის დროსაც დასაქმებულების მიერ ყველაზე მეტად ნეგატიური დამოკიდებულებების მიზეზი შიშია. შიში იმის მიმართ, რომ უკვე საკმაოდ ასაკიანია ცვლილებებისათვის, კომფორტის ზონიდან გამოსვლის შიში, სამსახურის დაკარგვის შიში, რაც პარალელურად შემოსავლის გაქრობას, სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის

გაუარესებას, ჯანდაცვის სისტემაზე ნაკლებ ხელმისაწვდომობასა და ოჯახის წევრების მომავალზე შფოთვას უკავშირდება. სკოლის მენეჯერის როლი ამ შემთხვევაში სწორედ ამ ემოციებზე გათვლა იქნება – მცდელობა იმისა, რომ ადამიანებმა ორგანიზაციაში დაგეგმილი ცვლილებები არ აღიქვან როგორც საკუთარი უსაფრთხოების შერყევის მექანიზმი. ამ შემთხვევაში ერთი გზა ახალი გამოცდილების გაზიარება, მაგალითის მიცემა და პროცესში ჩართვაა. ალტერნატივას წარმოადგენს ასევე იმგვარი გარემოს შექმნა, სადაც დასაქმებული თავად აღიარებს პრობლემის არსებობას; იცის, რომ ექნება მხარდაჭერის მექანიზმი და ის ინიციატივები, რომელსაც პრობლემის გადაჭრის მიზნით დაისახავს, წახალისებული იქნება.

რა თქმა უნდა, ამ სტატიების მოკლე ციკლში შეუძლებელია, დეტალურად გავიხილოთ ადამიანის მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესები, თუმცა მთავარის ცოდნაც მნიშვნელოვანია იმისათვის, რომ ორგანიზაციაში წარმატებით დაიგეგმოს და განხორციელდეს ცვლილება. ცვლილებების მენეჯმენტის შესახებ დეტალურად იხილეთ უკვე გამოქვეყნებულ სტატიებში.



# პროფესიის არჩევისა და თავისუფლების შესახებ



ლევან ალავიძე

## კენ რობინსონი ნიჭსა და მისი მხარდაჭერის აუცილებლობაზე

„ნიჭი საკუთარი ბედის პოვნის უნარია“.

თომას მანი  
(1875-1955)

„ადამიანი, რომელსაც თანდაყოლილი ნიჭი აქვს, უდიდეს ბედნიერებას განიცდის ამ ნიჭის გამოყენებისას“.

იოჰან ვოლფგანგ ფონ გოეთე  
(1749-1832)

სერ კენ რობინსონი (1950-2020) - ბრიტანელი მოაზროვნე, განმანათლებელი და ნოვატორი, რომელიც იკვლევდა ადამიანის შემოქმედებით ძალებსა და ადამიანის ნიჭს, მუშაობდა სხვადასხვა სახელმწიფოს მთავრობების კონსულტანტად, მონაწილეობდა მრავალ საერთაშორისო კულტურულ თავყრილობაში და მსოფლიოს გასაგონად, ხმაძიებდა აკრიტიკებდა დღევანდელ საგანმანათლებლო, სკოლამდელი და სასკოლო აღზრდის სისტემებს. 2003 წელს დედოფალმა ელისაბედ II-მ კენ რობინსონს ბრიტანეთის იმპერიის რაინდის წოდება უბოძა ხელოვნებისა და განათლების სფეროს განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის.

ერთ-ერთ საჯარო გამოსვლაში (ლონდონის ქონვეი-ჰოლში – ერთ-ერთ უძველეს დისიდენტურ<sup>1</sup> საზოგადოებაში, ეთიკის საზოგადოების შტაბ-ბინაში) კენ რობინსონი ამტკიცებს, რომ ჩვენი შეცდომების მთავარი მიზეზი არა ჩვენი აღმატებული მოლოდინი, არამედ, პირიქით, ჩვენ მიერ ადამიანთა უნარების არასათანადოდ შეფასებაა. რობინსონი ამას იმით ხსნის, რომ აუცილებელია, ყველამ ის აკეთოს, რაც უყვარს და კარგად გამოხდის.

### ნაწყვეტები კენ რობინსონის ინტერვიუებიდან:

„ჩემი აზრით, დღეს ადამიანური რესურსების კრიზისია. ამ ცნებაში (კრიზისში) სერიოზული პრობლემა – ადამიანების უმეტესობას წარმოადგენს კი არ აქვს, რა ხელეწიფება და რა უნარების პატრონია, რა ტალანტების მფლობელი. ამიტომაც ბევრი მიიჩნევს, რომ არაფრის ნიჭი არ გააჩნია. ჩვენი ღრმა რწმენით, ყველანი ვიბადებით ნიჭითა და სხვადასხვა უნარით. თუ ადამიანი ხარ, ეს თქვენი თვისებაა – ეს თქვენს სისხლშია!“

„დიახ, ეს მართლაც ასეა. ადამიანები თავიანთ შესაძლებლობებსა და ნიჭს სწორად შემთხვევით გამოავლენენ ხოლმე. უკვე მოხუცებულობისას ან, ვთქვათ, მეგობარ გოგონას თუ გაჰყვებიან თეატრალურ ინსტიტუტში (ან სამხატვრო სტუდიაში) გამოცდის ჩასაბარებლად. დიახ, ეს სწორად ის ხალხია, ვისაც ჩვენ ვიცნობთ და ვისაც, როგორც ამბობენ, გაუმართლა!“

„მაგრამ იცოდეთ, რომ ამ ომში უამრავი უცნობი მსხვერპლია – ისინი, ვინც „კეთილი ზრახვებით“ რომელიმე უმაღლეს სასწავლებელში „შეტენეს“

ნაცნობობით, ან სამსახურში მოაწყვეს „თბილადგილზე“. ადამიანი იღებს გაძლიძის, „აიფონის“ ყიდვის, „ფორდ მონდევო“ კრედიტით შექმნის შესაძლებლობას, მაგრამ სულ ეს არის, რასაც სთავაზობენ: სტაბილურ, არასასურველ სამუშაოს, რომელიც არანაირ სიამოვნებას არ ანიჭებს – ეს სამუშაო მხოლოდ სტაბილურობისა და უზრუნველყოფის განცდას აძლევს. ამ დროს თუ მზრუნველი მშობლები ცოტათი მოთოკავენ თავს (არა სამუდამოდ, არამედ გარკვეული ნივთი) და ბავშვს საშუალებას მისცემენ, თავისი გზით წავიდეს და ექსპერიმენტები ჩაატაროს, ანუ თუ მისცემენ შანსს, იპოვოს ის, რასაც სიხარულით გააკეთებს და რაც მას ბედნიერებას მიანიჭებს, მას მართლაც გააბედნიერებენ“.

„ჩვენ ვიზრდებით მანკიერი აზრით, რომ ცხოვრება სწორხაზოვნად მიედინება. ამ წარმოდგენას განსაკუთრებით მწვავედ ვგვახვებით რეზიუმეს წერისას. ამ დროს ჩვენს ცხოვრებას თარიღებითა და მიღწევებით აღვნიშნავთ აღმავალი, მზარდი ვექტორით. თითქოს მთელი ჩვენი არსებობა სტრუქტურირებულ, დაგეგმილ პროგრესს წარმოადგენდეს, რომლის გვირგვინიც ეს ინტერვიუ

<sup>1</sup> დისიდენტობა ინგლისში/დიდ ბრიტანეთში (English dissenters ან English separatists, ინგლისელი სექტანტები ან სეპარატისტები) – XVII-XVIII სს. პროტესტანტ ქრისტიანთა (ძირითადად – უან კალვინის მოძღვრების მიმდევართა) შორის გაჩენილი საპროტესტო მოძრაობა ანგლიკანური ეკლესიისა და მისი იერარქიის წინააღმდეგ. ინგლისელი დისიდენტები აქტიურად იბრძოდნენ რელიგიის საკითხებში სახელმწიფოს ჩარევის წინააღმდეგ. მათ დააფუძნეს ათეულობით სეპარატისტული პროტესტანტული ეკლესია და თემი. ბევრი სეპარატისტი სახელმწიფოსთან კონფლიქტის გამო გაიქცა ან ორგანიზებულად გადასახლდა ჩრდილოეთ ამერიკაში, ახალ ბრიტანულ კოლონიებსა და კანადაში უფრო დემოკრატიული და თანასწორობის პრინციპის მიმდევარი ეკლესიების დასაფუძნებლად. ინგლისელმა დისიდენტებმა გადამწყვეტი როლი ითამაშეს აშშ-ის დარსებაში და დღემდე შეცვალეს იმპერიის რელიგიური ლანდშაფტი; აქტიურად ქადაგებდნენ ანგლიკანური ეკლესიის რეფორმაციისა და „თავისუფალი“ ეკლესიების არსებობის აუცილებლობას. ინგლისურ-ამერიკული დისიდენტური ჯგუფებიდან წარმოშობილი რელიგიური ორგანიზაციები არიან პრესვიტერიანელები, კონტინენტური რეფორმისტები, რეფორმირებული ანგლიკანელები, კონგრეგაციონალისტები, ანაბაპტიტები, რეფორმისტი ბაპტიტები, ბრაუნისტიები, ბაროვისტიები, იაკობ ბემეს მიმდევრები, პურიტანელები, ფილადელფიელები, კვაკერები და სხვა.

იქნებოდა (რომლისთვისაც ეს რეზიუმე დაიწერა)! შედეგად, ადამიანს უჩნდება შეგრძნება, რომ სრულად აკონტროლებს იმას, რასაც აკეთებს და ჩვენი ცხოვრება არის არა შემთხვევითობების, ერთმანეთისგან დამოუკიდებლად არსებული ხდომილებების ჯაჭვი, ქაოსი, რომელიც, რა თქმა უნდა, არ გასურთ აჩვენოთ დამქირავებელს, არამედ მწყობრი, დაგეგმილი მოვლენების მოწესრიგებული რიგი (როგორც რეზიუმეშია მოცემული)... ჩემი რეზიუმეს კითხვისას თავს ვეუბნები ხოლმე: მე ეს ნამდვილად არ დამიგეგმავს-მეთქი“.

„რამდენიმე წლის წინ ჩემს მეუღლესთან, ტერისთან ერთად გახლდით შესანიშნავ ღონისძიებაზე,

მონაწილეობდა, მაგრამ, როგორც თავად ჰყვება, მას ამ თავყრილობებში გამუდმებით არ მოსწონდა რაღაც. ერთ დღეს მათივე ნახა რეპორტაჟი პარიზში სტუმრად მყოფ ტიბეტელ ბერებზე. მან მამინვე შეამჩნია, რომ ბერები წარმოუდგენლად ბედნიერები ჩანდნენ და მოეჩვენა, რომ ხედავდა [ღვთის] მოციქულებს, მოსულებს ძველი დროებიდან. მათი ტანსაცმელი, ქცევა, მათი გარეგნობის ყოველი შტრიხი სიხარულსა და სიმშვიდეს გამოხატავდა.

მატიე იხსენებდა, რომ ამ დროს მათი ყველა სტუმარი, ზემოთ ჩამოთვლილი მწერალი და ინტელექტუალი, ევროპული აზრისა და ტრადიციების წამყვანი წარმომადგენლები, სრულიად



**დღეს ადამიანური რესურსების კრიზისია. ამ ცნებაში (კრიზისში) სერიოზული პრობლემაა – ადამიანების უმეტესობას წარმოდგენაც კი არ აქვს, რა ხელენიფება და რა უნარების პატრონია, რა ტალანტების მფლობელი.**

რომელსაც ვანკუვერის მშვიდობის კონფერენცია ერქვა. მას სამი ათასზე მეტი ადამიანი ესწრებოდა და ორგანიზებული იყო დალაი-ლამას ვანკუვერის ცენტრის მიერ. მე ღონისძიების დასაწყისის მოდერაცია მევალებოდა, რაც საპასუხისმგებლო საქმე გახლდათ, რადგან ბევრი უალრესად საინტერესო ადამიანი იყო მოწვეული.

მოწვეულთა შორის იყვნენ: მატიე რიკარი – ფრანგი ბიოლოგი, მოლეკულური გენეტიკის დოქტორი, მწერალი და მთარგმნელი, რომელიც ტიბეტელი ბერი გახდა; რიკარის მამა, ჟან-ფრანსუა რეველი, საფრანგეთში ცნობილი ფილოსოფოსი, რომლის სახლსაც ხშირად სტუმრობდნენ ცნობილი ადამიანები: სემუელ ბეკეტი, ალბერ კამიუ, ჟან-პოლ სარტრი, სიმონ დე ბოუვარი... ისინი ყოველთვის ფრანგული ინტელექტუალური ცხოვრების ცენტრში იყვნენ. მატიე მშობლებთან ერთად უფადა სუფრას, რომელსაც იმ დროის ყველაზე გამოჩენილი მოაზროვნეები უსხდნენ და მათ საუბრებში

დაცემულნი ეჭვებითა და რწმენის უქონლობით, წარმოუდგენელი რაოდენობის თამბაქოსა და ალკოჰოლს მოიხმარდნენ. ისინი ხმამაღლა საუბრობდნენ კარგი [და სწორი] ცხოვრების სხვადასხვა პრინციპზე, მაგრამ მათთვის მათი საუბრები დამაჯერებელი არ იყო. ალბათ ამიტომაც, უკვე დოქტორის ხარისხის მქონე ახალგაზრდა მეცნიერი ტიბეტში გაემგზავრა და ცხოვრება მონასტერს დაუკავშირა. ის უკვე ოცდაათი წელია ტიბეტში ცხოვრობს და დალაი-ლამასთან დაახლოებულია წრეში შედის. მისი კვლევები მედიცინასა და ადამიანის ცენტრალურ ნერვულ სისტემაზე ძალიან საინტერესოა სამეცნიერო კუთხით. ამავე დროს, ის აღიარებულია დედამიწაზე მცხოვრებთა შორის ერთ-ერთ ყველაზე ბედნიერ ადამიანად, რაც სოციალური კუთხით საკმაოდ მძიმე ტვირთიცაა – ვერსად გამოჩნდები უბედური. ყოველთვის, ქუჩაში გამოსვლისას, ვალდებული ხარ, ილიმებოდე, თითქოს ყველაფერი ძალიან კარგად არის...

ამავე კონფერენციას ეწრებოდა ქალბატონი ფოტოტუ, სამხრეთაფრიკელი ეპისკოპოსის დესმონდ ტუტუს ქალიშვილი, რომელიც მამის კვალს გაჰყვა და სამხრეთი აფრიკის სულიერი ცხოვრების ერთ-ერთი ლიდერი გახდა, რომელიც ბევრს აკეთებს აფრიკელი ქალებისთვის.

კონფერენციას ასევე ესწრებოდა ერკპარტ ტოლე, გერმანელი ავტორი, რომელიც 2016 წელს აშშ-ის ყველაზე გავლენიან სულიერ ლიდერად აღიარეს.

კონფერენციის „მთავარი“ სტუმარი კი დალაი-ლამა გახლდათ. როგორც მოგახსენეთ, დასაწყისს მე ვუძღვებოდი და წარმოიშვა კითხვა, როგორ

„რას ნიშნავს „არ იცი“? შენ ხომ დალაი-ლამა ხარ, – იტყვის მავანი. – ეს ჩვენ არ ვიცით, შენ კი უნდა იცოდე!“ თუმცა ამ მომენტის სილამაზე იმაში მდგომარეობდა, რომ ეს გახლდათ დაშვების წამი მთელი აუდიტორიისთვის. ნათქვამის არსი კი, რომელიც დალაი-ლამამ მოგვიანებით ახსნა, ასეთი იყო: მან არ იცის, რადგან ამ საკითხზე არასდროს უფიქრია.

გესმით? მას ბევრ რამეზე უფიქრია, მაგრამ არა ამ კითხვაზე. მოგვიანებით გამოვიდა ფიზიკოსი, ნობელის პრემიის ლაურეატი. კონფერენციის დასაწყისში იგი ესაუბრა მათივე რიკვარს და ჰკითხა: „რას იტყოდა დალაი-ლამა პასკალზე?“ მათივე კი უპასუხა, რომ მან არაფერი იცის პასკალზე. შესაძლოა, დალაი-ლამა მსოფლიოში უდიდესი



**ბევრი მიიჩნევს, რომ არაფრის ნიჭი არ გააჩნია. ჩვენი ღრმა რწმენით, ყველანი ვიბადებით ნიჭითა და სხვადასხვა უნარით. თუ ადამიანი ხართ, ეს თქვენი თვისებაა – ეს თქვენს სისხლშია!**

წარმედგინა დალაი-ლამა იქ მყოფი საზოგადოებისთვის. მივხვდი, რომ მის შესახებ რამის თქმის საჭიროება არ არსებობდა. მისი სახელი ხომ, პრაქტიკულად, საზოგადოა... მოკლედ, კონფერენციის პირველ ნაწილს ასე ერქვა: „შვიდობა მსოფლიოში ჩვენს სულებში არსებული მშვიდობის მეშვეობით“. დაახლოებით ორი ათას ადამიანს ერთ საათში უნდა გადაეწყვიტა ეს ამოცანა... დარჩენილი ოცი წუთის განმავლობაში დრო რით მომეკლა?..

ავტორიტეტი იყოს ბუდიზმის საკითხებში, მაგრამ არა მგონია, ყველაფერი იცოდეს ევროპულ ფილოსოფიურ ტრადიციასა და ლიტერატურაზე.

მეც მიმაჩნია, რომ ეს პასუხი – „არ ვიცი“ – შესანიშნავია. ჩვენს კულტურაში არცოდნა ნიშნავს, დაამავო საზოგადოების წინაშე. ასე არ არის? ხალხი მუდმივად თვალთმაქცობს და ამბობს, რომ იცის უამრავი რამ, უმეტესად კი წარმოდგენა არ აქვთ.

დალაი-ლამამ შესანიშნავად ილაპარაკა. ერთ-ერთმა მონაწილემ ჰკითხა: „თქვენთან მიმართებით იხმარეს სიტყვა „უწმინდესობა“, რას ფიქრობთ ამასზე?“ დალაი-ლამა ჩაფიქრდა და თითქმის ერთი წუთი ფიქრობდა. შემდეგ წინ გადაიხარა და ჩვენც, დარბაზში მყოფი ორი ათასი ადამიანი, გონებით წინ გადავიხარეთ, თან ვფიქრობდით: „ახლა რაღაც დაუფერებელი მოხდება. ეს ხომ დალაი-ლამაა“. ის კი დიდხანს იჯდა ჩუმად. „ახლა მოვისმენთ სენსაციას“, – ვფიქრობდით ჩვენ. მან კი თქვა: „არ ვიცი“. ჩვენ გაოგნებულნი ვისხედით.

ეს იმიტომ, რომ ყველაზე ცუდი, რაც კი შეიძლება ჩაიდინო ევროპულ ტრადიციაში, იმის ჩვენებაა, რომ არ იცი, რასაც გვეკითხებიან და არ გაქვს საკუთარი აზრი მოცემულ საკითხზე. ახალი ამბების ნაკადიც ამ პოზიციას კვებავს – ის ჩვენ გვაწვდის დამოკიდებულებას რომელიმე საკითხისადმი ისე, როგორც ბანკში გაძღვევენ კრედიტს. მგონია, რომ ეს ტენდენცია ძალიან ძლიერია საგანმანათლებლო პროცესში“.





ლელა კორკორაშვილი

# არჩევითი დავალებები

თუ დააკვირდებით მოსწავლეების მიერ მოფიქრებულ დავალებებს, მასწავლებლის მიერ შეთავაზებულზე გაცილებით მრავალშიანი და სახალისოა.

თებერვლის ერთ მზიან შუადღეს მეექვსეკლასელმა ნინიმ საუბარი შემაწყვეტინა და ლურჯ ცელოფანში შეფუთული ნივთით ხელში მასწავლებლის მაგიდისკენ გამოემართა. ნინის უცნაურმა საქციელმა ყველა გაგვაკვირვა. რალაც მინდა გაჩვენოთო და დროის დათმობა მთხოვა. მთელი არსებით მოეცვა წინასწარ განზრახულ ქმედებას. სანამ გაგვიმხელდა, რა ჰქონდა საგულდაგულოდ შეფუთული, საუბარი დაიწყო.

თქვენ რომ დავაგვალეთ დავალების დამოუკიდებლად არჩევა, ბავშვებს გადაწყვეტილების მიღება გაუჭირდათ, ამიტომ გადავწყვიტე, მათთვის საქმე გამეადვილებინა და თავად მოვიფიქრე დავალებებისთვის ინსტრუქციაო. მერე სათუთად გამოიღო მქრქალი ცისფერი, თეთრი ყვავილებით მოჩითული ლანგარი, რომელზეც 25 ქლიავის-ჯემიანი მაფინი იდო. ოთახში ვანილის სურნელი დატრიალდა. პაწაწინა ნამცხვრებში ჩარჭობილი იყო ქალღმერთების საშინაო დავალების ინსტრუქციებიო. ლანგარი მარდად ჩამოატარა კლასში და სანამ კუთვნილ დავალებებს წავიკითხავდით, მაფინებს მუსრი გავავლეთ. კიდევ უფრო გავაკვირვა იმის გაგებად, რომ ნამცხვრები თავად გამოეცხო და სოფლიდან ჩამოტანილი ქლიავის ჯემით მოერთო. ყველას, მათ შორის – კლასის დამრიგებელ მარი მასწავლებელსაც, შეგვხვდა ერთი დავალება.

მეორე დღეს, ოთხი მოსწავლის გარდა, დავალება ყველას შესრულებული ჰქონდა. სანამ სხვები კითხულობდნენ, ოთხივემ გაართვა თავი დავალების ინსტრუქციას.

ყველაფერი კი დაიწყო მეოთხე კლასში, რომელსაც პირველი კლასიდან ვასწავლი და ამხნის განმავლობაში ბავშვებმა დავალებების ინსტრუქციები კარგად გაითავისეს. დიფერენცირებული სწავლების პრინციპის გათვალისწინებით, გადავწყვიტე, მათთვის არჩევითი დავალებები შემეთავაზებინა. ვთხოვე, ჩემთვის ეკარნახათ იმ აქტივობათა სახელები, რომლებიც უყვართ. შედეგმა ჩემზე მეტად მოსწავლეები გააკვირვა. დაფა გადაიჭედა. სახელიც შევურჩიეთ – დავალებების სკივრი. ასევე, მსურდა, პატარა კვლევა ჩამეტარებინა, კერძოდ, დავაკვირებოდი, თავისუფალი არჩევანის მიცემისას რომელ დავალებას შეარჩევდნენ, რა მოსწონთ, რა უაღვილდებათ, როგორი შესაძლებლობები აქვთ.

დავალებების სკივრში შემდეგი აქტივობები მოხვდა:

1. სიტყვის რუკა;
2. წერილი პერსონაჟს;
3. პერსონაჟის დღიური;
4. დღის ჩანაწერი;
5. ხუთწუთიანი ესე;
6. პერსონაჟის დღის ჩანაწერი;
7. გმირის რუკა;
8. კომიქსი;
9. პერსონაჟის ალაპარაკება;
10. ვენის დიაგრამა;
11. დახატე ის, რაც გულით მოგეწონა;
12. ხუთი მნიშვნელოვანი ფაქტი;
13. კროსენსი;
14. პერსონაჟების ჩატი;
15. ამბის ჩარჩო (თავიდან..., შემდეგ..., ბოლოს...);




- 16. წერილი კლასელს;
- 17. თავისუფალი თემა;
- 18. ნივთის აღწერა;
- 19. კედლის გაზეთი;
- 20. დიორამა;
- 21. სიტყვის ლოტო.

დავალბების სკივრმა ბავშვები გამოაცოცხლა. მეორე დღეს ერთი სული ჰქონდათ, ჩემთვის გაეზიარებინათ თავიანთი არჩევანი. მათი რვეულები შინ წავიღე და საითათოდ დავაკვირდი, ვის რა ჰქონდა შერჩეული.

უმეტესობას ხუთწუთიანი ესე, დღის ჩანაწერები, სიტყვისა და გმირის რუკა შეერჩია. რამდენიმეს ერთ-

ჰყვებოდა, როგორ აღფრთოვანდა ავტობუსში ერთი გოგოს გულსაბნევებით. მერე გაგზედე, მივესალმე და ვუთხარი, რა ლამაზია თქვენი გულსაბნევებიო. უცნობ გოგოს ერთი ცალი „ბროშკა“ ნუცასთვის უჩუქებია. ნუცას დავალბებას რომ ვკითხულობდი, ორშაბათი დილა თენდებოდა. კვირას ჩემს პატარა გოგოს ეზოში ვასეირნებდი, თან „პეპი გრძელწინდას“ ვკითხულობდი. სწორედ იმ დროს მეგობრებთან ერთად ნუცამ ჩამოიარა, ძელსკამზე ჩამომიჯდა და საუბარი გამიბა. რა წიგნს კითხულობთო, მკითხა. შუადღის მზე სახეში ანათებდა და შავი თვალები მოეწკურა. წითელ ქუდზე ორი „ბროშკა“ მიემაგრებინა. საუბრის ბოლოს ვუთხარი, რომ ძალიან უხდებოდა. რამდენიმე საათში კი მის რვეულში ნუცას ლამაზი



ზე მეტი დავალბება შეესრულებინა. მაგალითად, კომიქსი წიქარასა და ბიჭის შესახებ, პერსონაჟის ჩატი, წერილი ლენას „ვაფლის გულებიდან“, დღის ჩანაწერი, ეპიზოდის ილუსტრაცია – ეს ხუთი დავალბება ანის რვეულში აღმოვჩინე, ხოლო საბამ რვა დავალბებით გაგვაოცა: სიტყვის რუკა, დღის ჩანაწერი, კომიქსები, ხუთი ნივთის აღწერა, ხუთწუთიანი ესე, პერსონაჟის ალაპარაკება, ნივთის ალაპარაკება, რეცეპტი.

დავალბების შემოწმებისას ერთი განსაკუთრებული ამბავი მოხდა. ნუცას შეერჩია თავისუფალი თემა სახელად „იღბლიანი დღე“. ათი წლის გოგო

სამშვენისების ამბავი ამოვიკითხე. ახალი კვირა ამ ამბით დაიწყო. გაკვეთილიც საშინაო დავალბების რვეულების მიმოხილვით, რჩევებითა და ნუცას „ბროშკების“ ამბის გაზიარებით დავიწყე.

ეს ყოველივე იმის დასამოწმებლად გიამბეთ, როგორი მნიშვნელოვანია საშინაო დავალბების გულისხმიერი კითხვა და უკუკავშირი. მეოთხე კლასისთვის შეთავაზებული დავალბების სკივრმა მეექვსე კლასში გადაინაცვლა და შემდეგ მერვე კლასამდეც მიაღწია. მათაც შეთავაზებ დავალბების ნუსხის შედგენა და არჩევანი მივეცი.

მეექვსეკლასელი ნინის დავალებებიან მაზინებს დავუბრუნდეთ. გაგაცნობთ მის მიერ შერჩეულ ინსტრუქციებს, რომლებიც ჩემს რვეულში ჩავინიშნე:

1. დახატე, რა ხდება შენს თავში;
2. ქურდი რომ იყო, სად დამალავდი მოპარულ ნივთებს?
3. სიტყვის რუკა;
4. ოდესმე თუ დაუმეგობრდები უსახლკარო ადამიანს და რატომ?
5. წიგნში დაიჭირე სამი კადრი, დახატე და დაასაბუთე შენი არჩევანი;
6. თხრობა მთხრობელის შეცვლით;
7. გაავლე პარალელი ამ წიგნთან;
8. პერსონაჟის დღიური;
9. ახლა როგორ ხასიათზე ხარ? ილაპარაკე ხასიათის შესახებ;

**21. შეავსე ვენის დიაგრამა.**

ნინის დავალებათა ნუსხიდან შემხვდა: 1. თხრობის ჩარჩო; 2. შენი აზრით, როგორ გაგრძელდება წიგნი? – დამრიგებელს, მარი მასწავლებელს კი – ვენის დიაგრამა.

როგორც უკვე აღვნიშნე, ნინის მიერ ასე სახალისოდ მოფიქრებულმა დავალებებმა დიდი ინტერესი გამოიწვია. მეორე დღეს მთელი გაკვეთილი დავუთმეთ დავალებების კითხვას. მეც საგულდაგულოდ დავწერე, წავუკითხე და, როგორც ჩანს, ამ ყველაფერმა სწავლისადმი მოტივაცია აამაღლა. ერთი კვირის შემდეგ კიდევ ერთი მეექვსეკლასელი გოგო, ნატალი, მოვიდა სკოლაში ულამაზესად გაფორმებული ყუთით. შიგნით დავალებებ-



**არჩევითი დავალებები მოსწავლეთა შესაძლებლობებს, ინტერესებს არის მორგებული და შემოქმედებითი უნარების გამოვლენას უწყობს ხელს.**

10. რას გააკეთებდი ქურდის დასაჭერად?
11. შეავსე ჩაღრმავებული კითხვის სქემა;
12. უსახლკარო რომ იყო, რას გააკეთებდი, რას შეჭამდი და სად იცხოვრებდი?
13. შეავსე ორმხრივი ჩანაწერების დღიური;
14. შენი აზრით, როგორ გაგრძელდება წიგნი?
15. თხრობის ჩარჩო;
16. რომელია შენი საყვარელი თავი ამ წიგნიდან?
17. დაწერე შენს ოცნებებზე;
18. „გმირი ლამის ავტობუსიდან“ შეარჩიე 3 წინადადება და დაასაბუთე, რატომ მოგწონს;
19. თავისუფალი თემა;
20. მისწერე წერილი პერსონაჟს;

თან ერთად კანფეტები მოეთავსებინა და სათითაოდ დავგირიგა.

ნატალის დავალებებიც ძალიან საინტერესო აღმოჩნდა:

1. თავისუფალი თემა – დაწერე, რაც შენ გინდა;
2. დაწერე თომასის დღიური კლასის საკითხავი წიგნიდან „გმირი ლამის ავტობუსში“;
3. დაწერე შენს საყვარელ კალამზე;
4. დაწერე ხუთწუთიანი ესე;
5. ალაპარაკე შენი საყვარელი მულტფილმის გმირი;
6. რვაწუთიანი ესე;

7. მოიფიქრე კლასისთვის სახალისო დავალებას;
8. წარადგინე შენი საყვარელი ორი ნივთი;
9. სკოლაში მოიტანე ფოტო და გვიამბე მისი ისტორია;
10. თაბახის ფურცელზე დაწერე თომასისა და ჰექტორის დიალოგი;
11. როდესაც ლიტერატურული კაფე გვექნება, შენ რომელი წიგნის წარდგენას აპირებ და რატომ?
12. აღწერე შენი კლასელები;
13. გვიამბე შენი საყვარელი მეგობრის შესახებ;
14. დაწერე შენი საყვარელი დავალება;
15. შექმენი სიტყვის რუკა ნებისმიერ სიტყვაზე;
16. რა არის შენი ოცნება?
17. შეაგვე თხრობის რუკა ნებისმიერი თავის შესახებ წიგნიდან „გმირი ღამის ავტობუსში“;
18. გავაღწე პარალელი შენს ცხოვრებასა და რომელიმე წიგნს შორის;
19. დაწერე შენს საყვარელ წიგნზე რატომ მოგწონს?
20. აღწერე შენი საყვარელი ლელა მასი. როგორია ის?
21. აბრუნე ნებისმიერი ორი სიტყვა.

ამჯერად ჩემი დავალება ამგვარი აღმოჩნდა: პარალელი უნდა გამეკლო ჩემს ცხოვრებასა და რომელიმე წიგნს შორის.

სწორედ იმ დღეს, სანამ ჩემი 13 წლის გოგო სკოლისთვის ემზადებოდა, მე ლაპუტას შესახებ ვუამბობდი. „ლაპუტა, ზეციური კომკ“ ჰაიაო მიაძაკის ანიმეა. მთავარი პერსონაჟი ბიჭი მეგობარ გოგოს ლაპუტას შესახებ უამბობს და არჩვენებს ჯონათან სვიფტის წიგნს „გულივერის მოგზაურობა“. ანიმეში წიგნის მოტივის შემოტანამ ძალიან გამახარა. თან დიდი ხანია მინდოდა ზაზა ჭილაძისა და გია ჭუმბურიძის თარგმნილი „გულივერის მოგზაურობის“ წაკითხვა. თარგმანი „ინტელექტმა“ გამოსცა სერიით „სკოლაში საკითხავი წიგნი“. ყდის დიზაინერი თონა ჭანიშვილია. უთენია ფურცელ-ფურცელ ვეძებე სქელტანიან წიგნში ლაპუტაში გულივერის მოგზაურობა და მივაგენი. მეექვსე კლასს სწორედ ეს ამბავი მოუყვები. ისიც გავისხენე, საბავშვო ბიბლიოთეკის სერიაში რომ იყო დაბეჭდილი „გულივერის მოგზაურობა“, ბევრჯერ რომ ვცადე წაკითხვა და ვერ შევიძელი. ოცი წლის შემდეგ კი ჩემმა რაჭველმა მოსწავლემ, თამარმა, წაიკითხა და რამდენიმე წინადადებით წაკითხვის სურვილი გამიღვივა.

ნატალის დავალებას კიდევ ერთი საინტერესო პროექტის იდეა მოჰყვა. ალექსანდრემ მეორე დღეს მოიტანა ფოტო, რომელზეც მისი 80 წლის პაპა კურსელებთან ერთად არის აღბეჭდილი, მაგნიტით დაფაზე მიამაგრა და უზარმაზარი სიყვარულით გვიამბო, რომ პაპა უნივერსიტეტის დამთავრებიდან დღემდე მეტროში მუშაობს. ალექსის მოსმენისას დიდი სურვილი გამიჩნდა, პაპა სკოლაში მოგვეწვია და პირადად გავვეცნო.

კიდევ ერთი კვირის შემდეგ ნინის და ნატალის თანაკლასელმა სანდრომ გაგვაოცა. ხელნაკეთ, უცნაური ფორმის მუყაოს კოლოფში ფურცლის ნაკუწებზე დავალებების სამოცამდე ინსტრუქცია ეწერა. ფურცლების ნახევარი გაფერადებული იყო და მათზე დაწერილი სიტყვა უნდა დაგვეხატა, ხოლო დანარჩენ, გაუფერადებულ ფურცლებზე დაწერილი სიტყვები – აგველაპარაკებინა. გადაწყვიტეთ, დავალებები კლასშივე შეგვესრულებინა. დავარიგეთ თაბახის ფურცლები, ორ ნაწილად გავყავით, ფურცლის ზედა ნაწილზე დავხატეთ, ქვედაზე კი ნივთი გავსულიერეთ. მე ოჯახის დახატვა და თოფის ალაპარაკება მხვდა წილად.

სანდროს დავალებებიც დიდი სიხარულით შეასრულა მთელმა კლასმა.

კიდევ ერთი აქტივობა, რომელიც არჩევით დავალებებს მოჰყვა, ის იყო, რომ უფროსკლასელებმა და უმცროსკლასელებმა ერთმანეთისთვის დავალების ინსტრუქციები მოიფიქრეს და კლასიდან კლასში დავატარებ შესასრულებელ თუ შესრულებულ დავალებებს.

არჩევით დავალებებამდე სამწლიანმა შრომამ მიმიყვანა. საშინაო დავალების შერჩევა, ინსტრუქციებზე მუშაობა, პასუხისმგებლობის გაღვივება, ურთიერთმოსმენა, განმავითარებელი კომენტარები, მუდმივი უკუკავშირი ბავშვების შინაგანი მოტივაციის გაღვივების მიზნად იქცა. თუ დაავიკრებით მოსწავლეების მიერ მოფიქრებულ დავალებებს, მასწავლებლის მიერ შეთავაზებულზე გაცილებით მრავალშრიანი და სახალისოა. დიდი ბედნიერებაა, უყურო მათ განვითარებას, უყურო, როგორ მიქრიან წინ – სიხარულით, ერთმანეთზე ფიქრითა და ქმედების სურვილით აღვსილები. ამავ დროს, არჩევითი დავალებები მოსწავლეთა შესაძლებლობებს, ინტერესებს არის მორგებული და შემოქმედებითი უნარების გამოვლენას უწყობს ხელს.

ამ დავალებების შესახებ ფოტოამბები იხილეთ ბლოგზე: <https://rb.gy/tnwht2>



ნათელა ბატათრიშვილი

# მეცნიერების სცენაზე

**მეცნიერება რომ ყველგან არის, ამას თითოეული მოსწავლე სწორედ მასწავლებლის დახმარებით აცნობიერებს. საბედნიეროდ, არსებობენ ბავშვები, რომლებსაც აქვთ ძიების, აღმოჩენის თვითნაბადი ნიჭი, მაგრამ მასწავლებლის როლი ამ შემთხვევაშიც კი მნიშვნელოვანია.**

ჩვენი მოსწავლეების ირგვლივ, ყოფა-ცხოვრებაში, უამრავი ისეთი რამ ხდება, რის ახსნასაც მეცნიერებაში უდგას ფესვები. სამწუხაროდ, მოსწავლეთა დიდი ნაწილი ამ მოვლენებსა თუ ფაქტებს უყურადღებოდ ტოვებს – არ უჩნდებათ კითხვები, შესაბამისად, არც პასუხების ძიებას იწყებენ.

პანდემიის დროს შექმნილმა ვითარებამ მიბიძგა, დამეწერა სტატია „მეცნიერება სახლში“, რომელმაც უფრო „მასწავლებლის“ მკითხველის დიდი ინტერესი გამოიწვია. დღეს კი გთავაზობთ სტატიას სახელწოდებით „მეცნიერება სცენაზე“. შთაგონების წყაროდ იქცა საერთაშორისო პროექტი „Science on Stage“ (<https://salis.iliauni.edu.ge/science-on-stage-saqarthvelo/>), რომლის ფარგლებშიც ყოველ ორ წელიწადში ერთხელ იმართება ეროვნული და საერთაშორისო კონფერენციები.

მეცნიერება რომ ყველგან არის, ამას თითოეული მოსწავლე სწორედ მასწავლებლის დახმარებით აცნობიერებს. საბედნიეროდ, არსებობენ ბავშვები, რომლებსაც აქვთ ძიების, აღმოჩენის თვითნაბადი ნიჭი, მაგრამ მასწავლებლის როლი ამ შემთხვევაშიც კი მნიშვნელოვანია. საგაკვეთილო პროცესში კვლევითი საქმიანობა უჩვეულო არ უნდა იყოს, მაგრამ დამეთანხმებით, რომ უმნიშვნელო სიახლე და ფორმატის ცვლილებაც კი მოსწავლეთა მოტივაციაზე პოზიტიურად აისახება.

მინდა შემოგთავაზოთ მიდგომა, რომელიც ხელს შეუწყობს საბუნებისმეტყველო საგნების მიმართ

მოსწავლეთა ინტერესისა და მოტივაციის აღძვრას და, ამასთანავე, შემოქმედებითი უნარის განვითარებას. აღნიშნული მიდგომისთვის, უპირველეს ყოვლისა, მნიშვნელოვანია საკლასო ოთახის ფიზიკური ორგანიზება, სცენისა და მაცურებელთა სივრცის, ასევე – ჟიურისთვის განკუთვნილი სივრცის გამოყოფა. მოსწავლეებს ვყოფთ სამ ჯგუფად. მნიშვნელოვანია, რომ დაყოფა შემთხვევითობის პრინციპით მოხდეს.

პირველი ჯგუფის მოსწავლეები, „მკვლევრები“, მასწავლებლის მიერ შეთავაზებულ საკვლევ კითხვაზე პასუხს ექსპერიმენტის შედეგად გასცემენ. ისინი სცენაზე მსჯელობენ, გეგმავენ, ატარებენ ექსპერიმენტს, აღრიცხავენ მონაცემებს და ავსებენ კვლევის ანგარიშის ფორმას.

მეორე ჯგუფის მოსწავლეები, „მაცურებლები“, სხედან შესაბამის ადგილებზე, აკვირდებიან „მკვლევრებს“ და ფურცლებზე ჩანაწერებს აკეთებენ.

მესამე ჯგუფია „ექსპერტები“. თითოეულ მათგანს აქვს მკაფიოდ გაწერილი შეფასების რუბრიკა, რომლის მიხედვითაც აფასებს სცენაზე მყოფ მოსწავლეთა სამუშაო პროცესს.

მიდგომა მოითხოვს ქცევის წესებისა და რეგულაციების წინასწარ შემუშავებას, მით უმეტეს, თუ მსგავს მიდგომას მასწავლებელი პირველად იყენებს. წესები საპეციფიკური იქნება, ჩვეულებრივისგან განსხვავებული, უსაფრთხოებაზე მკაფიო აქცენტი კი ნებისმიერი კვლევითი სამუშაოსთვის აუცილებელია.

მიდგომის გამოყენება შეიძლება სწავლების ყველა საფეხურზე, სცენაზე შესასრულებელი კვლევითი დავალებები კი მოსწავლეთა ასაკის მიხედვით შეირჩევა. ნიმუშად გთავაზობთ VII კლასში განსახორციელებელ კვლევით დავალებას, რომელიც სახელმძღვანელოებშიც შეგიძლიათ მოიძიოთ.

**კვლევის ანგარიშის ფორმა „მკვლევარებისთვის“**

ძვირფასო მკვლევრებო,

გთავაზობთ საკვლევ კითხვასა და კვლევის მიზანს. თქვენი დავალებაა, დაგეგმოთ და ჩაატაროთ კვლევა საკვლევ კითხვაზე პასუხის გასაცემად.

თქვენ ექსპერტები გაკვირდებიან. მათთვის საინტერესოა:

- 🍏 ჰიპოთეზის ფორმულირება;
- 🍏 ექსპერიმენტის დაგეგმვა;
- 🍏 ექსპერიმენტის ჩატარების ტექნიკა, მონაცემთა აღრიცხვა და ანალიზი;
- 🍏 თანამშრომლობა და ერთმანეთის აზრის გაზიარება;
- 🍏 უსაფრთხოების წესების დაცვა.

გისურვებთ წარმატებულ და უსაფრთხო კვლევას!

**კვლევის მიზანი:** საფუარა სოკოს ცხოველქმედების შესწავლა

**კვლევითი კითხვა:** რა გავლენას ახდენს ტემპერატურა სოკოს ცხოველქმედების პროცესზე?

**ჩამოაყალიბეთ ჰიპოთეზა:**

---



---



---



---

- 🍏 კვლევით კითხვაზე პასუხის გაცემის მიზნით მოიფიქრეთ და დაგეგმეთ ექსპერიმენტი;
- 🍏 სათანადო სიზუსტით გაწერეთ თითოეული ეტაპი მეორე პირში (მაგ., „აიღე ორი ბუმბი“ და ა.შ.);
- 🍏 ჩამოწერეთ საჭირო რესურსები.

ექსპერიმენტის მსვლელობა	რეზულტატი:
I	

**ჩაატარეთ ექსპერიმენტი**

(იმოქმედეთ სიფრთხილით!!!):

- 🍏 დააკვირდით (დაკვირვების დრო თავად განსაზღვრეთ);
- 🍏 აღრიცხეთ მონაცემები და შეიტანეთ თქვენ მიერ მომზადებულ ცხრილში;
- 🍏 გამოყავით დამოუკიდებელი და დამოკიდებული ცვლადები;
- 🍏 გამოკვეთეთ, რომელ დამოუკიდებელ ცვლადს ცვლით;
- 🍏 დაწერეთ კითხვები, რომლებიც დაგებადებათ კვლევითი სამუშაოს შესრულების დროს.

**სივრცე დაკვირვების შედეგებისა და მონაცემთა აღრიცხვისთვის / ჩანაწერებისთვის**

**გაანალიზეთ მიღებული შედეგი:**

**გამოიტანეთ დასკვნა:**

**მიეცით დიასახლისებს რჩევა, რომელიც პურ-ფუნთუშეულის მომზადებისას გამოადგებათ:**

**დაწერეთ კითხვები, რომლებიც დაგებადებათ კვლევითი სამუშაოს შესრულების დროს:**

**გააკეთეთ ექსპერიმენტის ჩანახატი:**

ზემოთ მოყვანილი ნიმუშის მიხედვით, „მკვლევრებს“ მოეთხოვებათ, დამოუკიდებლად შეარჩიონ რესურსი, დაგეგმონ და ჩაატარონ ექსპერიმენტი. თუმცა, იმის მიხედვით, რამდენად არიან გაწაფულნი მოსწავლეები კვლევით საქმიანობაში, შეიძლება შევთავაზოთ ალტერნატიული ვარიანტიც, რომელშიც ხარაჩობად არის წარმოდგენილი კვლევის ინსტრუქცია, მონაცემთა ცხრილი და დამხმარე კითხვები. მაგალითად:



ჩვენი მოსწავლეების ირგვლივ, ყოფა-ცხოვრებაში, უამრავი ისეთი რამ ხდება, რის ახსნასაც მეცნიერებაში უდგას ფესვები. სამწუხაროდ, მოსწავლეთა დიდი ნაწილი ამ მოვლენებსა თუ ფაქტებს უყურადღებოდ ტოვებს – არ უჩნდებათ კითხვები, შესაბამისად, არც პასუხების ძიებას იწყებენ.

კვლევით კითხვაზე პასუხის გაცემის მიზნით ჩაატარეთ ექსპერიმენტი ქვემოთ მოცემული ინსტრუქციის მიხედვით.

ჩამოწერეთ საჭირო რესურსები:

---



---



---



---

ექსპერიმენტის ინსტრუქცია:

- 🍏 აიღეთ პოლიეთილენის სამი ბოთლი (0.5 მლ);
- 🍏 დანომრეთ ბოთლები;

- 🍏 თითოეულში ჩაყარეთ 10 გრამი (2 ჩაის კოვზი) საფუარი;
- 🍏 შემდეგ დაამატეთ 0.5 ჩაის კოვზი შაქრის ფხვნილი;
- 🍏 N1 ბოთლს დაამატეთ ოთახის ტემპერატურის წყალი;
- N2 ბოთლს დაამატეთ 400C ტემპერატურის წყალი;
- N3 ბოთლს დაამატეთ მდულარე წყალი.

დააკვირდით ნახევარი საათის განმავლობაში.

დააკვირვების შედეგები შეიტანეთ ცხრილში.

	N1	N2	N3
საწყისი			
10 წთ			
20 წთ			
30 წთ			

როგორც ზემოთ აღვნიშნე, მიდგომა სწავლების ყველა საფეხურზე ეფექტურია. მასწავლებელს შეუძლია საგაკვეთილო კვლევითი აქტივობის მოდიფიცირება და ახალი, ორიგინალური სახით

შეთავაზება, რაც კიდევ უფრო გაამრავალფეროვნებს და მოსწავლეებისთვის მიმზიდველს გახდის სასწავლო პროცესს.





მაია ფირჩიძე

# იდეატორთა კლუბი და „ძველი ეზოს თამაშები“ ეფექტიანი სასწავლო გარემოსთვის

კოვიდის პანდემიამ გამოწვევების წინაშე დააყენა განათლების სისტემა. პანდემიით გამოწვეული ჩაკეტილობის გამო მოსწავლეები შეეჯახნენ სხვადასხვა ხასიათის პრობლემებს, მათ შორის - წიგნიერების, კრიტიკული და კრეატიული აზროვნების განვითარების, ერთმანეთსა და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეფიციტს. შემეცნებითი პროექტები და კლუბური მუშაობა სააზროვნო ოპერაციების შესრულებას, აქტიურ სოციალიზაციასა და მოსწავლეზე ორიენტირებული გარემოს შექმნას უწყობს ხელს. USAID-ის საბაზისო განათლების პროგრამამ ამ მიმართულებით საინტერესო პროექტები განახორციელა. ერთი მათგანია სკოლებში იდეატორთა კლუბების შექმნა.

იდეატორთა კლუბი ახორციელებს კლასგარეშე აქტივობებს, დაწყებითი საფეხურის მოსწავლეებს უფითარებს კრიტიკული აზროვნების, ეფექ-

ტური კომუნიკაციის, გუნდური მუშაობისა და პრობლემების კრეატიულად გადაწყვეტის უნარ-ჩვევებს, ხელს უწყობს ინოვაციებს, უბიძგებს ბავშვებს, საკუთარი იდეები რეალურ ცხოვრებაში გადაიტანონ.

USAID-ის საბაზისო განათლების პროგრამის ფარგლებში, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელშეწყობით, 2022 წლის გაზაფხულზე მცხეთა-მთიანეთის რეგიონის მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ მუხრანის ნიკო ბაგრატიონის (ბურის) სახელობის N1 საჯარო სკოლაშიც შეიქმნა იდეატორთა კლუბი. სკოლის, მოსწავლეებისა და მასწავლებლების საჭიროებათა გაცნობის შემდეგ გადაწყდა, კლუბს უნივერსიტეტთან თანამშრომლობით მოემზადებინა და განეხორციელებინა პროექტი „ძველი ეზოს თამაშები“.

„ძველი ეზოს თამაშები“ ითვალისწინებდა მე-4, მე-5, მე-6

კლასების მოსწავლეთა მიერ (ასაკი - 10, 11, 12 წელი) ძველი თამაშების მოძიებას, გაცოცხლებასა და პოპულარიზაციას, კერძოდ, ხელნაწერი წიგნის, კომიქსების (მულტიპლიკაციური ფორმის) და ბუკლეტის მომზადება-პრეზენტირებას. ეს ყველაფერი დაწყებითი საფეხურის მოსწავლეებს:

- ერთი მხრივ, განუვითარებდა XXI საუკუნის უნარ-ჩვევებს – კრიტიკული აზროვნების, ეფექტური კომუნიკაციის, გუნდური მუშაობისა და პრობლემების კრეატიულად გადაწყვეტის, კოგნიტიურ, კრიტიკულ, წარმოსახვით, შემოქმედებით, თანამშრომლობით, დამოუკიდებელი მუშაობის უნარ-ჩვევებს;
- გაუღვივებდა ტრადიციებისადმი პატივისცემას, გაუზრდიდა ინტერესს წარსულის მიმართ;
- მეორე მხრივ, განუვითარებდა/განუმტკიცებდა

**შემეცნებითი პროექტები და კლუბური მუშაობა სააზროვნო ოპერაციების შესრულებას, აქტიურ სოციალიზაციასა და მოსწავლეზე ორიენტირებული გარემოს შექმნას უწყობს ხელს. USAID-ის საბაზისო განათლების პროგრამამ ამ მიმართულებით საინტერესო პროექტები განახორციელა. ერთი მათგანია სკოლებში იდეატორთა კლუბების შექმნა.**

**იდეატორთა კლუბი  
 ახორციელებს  
 კლასგარეშე  
 აქტივობებს,  
 დაწყებითი საფეხურის  
 მოსწავლეებს  
 უვითარებს  
 კრიტიკული  
 აზროვნების,  
 ეფექტური  
 კომუნიკაციის,  
 გუნდური მუშაობისა  
 და პრობლემების  
 კრეატიულად  
 გადაწყვეტის  
 უნარ-ჩვევებს, ხელს  
 უწყობს ინოვაციებს,  
 უბიძგებს ბავშვებს,  
 საკუთარი იდეები  
 რეალურ ცხოვრებაში  
 გადაიტანონ.**

საგნობრივ ცოდნასა და კომპეტენციებს, რადგან დასახული მიზანი ემსახურებოდა ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგების მიღწევას (ქართ. დაწყ. (I). 2. 5. 9. 10. 14; საზ. მეც. დაწყ. (I). 17; ფ. ა. დაწყ. (I). ფ. ა. დაწყ. (I). 5; ს. გ. დაწყ. (III). 3; ის. ტექნ. დაწყ. 2. 3. 4. 5; ასევე - „მე და საზოგადოების“ სტანდარტი (III-IV კლასები); „ჩვენი საქართველოს“ სტანდარტი (V-VI კლასები). სახელდობრ, მოსწავლე:

- 🌱 ილუსტრაციებს უკავშირებს მოსმენილ ტექსტს და განალაგებს მათ მოქმედებათა თანამიმდევრობის მიხედვით – ქართ. დაწყ. (I). 2;
- 🌱 საკომუნიკაციო მიზნის შესაბამისად იყენებს ნიმუშებს, საყრდენებს; ადგენს მარტივი სახის მოკლე ჩანაწერებს (ჩაინიშნავს მნიშვნელოვან სიტყვას/სიტყვებს, სხვათა და/ან საკუთარ მოსაზრებას, კონკრეტულ საკითხს და სხვ.) – ქართ. დაწყ. (I). 5;
- 🌱 გამოხატავს და ახსნის წაკითხული ტექსტის მიმართ პირად და მოკიდებულებას; აფასებს ტექსტს, თემას და/ან მასში განხილულ კონკრეტულ საკითხებს. ქართ. დაწყ. (I). 9;
- 🌱 ნაცნობ თემატიკაზე ქმნის სხვადასხვა ტიპის მცირე ზომის ტექსტებს – ქართ. დაწყ. (III). 10;
- 🌱 გადაჭრის პრობლემებს გამოთვლების, ვარიანტების დათვლის და ობიექტებსა და მათ თვისებებს შორის მიმარ-

თებების გამოყენებით – მათ. დაწყ. (III). 14;

- 🌱 ზრუნავს ბუნებრივ გარემოსა და ისტორიულ მემკვიდრეობაზე – საზ. მეც. დაწყ. (I). 17;
- 🌱 ხალხურ ტრადიციებს აკავშირებს ლოკალურ გარემოსთან – საზ. მეც. დაწყ. (II). 2;
- 🌱 მონაწილეობს ფიზიკურ აქტივობაში და წარმოაჩენს მოძრაობით უნარ-ჩვევებს; აკავშირებს ფიზიკურ აქტივობას სხეულის მდგომარეობასთან – ფ. ა. დაწყ. (I). ფ. ა. დაწყ. (I). 5;
- 🌱 საკუთარ ინტერესებსა და გამოცდილებაზე დაყრდნობით, სახვითი ხელოვნების ელემენტებსა და პრინციპებს იყენებს მიზანმიმართულად, ნამუშევარში გადმოსცემს ჩანაფიქრს, იდეას, გუნება-განწყობას (ემოციებს) და შთაბეჭდილებებს – ს. გ. დაწყ. (II). 1;
- 🌱 თანაკლასელებთან თანამშრომლობით (წყვილში, გუნდში) გეგმავს შესასრულებელ სამუშაოს შემოქმედებითი და საორგანიზაციო პრობლემის გადასაჭრელად და ახორციელებს მას – ს. გ. დაწყ. (III). 3;
- 🌱 ორიენტირებს დროსა და სივრცეში, ინტერპრეტაციას უკეთებს ფაქტებს, იყენებს და ქმნის თვალსაჩინოებებს; სამშობლოსა და მისი კულტურის მიმართ გამოხატავს პოზიტიურ დამოკიდებულებას; საგანგებო სიტუაციებში აფასებს რისკებს,

მოქმედებს უსაფრთხოდ – „მე და საზოგადოების“ სტანდარტი (III-IV კლასები); „ჩვენი საქართველოს“ სტანდარტი (V-VI კლასები);

- 🌱 ეფექტიანად იყენებს ისტ.-ს, მოიძიებს ინფორმაციას სხვადასხვა წყაროდან, ინახავს, ამუშავებს, აანალიზებს და გამოაქვს დასკვნები; ქმნის ციფრულ პროდუქტს, ფლობს კომუნიკაციისა და თანამშრომლობის ციფრულ საშუალებებს – ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სტანდარტი ის. ტექნ. დაწყ. 2. 3. 4. 5.

**პროექტის ფარგლებში კლუბის წევრებმა:**

- 🌱 გაინაწილეს როლები, ჩაატარეს გამოკითხვა ძველი ხალხური თამაშების შესახებ. ფოტოსურათები შეირჩა შემთხვევითი შერჩევის პრინციპის საფუძველზე. ის:
- 🌱 კითხვარი მშობლებისთვის „იდეატორთა კლუბის“ პროექტის შესახებ <https://rb.gy/lx93w>
- 🌱 კითხვარი მოსწავლეებისთვის „იდეატორთა კლუბის“ პროექტის შესახებ [bit.ly/3Kyei8A](http://bit.ly/3Kyei8A)
- 🌱 კითხვარი მასწავლებლებისთვის „იდეატორთა კლუბის“ პროექტის შესახებ [bit.ly/3KyQxgl](http://bit.ly/3KyQxgl)
- 🌱 მოსწავლეებმა მოიძიეს დამატებითი მასალა და გადაამუშავეს, რითაც დაეუფლნენ ინფორმაციის მოძიებისა და ინტერვიუს



ხერხებს როგორც ეფექტური კომუნიკაციის გზას და გუნდური მუშაობის პრინციპებს;

მოპოვებული მასალებით შექმნეს: პოსტერი; საინფორმაციო ბუკლეტი; 3D წიგნი; ხელნაწერი წიგნი; ორი მაკეტი; ვიდეორგოლი; პრეზენტაცია; ორი ელექტრონულ-ანიმაციური ფილმი-კომიქსი (მულტიპლიკაციური ტექნიკით), მათში აღწერეს და ასახეს ტრადიციული, ხალხში მივიწყებული ძველი ეზოს თამაშები, გააცოცხლეს ისინი (საჭირო რესურსები: მუყაო, თეთრი ფურცლები, წებო, მკრატელი, ცარცი; სპორტული თამაშებისთვის განკუთვნილი რესურსები; კომპიუტერული ტექნიკა);

მოაწყვეს შეჯიბრებები, გაიმჯობესეს საგნობრივი ცოდნა, ციფრული, სოციალური, სამოქალაქო და ზოგადი კომპეტენციები (3D წიგნის, ბუკლეტის, კომიქსების შექმნისა და პრეზენტაციების, პრობლემების კრეატიულად გადაჭრისა და საგნობრივი ცოდნის ცხოვრებისეულ კონტექსტში გამოყენების უნარები;

პოპულარიზაცია გაუწიეს:

ცხოვრების ჯანსაღ წესს და წინაპართა ტრადიციების დაცვას;

სკოლის, უმაღლესი სასწავლებლისა და საერთაშორისო ორგანიზაციების თანამშრომლობას.

ელექტრონული ბმულები:

პროექტი „ეზოს ძველი თამაშები“ – ვიდეორგოლი (ძველი ეზოს თამაშების გაცოცხლება, 3D წიგნი, ბუკლეტი, კომიქსები) და პრეზენტაცია

<https://rb.gy/mk715>

<https://rb.gy/gd5fy>

შედეგად, მოსწავლეზე ორიენტირებული საგანმანათლებლო სივრცის ორგანიზების ხელშეწყობით და კონკრეტული კომპონენტების გააქტიურებით ამღლდა მოსწავლეთა მოტივაცია, გაუმჯობესდა საგნობრივი შედეგები და შეიქმნა გაცილებით ეფექტიანი სასწავლო გარემო.





ანა ღვინიაიძე

# შინაგანი ხმა – აღზრდელების მარადიულობის სამყოფელი

ადამიანის შინაგანი ხმა ან შინაგანი მეტყველება თითქმის უწყვეტად მიმდინარე ურთიერთობაა, რომელიც მას როგორც საკუთარ თავთან, ასევე ირგვლივ მყოფებთან აკავშირებს, მის შინაგან სამყაროს ამრავალფეროვნებს, აღძრავს ვნებათაღელვას. ის შინაგანი მდგომარეობების მონაცვლეობის ერთ-ერთი წინაპირობაა.

თითოეულ ადამიანში არსებობს აღზრდელების მარადიულობის განსაკუთრებული სამყოფელი: ადამიანის შინაგანი ხმა ან შინაგანი მეტყველება.

## რა არის შინაგანი ხმა ან შინაგანი მეტყველება?

ადამიანის შინაგანი ხმა ან შინაგანი მეტყველება თითქმის უწყვეტად მიმდინარე ურთიერთობაა, რომელიც მას როგორც საკუთარ თავთან, ასევე ირგვლივ მყოფებთან აკავშირებს, მის შინაგან სამყაროს ამრავალფეროვნებს, აღძრავს ვნებათაღელვას. ის შინაგანი მდგომარეობების მონაცვლეობის ერთ-ერთი წინაპირობაა.

ჩვენი შინაგანი ხმა, ზოგჯერ – ჩუმი და მოუხელთებელი, ზოგჯერ – ხმამაღალი და მკაფიოდ მჟღერი, ზოგჯერ – სიტყვებში მოქცეული და ზოგჯერ – გამოსახულებებით გამოვლენილი, თითქმის უწყვეტად აფასებს ჩვენს ქცევებს, აზრებს, შინაგან სამყაროში მიმდინარე ცვლილებებს, ირგვლივ მყოფებსა და გარემოს.

ზოგიერთი ადამიანის შინაგანი მეტყველება, ძირითადად, დამნდობი და შემწყნარებელია, რაც წონასწორობის მდგომარეობას უზრუნველყოფს და როგორც საკუთარ თავთან, ისე ირგვლივ მყოფებთან გაწონასწორებული ურთიერთობის ერთ-ერთი წინაპირობაა. ზოგიერთი კი – მკაცრი, მომთხოვნი, ხშირად სასტიკი და დაუნდობელი შინაგანი მეტყველების წინაშე დაუცველ, უსუსურ, შეწინააღმდეგების უნარის არმქონე, განიარაღებულ ბავშვად გარდაისახება. გამკიცხავი შინაგანი ხმის წინაშე ხშირად განიარაღებული ადამიანის სხეულიც იცვლება: ის იხრება, ზურგი აუტანელ სიმძიმეს შეიგრძნობს, ადამიანი ტირილს იწყებს, ცდილობს, ხმის წინაშე თავი იმართლოს, გადარჩეს, როგორმე შეინარჩუნოს წონასწორობა, თუმცა დიდი ძალისხმევით ფასად თუ შეუძლია, გაუმკლავდეს ამგვარი შინაგანი ხმის ზეწოლას.

გამკიცხავი შინაგანი ხმა მოქმედებს როგორც წამოწყებისა და სურვილებისადმი მტრულად განწყობილი, დამამუხრუჭებელი, უკიდურესი დაძაბულობის ჩამსახველი და მკვებავი შინაგანი მეტყველება, რომელიც ადამიანს ან სრული თავშეკავებისკენ უბიძგებს, ან, სასოწარკვეთილებისგან გათავისუფლების მიზნით, ადამიანი გამკიცხავი შინაგანი მეტყველების სრული დაფიქრების და მისი არსებობის უგულბელყოფის მცდელობისას ამხმის ბრძნულ და გონივრულ ნაწილსაც ივიწყებს და გარე დამკვირვებლისთვის წინდაუხედავად, მეტიც, უგუნურადაც კი იქცევა. თუმცა, როგორც წესი, მსგავსი მოჩვენებითი თავისუფლების საზღაური უკიდურესად უსიამოვნოა: დროებით, დიდი ძალისხმევით ფასად ჩახშობილი, დაუნდობლად გამკიცხავი შინაგანი ხმა უფრო ხმამაღლა იწყებს საუბარს, ვიდრე მანამდე, სანამ ადამიანი დათრგუნვილი ან უმოქმედო იყო. მისი „გაჩუმება“ ან ხმისგან დროებით გადაშლვა მაინც თითქმის შეუძლებელი ხდება.

## ვისი ხმა აქვს შინაგანი მეტყველება?


შინაგანი ხმის „შიგთავსი“, როგორც წესი, პიროვნებისთვის ავტორიტეტული ადამიანების, სახელდობრ, მის აღზრდაში მონაწილეების: მშობლების, მასწავლებლებისა და ლექტორების, – დამოკიდებულების ერთობლიობაა, რომელიც პიროვნებამ გაიზინაგნა.

ზოგიერთი ადამიანი, ბუნებრივი წინასწარგანწყობიდან – ტემპერამენტის თავისებურებებიდან გამომდინარე, გაცილებით სწრაფად გაიზინაგნებს გამკიცხავ დამოკიდებულებას, ვიდრე მსგავსი დამოკიდებულებისადმი ნაკლებად მგრძობიარე ტემპერამენტის მქონე ადამიანი, თუმცა, ნებისმიერ შემთხვევაში, შინაგანი მეტყველების შინაარსი, მისი „შიგთავსი“ ადამიანისკენ მიმართული თანმიმდევრული, ხშირად გამოვლენილი დამოკიდებულებების გაიზინაგნების შედეგია.

ზოგიერთი ადამიანი სწრაფად ასახელებს, ვისი ხმით მეტყველებს მისი შინაგანი ხმა. ზოგჯერ შინაგანი მეტყველება მისი რომელიმე ან ორივე მშობლის, მასწავლებლების და სხვა აღმზრდელელების ხმების ერთობლიობაა, ზოგჯერ კი შინაგან ხმას დაკარგული აქვს პირველწყაროსთან კავშირი და ადამიანი მთლიანადაა განზავებული და გაიგივებული გამკიცხავ შინაგან მეტყველებასთან. მას სხვანაირად ვერც კი წარმოუდგენია: მისთვის ძნელი დასაჯერებელია, რომ საკუთარი თავისა და სხვებისადმი სხვაგვარი, მეტად შემწყნარებლური დამოკიდებულებით შეფერილი შინაგანი მეტყველება არსებობს.

იცის, სახელდობრ, რა სჭირდება კმაყოფილებით სავსის. მკაცრია, მაგრამ არა დამაკვლიანებელი.

ამგვარი შინაგანი მეტყველების მქონე ადამიანები ხშირად აღნიშნავენ, რომ დაუკვლიანებლობა და გზაბნეულობა მათი ცხოვრების განუყოფელი ნაწილია, რომ მათ არ ესმით, სახელდობრ, რას ითხოვს მათგან მათივე მომთხოვნი შინაგანი მეტყველება და მასში კმაყოფილების აღქმის ზოგჯერ უწყვეტი მცდელობების მიუხედავად, მისგან გამოძალული კმაყოფილება და სიამაყე მსწრაფლწარმავალი, ხანდახან მოუხელთებელი და ხშირად მყიფე და მსხვრევადია.



**ჩვენი შინაგანი ხმა, ზოგჯერ – ჩუმი და მოუხელთებელი, ზოგჯერ – ხმამაღალი და მკაფიოდ მჟღერი, ზოგჯერ – სიტყვებში მოქცეული და ზოგჯერ – გამოსახულებებით გამოვლენილი, თითქმის უწყვეტად აფასებს ჩვენს ქცევებს, აზრებს, შინაგან სამყაროში მიმდინარე ცვლილებებს, ირგვლივ მყოფებსა და გარემოს.**

გამკიცხავი შინაგანი მეტყველება ადამიანისგან უპირობო ნდობასა და მორჩილებას ითხოვს. მისთვის ცდომილება, როგორც ბუნებრივი ადამიანური მოვლენა არ არსებობს, ის ყოვლისმცოდნეა, ხოლო მასთან კამათი ან წინააღმდეგობა – დაუშვებელი. მისი საზომი შედეგია, შედეგამდე სავალ გზაზე ადამიანის მოთხოვნილებებისა და შეზღუდვების გათვალისწინება მისი პასუხისმგებლობა არ არის. ის მოითხოვს, თუმცა მოთხოვნების საპასუხოდ არაფერს სთავაზობს ადამიანს. მუდამ უკმაყოფილოა, მუდამ დამწუნებელი, თუმცა თავადაც არ

ადამიანის შინაგანი მეტყველების უმნიშვნელოვანესი მახასიათებელი მისი ავტორიტეტულობის განცდაა. აქედან გამომდინარე, ხშირად გადაწყვეტი მნიშვნელობა აქვს, როგორები იყვნენ ადამიანის ცხოვრებაში ავტორიტეტული სხვები, რომელთაც მისი ასაკის თანმხლები უსუსურობა-უძლურებიდან თუ შეზღუდვებიდან გამომდინარე, ნდობის პასუხისმგებლობა გადაეცათ. ვისი ხმისაა შენი შინაგანი მეტყველება და როგორია მისი ხმა?





ინა იმედაშვილი

# რატომ უნდა იქცე ნაძვად ურწმუნოთა სამყაროში?

## მზის სისტემის პლანეტათა აღლუმი „ვეფხისტყაოსანში“ და სიმბოლოების ძიების პროცესი როგორც ტექსტის სიღრმისეულად გააზრების ხერხი

**მოზარდებს რაც ყველაზე მეტად აინტერესებთ და ცნობისმოყვარეობას უღვიძებთ, დაფარული, იდუმალებით სავსე სამყაროებია, კოსმოსია. რა ხდება ჩვენი პლანეტის მიღმა? ღამით ცაში მოკიაფე ვარსკვლავები რას გვიმალავენ? როდის გაიგვს ადამიანებმა მათ შესახებ? რა ხდებოდა ათასწლეულების წინ? ძველი ერების მითოლოგიაში, მათ შორის ქართულშიც, ციურ სხეულებს დიდი როლი აკისრიათ. გემასსოვრებათ, რომ მზე დედა იყო ჩვენი, მთვარე – მამაჩვენი, წვრილ-წვრილი ვარსკვლავები კი – დები და ძმები, თუმცა ისეც ხდებოდა, რომ მთვარე ქალურ საწყისად იყო მიჩნეული. კიდევ უფრო ღრმად თუ ჩავიხედავთ ჩვენი უძველესი წინაპრების მსოფლხედვაში, აღმოვაჩენთ, რომ თურმე მზისა და მთვარის ღვთაებები ადამიანებთან ოქროს ძაფების მემკვიდრეობით ურთიერთობდნენ. ეს ოქროს ძაფები ნებებს ჰქონიათ გამობეჭდილი კენწეროებზე და ასე დასეირნობდნენ უძველესი ღმერთები ზეციურ სამყაროსა და დედამიწას შორის. იმდენად უყვარდათ ძველ ქართველებს თავიანთი ღვთაებები, რომ სახლებში, მთავარ, საყრდენ ბოძზე, ღვთაების – მზის ნიშან-სიმბოლო – ბორჯღალი**

მოზარდებს რაც ყველაზე მეტად აინტერესებთ და ცნობისმოყვარეობას უღვიძებთ, დაფარული, იდუმალებით სავსე სამყაროებია, კოსმოსია. რა ხდება ჩვენი პლანეტის მიღმა? ღამით ცაში მოკიაფე ვარსკვლავები რას გვიმალავენ? როდის გაიგვს ადამიანებმა მათ შესახებ? რა ხდებოდა ათასწლეულების წინ?

ძველი ერების მითოლოგიაში, მათ შორის ქართულშიც, ციურ სხეულებს დიდი როლი აკისრიათ. გემასსოვრებათ, რომ მზე დედა იყო ჩვენი, მთვარე – მამაჩვენი, წვრილ-წვრილი ვარსკვლავები კი – დები და ძმები, თუმცა ისეც ხდებოდა, რომ მთვარე ქალურ საწყისად იყო მიჩნეული. კიდევ უფრო ღრმად თუ ჩავიხედავთ ჩვენი უძველესი წინაპრების მსოფლხედვაში, აღმოვაჩენთ, რომ თურმე მზისა და მთვარის ღვთაებები ადამიანებთან ოქროს ძაფების მემკვიდრეობით ურთიერთობდნენ. ეს ოქროს ძაფები ნებებს ჰქონიათ გამობეჭდილი კენწეროებზე და ასე დასეირნობდნენ უძველესი ღმერთები ზეციურ სამყაროსა და დედამიწას შორის. იმდენად უყვარდათ ძველ ქართველებს თავიანთი ღვთაებები, რომ სახლებში, მთავარ, საყრდენ ბოძზე, ღვთაების – მზის ნიშან-სიმბოლო – ბორჯღალი

ჰქონდათ გამოსახული. ეს ბოძიც ხისა იყო. მოკლედ, ხეს დიდი დატვირთვა ჰქონია ქართველების ცნობიერებაში – ღმერთთან, სულიერ სამყაროსთან კავშირის. ისიც ვთქვათ, რომ თავად ხის აგებულებაც იძლეოდა ამის საშუალებას: ფესვები – ქვემოთ, ქვესკნელში, ტანი – შუასკნელში, ადამიანთა სამყაროში, ხოლო ვარჯი – ზეცაში, ღმერთების სამყოფელში. ხე აერთიანებდა სამივე სამყაროს და თავის თავში მოიცავდა მთელ უნივერსს.

ხის სიმბოლური მნიშვნელობა ქრისტიანობამაც მშვენივრად შეითავსა. ხის ნაყოფი იყო მიზეზი ედემის დაკარგვისა და ასევე ხე, ჯვრის სახით, გახდა ახალალექმისეული სამოთხის პოვნის საწინდარი. ისევე ქართველობას თუ დავებურუნდებით, აღმოვაჩენთ, რომ სვეტიცხოველი, ქრისტიანობის პირველი დროშა და ალაში, სწორედ პირველყოფილი, ცოცხალი ხე ყოფილა – სვეტად და ტაძრად ქცეული.

სიმბოლოები დიდ როლს ასრულებს ტექსტების სიღრმისეულად გაგება-გააზრებაში, სწორი აქცენტების დასმაში, მთავარი სათქმელის ამოცნობასა თუ იდეური მსოფლხედვის

აღმოჩენაში. მაგალითად, კარგი იქნება, თუ გოდერძი ჩოხელის მოთხრობის „წერილი ნაძვებს“ კითხვისას ბავშვებს გავაზრებინებთ ხის სიმბოლურ დატვირთვას. რას ნიშნავს ნაძვის სიმბოლოცა? რატომ გაწირა ბერმა თავისი ადამიანური საწყისი? რატომ ისურვა ხელ ქცევა? აუცილებლად ვესაუბროთ იმ ლიტერატურულ მიმდინარეობაზეც, რომელსაც ეს ტექსტი მიეკუთვნება. მაგიური რეალიზმი ძალიან საინტერესო რამეა, რეალობისა და ფანტაზიის შერწყმა განაპირობებს იმას, რომ მკითხველი იკარგება ტექსტის სიღრმეში, გამონაგონი ისე ბუნებრივად არის მოწოდებული, რომ ვერ გაუგია, სად მთავრდება რეალობა და იწყება ირეალური სამყარო. მთის სოფელი, ჩვეულებრივი ადამიანური ყოფა, კუთხური ლექსიკა, დიალოგები და ამ დროს, ჰოი, საოცრებაც, კაცს მზარზე ნაძვი ამოსვლია! საოცრება ის არის, რომ ეს კაცი ამ ნაძვს შვილივით უფროთხილდება, ასეირნებს, სუფთა ჰაერს აყლაპებს და საკუთარ თავს, ჯანმრთელობას და ადამიანობასაც კი სწირავს მის კარგად ყოფნას. აი, აქ ყურადღება უნდა გავამახვილოთ ნაძვის იდეაზე. შესაძლოა, მოსწავლემ ის მხოლოდ ბუნების ნაწილად



# განათლება - თავისუფლებაა!

[www.mastsavlebeli.ge](http://www.mastsavlebeli.ge)



ჩემს თანამედროვეთა შორის არაერთი მეგობარს იხსენიებ, ბავშვობაში, სტუმრისანობისას, ერთხელ მაინც არ შეეყენებინოთ პიედესტალზე და არ ეკითხოთ: „დედა უფრო გიყვარს თუ მამა?“ ერთადერთი პასუხი, რომელიც შენარხობებულს, ეშვავურად თვალგაქვიციმებული ბიძების ამ კითხვებზე გონებაში გვიტრიალებდა, იყო: „მიდი და სდრუზე ამას რამე!“ – მაგრამ ამის არც უფლებაც გვქონდა და არც საშუალება ასაკის, სტუმართოყვარებისა და კიდევ ბევრი რამის გამო, ამიტომ ვიდექით მდუმარედ, თავდახრილები და ველოდებოდით, როდის მოხებრდებოდათ ჩვენთან ერთობა ენაკვიმატოხუნვებს, რომლებსაც დიდებისთვისაც არაერთი „ჩამჭრელი“ კითხვა ჰქონდათ მარაგში. უფრო გონებაშეზღვევილი გამოცდები სხვა ტიპის კითხვებს ამჯობინებდნენ. ახლამთ „მეცნიერულ ოხუნჯობებს“ ვეძახი. მაგალითად, „როგორია პასუხი კვებზე?“ და „ერთი კილოგრამი ბამბა უფრო მძიმეა თუ ერთი კილოგრამი ოქრო?“. უკანასკნელ კითხვებზე უფრო მძიმედ და „ოქროს“ პასუხებზე, დაფიქრებულად კი – „არცერთს“, მაგრამ თუ კარგად დავუფიქრებდით, პასუხი ასეთი მარტივი არ არის. მაგალითად, გაუგებარია, კითხვის ავტორი მასს გულსხმობს თუ წონას. ბევრის სინისინონიმები ჰგონია, არადა, წონა ნიუტონებში იზომება, მასა – კილოგრამებში, წონა მიზიდულობის ძალის გავლენით იზომება და დაწოლის ძალა და კიდევ მრავალ ფაქტორზე დამოკიდებული, შესაბამისად, ერთი და იმავე სხეულისთვის მუდმივ სიდიდეს არ წარმოადგენს, მასა კი მუდმივია. ის მასალის რაოდენობას აღნიშნავს და ზღვის ზედაპირზე და კოსმოსშიც ერთი და იგივეა, თუ სხეული მთლად სინათლის სხივის სიჩქარით არ მოძრაობს. აქედან გამომდინარე, ზემოთ დასმულ კითხვებზე სწორი პასუხის გასაკვირვებელი, უპირველეს ყოვლისა, უნდა დაზუსტდეს, რას გვკითხვინან სინამდვილეში – მასა თუ წონას. თუ წონას, მაშინ ტოლია, თუ მასას – ბამბა უფრო მძიმეა, რატომ?

ბამბას ოქროსთან შედარებით ნაკლები სიმკვრივე აქვს, შესაბამისად, 1 კგ ოქროს ბამბას გაცილებით მეტი მოცულობა ექნება, ვიდრე

ოქროს, დიდ მოცულობაზე კი ჰქვარის ამომგდები ძალა უფრო მეტად მოქმედებს და ამცირებს ზედაპირზე დაწოლას, ანუ წონას. შესაბამისად, იმავე წონისთვის მასა ცოტა მეტი უნდა ავიღოთ, რომ ამომგდები ძალის კომპონენტი გააბათილოს.

ქიმიკოსებს კიდევ ერთი სახის „წონის“ სიდიდე გვაქვს. მას ნივთიერების რაოდენობას ვუწოდებთ და მოლეკლებში იზომება, მოლი კი აჩვენებს, მასალის შემადგენელი რამდენი ცალი ელემენტარული ნაწილაკია ატომი. მოლეკლებში ჩანს? სულაც არა. პირიქით. ის უნივერსალურია და განურჩევლად იმისა, ნივთიერება არაორგანულია, ორგანული თუ ბიოორგანული, მოლეკულა წყალბადით ერთი ციდაა თუ ვიტამინი B12- ვით გოლიათი, მაინც ერთი და იმავე რაოდენობის ნაწილაკს შეიცავს. ძველი განმარტებით, 1 მოლი შეიცავდა იმდენ ნაწილაკს, რამდენიც იყო 12 გ 12N ნახშირბადის იზოტოპში. შესაბამისად, მოლი წონის ერთეულზე, კილოგრამზე, იყო მიბმული, 2019 წელს კი გადავიწყვიტეთ, მოლი რაოდენობის უფრო „დამოუკიდებელი“ ერთეული ყოფილიყო, ამიტომ მის თანამედროვე განმარტებაში „კილოგრამი“ აღარ ფიგურირებს და უფრო მარტივად ყალიბდება: 1 მოლი ნივთიერება 6.022 140 76 × 10<sup>23</sup> ელემენტარულ ნაწილაკს შეიცავს.

ახალ განსაზღვრებაში ყურადღება უნდა მიექცეს ჩანაწერს „ელემენტარული ნაწილაკი“. რას გულისხმობს იგი? ეს შეიძლება იყოს მოლეკულა, ატომი, იონი და ა.შ. გააჩნია, რისგან შედგება ნივთიერება. მაგალითად, წყლის 1 მოლი 6.022 140 76 × 10<sup>23</sup> მოლეკულას მოიცავს, ხოლო სპილენძი – ატომს.

რამდენად მოხერხებულია ასეთი „უხერხული“ რიცხვის გამოყენება? გამოსავალი აქაც არსებობს. შეგვიძლია, მის ნაცვლად უბრალოდ „ავოგადროს მუდმივი“ ან „ავოგადროს რიცხვი“ ვთქვათ, რომლის რიცხვით მნიშვნელობაც ყველა კატალიგშია შეტანილი და მარტივად იძებნება.

ავოგადროს ლამის მისი რიცხვის სიგრძე სახელი ერევა – ლორენცო რომანო ამაღლო კარლო ავოგადრო დი კვარენია ე ჩერეტო. ტიტულიც გვარაინი ჰქონდა – გრაფი იყო. განათლებაც საკადროსი მიიღო. ჯერ კიდევ სიყმაწვილეში დაეუფლა

გეომეტრიასა და ელემენტარულ ფიზიკას. წინაპართა პროფესიის პატივისცემა დამისი გაგრძელების „ვალდებულება“ მაშინაც ტრადიცია იყო, ამიტომ ამედეო, მამის მსგავსად, იურისპრუდენციას გაჰყვა და 20 წლისამ უკვე დოქტორის ხარისხი მიიღო, თუმცა 25 წლისამ დამოუკიდებლად მიჰყო ხელი ფიზიკა-მათემატიკის შესწავლას და სულ მალე ძმასთან ერთად ორინამრომი წარადგინა ტურინის

მეცნიერებათა აკადემიაში, 1804 წელს კი აკადემიის წევრ-კორესპონდენტი გახდა ელექტრული და მაგნიტური მოვლენების თეორიაში შესრულებული ნაშრომისთვის. თავდაუზოგავი შრომისა და ახალი, ორიგინალური სამეცნიერო მიდგომების წყალობით მისი კარიერა სწრაფად მიიწევა და წინ. 1806 წელს ავოგადრო ტურინის ლიცეუმის რექტორად გახდა, სამი წლის შემდეგ კი – მასწავლებელი. 1819 წელს აკადემიის წევრად აირჩიეს, ერთი წლის თავზე კი ტურინის უნივერსიტეტის ახლად გახსნილი მათემატიკის ფიზიკის კათედრის პირველი პროფესორის სტატუსი მიიღო. მაგრამ არ შეერგო – 1822 წელს ხელისუფლებამ სტუდენტების გამოსვლა ჩაახშო და უნივერსიტეტიც თან მიაყოლა. ავოგადროს ფიზიკის პროფესორის მხოლოდ საპატიო ტიტული დარჩა და რაკი მათემატიკა კარგად იცოდა, პალატის უფროს ინსპექტორად დანიშნეს სახელმწიფო ხარჯების კონტროლის საქმეში. ათი წლის შემდეგ ტურინის უნივერსიტეტი ისევ გაიხსნა, მაგრამ ავოგადროს სულ კათედრაზე პროფესორად სამშობლოდან წამოსული ლუი კოში დანიშნეს. მხოლოდ კოშის საფრანგეთში დაბრუნების შემდეგ

აღადგინეს ავოგადრო მშობლიურ კათედრაზე. იქ 1850 წლამდე დარჩა, მერე კი უნივერსიტეტი დატოვა და თავისი საქმეები თავისივე მოსწავლეს, ფელიჩი კოსს გადააბარა.

საინტერესოა, როგორ მოახერხა ავოგადრო იმ ეპოქის სამეცნიერო-ტექნიკური შესაძლებლობებით ერთ მოლში შემავალი ნაწილაკების დათვლა. საქმე ის არის, რომ მას ისინი არ დაუთვლია. 1811 წელს, ატომური თეორიის

განვითარების გარიჟრაჟზე, მან წამოაყენა ჰიპოთეზა, რომ ერთ-სა და იმავე ტემპერატურასა და წნევაზე ერთნაირი მოცულობის აირები იდეალური (კეთილშობილი) აირების თანაბარი რაოდენობის მოლეკულებს შეიცავს. დღეს ეს კანონი ასე უწოდებენ: „ნებისმიერი ნივთიერების 1 მოლი ნივთიერებაში აირად ფაზაში იცავება 22.41383 ლიტრ მოცულობას“, – და ავოგადროს კანონი ეწოდება. ავოგადროს რიცხვის დასადგენად კი 1 მოლი ელექტრონების მუხტი ერთი ელექტრონის მუხტის სიდიდეს გაიყო. გაზომვის სიზუსტე და სრულყოფასთან ერთად ეს რიცხვი იცვლებოდა. მაგალითად, 2010 წლის გაზომვებით, ის 6.022 141 29 (27) × 10<sup>23</sup>-ის ტოლი იყო, 2014 წლიდან კი მიღებულია 6.022 140 857 (74) × 10<sup>23</sup>. ერთი შეხედვით, უმნიშვნელო ცვლილებაა, მაგრამ ბუნებისმეტყველებას სიზუსტე უყვარს, ამიტომ ესეც არ არის საბოლოო მნიშვნელობა. გაივლის წლები, ახალგაზრდობა უფრო ზუსტ და მართალ შეფასებას ისწავლის და ახალ, კიდევ უფრო დაზუსტებულ, ჭეშმარიტებასთან კიდევ უფრო ახლოს მდგომარეობებს შესთავაზებს შთამომავლობას.



ახალი ტექნოლოგიები უფრო და უფრო ღრმად აღწევს ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში. დღეს წარმოუდგენელია ცხოვრება შეტყობინებების, სოციალური ქსელების, ელექტრონული ფოსტის, ახალი ამბების გარეშე. ამ ყველაფერში მობილურ ტელეფონებს განსაკუთრებული ადგილი უკავია. სმარტფონებს იყენებს თითქმის ყველა, უგამონაკლისოდ, გაუზრუნველად სოციალური

არსებობს ასეთი ცნებაც – „ციფრული დეტოქსი“. ის გულისხმობს ინტერნეტისგან, კომპიუტერისა და ტელეფონისგან მოშორებით გატარებულ დროს, როდესაც შეგიძლიათ დაისვენოთ ინფორმაციის უსასრულო და უკონტროლო ნაკადისგან. ინტერნეტის უნივერსალური ხელმისაწვდომობის ფონზე ადამიანებს მუდმივად უფიქრად ახალ-ახალი სინდრომები, მათ შორის

ბა სტრესის სიმპტომები აღენიშნებოდა, მაგრამ თუ ისინი ზედმეტად არ არის გამოხატული, შესაძლოა, ადამიანს არც შეხადლოს ნომოფობია. ფობია ხომ არარაციონალური პასუხია კონკრეტულ მოვლენაზე. შესაბამისად, აუდიოვიზუალური მონიტორინგის მოსმენის ან ზარის განხორციელების შეუძლებლობის გამო უკმაყოფილება არ შეიძლება ჩაითვალოს ნომოფობიად. პირებს, რომლებსაც

რემე ამის შესაძლებლობას არ იძლევა. თინეიჯერებისთვის ინტერნეტსამყარო საკუთარი თავის განმტკიცების, რეალიზების, შემოქმედებითად გამოხატვის შესაძლებლობაა, თუმცა მას ასევე შეუძლია მათი შეტყუება ვირტუალურ ქსელებში, დამონება, რეალური ცხოვრების სუროგატით ჩანაცვლება.

ნომოფობია, ისევე როგორც ფობიური ანოქილია სხვა ვარიანტები, თავისთავად შეიცავს საფრთხეებს. მათ შორისაა ინტელექტის დაქვეითება, მუდმივი დაღლილობა, სოციალური ფობია, ნევროზული, შრომისუნარიანობის დაქვეითება, აღქმისა და თვითშეფასების დამახინჯება, უძილობა, აგრესიულობა და სხვა.

ინფორმაციის არასისტემური შთანთქმა, სხვების სავარაუდო წარმატებულ ცხოვრებაზე სოციალურ ქსელებში დაკვირვება, ონლაინკომუნიკაციის ხელმისაწვდომობა ზრდის შფოთვისას, საკუთარი თავით უკმაყოფილებას, სტრესის დონეს და დეპრესიის რისკფაქტორიც კი უსარგებლო გაერთიანებას, საკუთარი თავით უკმაყოფილებას, სტრესის დონეს და დეპრესიის რისკფაქტორიც კი უსარგებლო გაერთიანებას, საკუთარი თავით უკმაყოფილებას, სტრესის დონეს და დეპრესიის რისკფაქტორიც კი უსარგებლო გაერთიანებას.

როგორ გავაყვითოთ ეს?

**1. მოახდინეთ დაგეგმვის რანჟირება**  
რა თქმა უნდა, შეუძლებელია კომპლექსიანი დაგეგმვის მილიანად უარის თქმა. საბოლოო ჯამში, ბევრისთვის სწავლა და მუშაობა ინტერნეტთან არის დაკავშირებული. სანამ ტელეფონს გამორთავთ, ჩაიწერეთ ყველაფერი, რასაც აკეთებთ: უყურებთ ფილმებს, პოსტავთ სოციალურ ქსელებში, ურთიერთობთ, მუშაობთ. შემდეგ გადახაზეთ ის ამოცანები, რომლებზეც შეგიძლიათ უარი თქვათ დღეს, ხვალ, რამდენიმე დღით ან თუნდაც ერთი კვირის განმავლობაში.

**2. იფიქრეთ იმაზე, რით შეგიძლიათ ჩანაცვლოთ ინტერნეტი.**

დაიწყეთ მცირედით: პლანეტზე, ნაცვლად ვიდეოებისა, უყუროთ ფილმებს, თუ მას დიდ ეკრანზე ჩართავთ, კიდევ უკეთესია, ხოლო თუ მთელი ოჯახი შეიკრებიტ, განიხილავთ პერსონაჟებსა და სიუჟეტს, ჩათვალეთ, რომ დღის დავალება შესრულებულია. დაურეკეთ ან შეხვედით მეგობრებს. წაიკითხეთ,

დახატეთ ან იპოვეთ სხვა საინტერესო აქტივობა.

**3. გავიტრეთ გამოწერები და აპლიკაციები**  
გააქციეთ გამოწერა, რომელიც ქმნის ფონურ ხმაურს და თქვენს კედელს წაუკითხავი და დაუთვალთ-ერებელი მინარსით ავსებს. მინიმუმამდე დაიყვანეთ გამოწერების რაოდენობა. დაიტოვეთ ერთი საინფორმაციო არხი, წამალეთ ზოგიერთი აპლიკაცია, რომელიც დროს გახარჯვინებთ და სანაცვლოდ არაფერს გაძლევთ, წამალეთ თამაშები ტელეფონში და და პლანეტადან.

**4. გამორთეთ შეტყობინებები**

როგორც კი სმარტფონის ეკრანი განათდება, დაიწყოთ ხელში ვიღებთ და გამოწერებ: რა მოხდა? ვიღაცამ სასაცილო სურათი ატვირთა, ვიღაცამ მოიწონა, ზოგიერთმა აპლიკაციამ ავტომატურად შეტყობინება გამოგზავნა... და ასე, უსასრულოდ. თუ უსარგებლო გაერთიანებას წამალით და დატოვებთ ყველაზე მნიშვნელოვანს, მაგალითად, სამსახურის ან სკოლის ამბებს, ტელეფონი ნაკლებ ყურადღებას მიიპყრობს.


**5. დაინსტალირეთ ბლოკირი**

არსებობს ვებსაიტისა და აპლიკაციის არაერთი ბლოკირი. ყველა მნიშვნელოვან ფუნქციას ასრულებს: დროებით ბლოკავს ვებსაიტებსა და აპლიკაციებს თქვენს კომპიუტერში ან სმარტფონზე. შეგიძლიათ, მთელი დღით დაბლოკოთ სოციალური ქსელები, რათა ყოველ ნახევარ საათში არ შეამოწმოთ, ვინ სად რა დაწერა. ეს დაგეგმარებათ სამუშაოზე ფოკუსირებაში, ეკრანთან გატარებული დროის შემცირებაში. თქვენც თანდათანობით დააღწევთ თავს მუდმივ ონლაინ-ყოფნას.

**6. ჩართეთ მონოქრომული რეჟიმი**

ეს მეთოდი შემოგვთავაზა Google-ის ყოფილი დიველპოპერმა ტრისტიან ჰარისმა, რომელმაც დააარსა ორგანიზაცია Time Well Spent. მონოქრომული ეკრანი ნაკლები მნიშვნელობის ხდის გამოსახველობას და თქვენ აღარ ვინდებთ, დიდხანს უყუროთ სურათებსა და ვიდეოებს. შავ-თეთრი რეჟიმის ჩართვა ტელეფონის პარამეტრებიდან შეგიძლიათ.

**7. არ გამოიყენოთ გაჯეტები ძილის წინ და ჭამის დროს**  
ეკრანის შუქი ხელს



და ფინანსური მდგომარეობისა. ფაქტობრივად, მობილური ტელეფონი აუცილებლობად იქცა. მეორე მხრივ, სტატისტიკის თანახმად, მსოფლიოს მოსახლეობის დაახლოებით 40% იტანჯება ნომოფობიით – ტელეფონზე პათოლოგიური დამოკიდებულებით, მათ შორის – ბავშვები და მოზარდებიც. როგორ ამოვიცნოთ დაავადება დროულად? რა გავაყვითოთ, როდესაც დამოკიდებულების სიმპტომები ჩნდება?

ტელეფონზე დამოკიდებულება ძირითადად ბავშვებსა და მოზარდებში გვხვდება და ეს გასაკვირი არ არის, რადგან მყიფე ფსიქიკა ძალიან მგრძობიარეა ინფორმაციის ნაკადის მიმართ, ამიტომ ბავშვისთვის ასეთი „სათამაშოს“ შექმნისას უნდა ვიფიქროთ პრევენციამ, ყურადღება უნდა გავამახვილოთ იმაზე, რომ სმარტფონი მხოლოდ კომუნიკაციის, ახალი ცოდნის მიღებისა და საგანმანათლებლო საკითხების გადაჭრის საშუალება იყოს. მრავალ ქვეყანაში არსებობს მშობლის მიერ ბავშვის კონტროლის პროგრამები, რომლებიც ზღუდავს გავრცელებულ დაზარალებულ დროსა და დაინსტალირებული აპლიკაციების რაოდენობას.

ნომოფობია – ტელეფონთან განმორების შიში – და „დაკარგული მოგების სინდრომი“ – რაიმე მნიშვნელოვანის ხელიდან გაშვების, ინფორმაციის ნაკადისგან გარკვეული ხნით გათიშვის შიში. ბევრი მამინაც კი ტელეფონში თავიარაგული, როდესაც ვინმეს ცოცხლად ესაუბრება. ამ ჩვენს ფუნქციას ჰქვია. ზოგს შესაძლოა განუვითარდეს ფანტომური ვიბრაციის სინდრომი, როდესაც გეჩვენება, რომ ტელეფონი რეკავს და ვიბრირებს.

ამბობენ, რომ ნომოფობიის სტრესის ხარისხი საქორწილო ძელგარებას უტოლდება. როდესაც ტელეფონი მიუწვდომელია, ადამიანი ღიზიანდება და უწინდება სტრესორის ზემოქმედების ფიზიკური ნიშნები – ოფლიანობა, ჰაერის უკმარისობა, აჩქარებული გულისცემა. ახალგაზრდა თაობა განსაკუთრებით დაუცველია ნომოფობიისგან. ის ტექნოლოგიებთან ჩვეულებრივად მეგობრობს. მაგალითად, მოზარდები მოწონების დონას სოციალური ქსელებიდან იღებენ, რაც თანატოლების თვალში მათ სტატუსს ზრდის. ტელეფონის ქონას მათთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. ნებისმიერ ინდივიდს, რომელიც მუდმივად იყენებს ტელეფონს, შეიძლე-

ტელეფონის დაკარგვის შიში ნამდვილ ფობიაში აქვთ გადაზრდილი, უნდა ჰქონდეთ ანოქილიის კლასიკური გამოვლენები – პანიკური შიში, დაბნეულობა, ჰიპერჰიდროზი, გახშირებული გულისცემა, შემცივნება.

გამომავალია ანოქილიის მიუწვდომლობამ, ქსელის უქონლობამ, დაცვილი ბატარეამ, გაჯეტის უნებლიე დაბლოკვამ შესაძლოა მოზარდი ისეთ პანიკაში ჩააგდოს, რომ სომატური გამოვლინებები გამოიწვიოს. ცნობილია არაერთი შემთხვევა, როდესაც სმარტფონის არაადეკვატურმა აღქმამ მოზარდებში გამოიწვია წნევის დაწევა, თავის ტკივილი, გულისრევა. ფობიის ამგვარი ვარიანტით დაავადებული ადამიანი მანამდე ვერ დამშვიდდება, სანამ მოწყობილობა მის ხელში არ მოხვდება.

ყველასათვის ცხადია, რომ ვირტუალური სივრცე, რომელიც სმარტფონის წყალობით მუდმივად ხელმისაწვდომია, ბევრად უფრო ეფერადოვანი და მიზნიდევია, ვიდრე თანამედროვე რეალობა. „ქსელის სამყაროში“ შეგიძლიათ მოირგოთ ნებისმიერი როლი, გახდეთ ცნობილი, გახდეთ „სხვა“. მაკარი რეალობა კი საფუძვლიანი მუშაობის გა-

უმლის დაძინებას და მელა-ტონინის გამოშვებას, ხოლო ძილის წინ ინფორმაციის წარბი მიღება ზრდის აგზნებადობას, რის გამოც ცუდად გვეძინავს. როცა ტანის დროს ვკითხულობთ ახალ ამბებს ან ვუყურებთ ვიდეოებს, ვერ ვამჩნევთ, როგორ, რა სიჩქარით და რას ვხედავთ. ამის გამო იზრდება საკვების წარბად მიღების რისკი. ეცადეთ, ძილის წინ იკითხოთ ძროხად ქალაქში ნაბიჯები ან სპეციალური ელექტრონული ქალაქი ასეთი მკაფიო შუქს არ ასხივებს), ტანის დროს კი ყურადღება მიაქციეთ კვების პროცესს. ძალიან კარგია, თუ შეგიძლიათ, ვინმესთან ერთად ისაძილოთ ან იჯანმრთელოთ და კერძო ერთად ურთიერთობითაც ისაძილოთ.

### 8. გავჯექი მოშორებით დადეთ

თუ არ ელით სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან ზარებსა და წერილებს, დადეთ თქვენი ტელეფონი და პლანშეტი რაც შეიძლება შორს, რომ თვალში არ გეჩხირობოდეთ. ტექსტის უნივერსიტეტში შეცხიერებმა დაამტკიცეს, რომ საქვეზე კონკრეტულია მამინაც კი მცირდება, როცა სმარტფონი უბრალოდ ხელშია აწვდომადილას დევს. ჩატარდა ექსპერიმენტი, რომლის დროსაც 800 სტუდენტი სამ ჯგუფად დაიყო: პირველმა ტელეფონი ზურსა და რეჟიმზე გადაართო, მეორემ ზიბემი ჩაიღო, მესამემ კი სხვა ოთახში გაიტანა. ამის შემდეგ ყველა სუბიექტს ტესტირება ჩატარდა. მონაწილეებმა, რომლებსაც ტელეფონები სხვა ოთახში ჰქონდათ, უკეთესად გაართვეს თავი ამოცანებს, ვიდრე დახარჩუნებმა.

ახალი ჩვევების ჩამოყალიბება ძნელია, ამიტომ ჯობს, ეტაპობრივად იმოქმედოთ – უარს თქვით ერთ რამეზე, გაეცლით ერთი დღე, შემდეგ – სამი, შემდეგ – ერთი კვირა. რა თქმა უნდა, ინტერნეტსა და გავრცელებულ უარს თქმა არ გამოვა. ასეთი მიზანი არც არსებობს. მიზანი სტრესის შემცირებაა, შეეცადეთ, ყურადღება გაამახვილოთ დადებით ცვლილებებზე: შვითვის დონის შემცირებაზე, მეტ თავისუფალ დროზე, რომელსაც ბავშვებთან ან მარტოობაში გაატარებთ, მეტს ისეთივე, პირად საქმეებს მიხედვით. გავეტყუებ ცოტა ხნით უარს თქვით ბავშვებს ვარჯიშებზე, რომ შეგიძლია, უტელეფონოდაც გავერთოთ, კომპიუტერის გარეშეც ვისწავლოთ რამე ახალი და პლანშეტის გარეშეც გვეკონდეს ურთიერთობა მეგობრებთან.

„პარაფიქციის მალაზიის ვიტრინაში ქორფლის საწინააღმდეგო კრებით სავე უზარმაზარი ქილა იდგა. ქილაზე დიდი ასოებით ეწერა: „თქვენ ქორფლი გაწუხებთ?“ პეპიმ მალაზიის კარი შეაღო და შევიდა. დახლოვან ხანში შესული ქალი იდგა. პეპი პირდაპირ მისკენ გაემართა და მტკიცედ უთხრა: – არა!

– რა გინდა, გოგონი?

– გავკვირვებით ჰკითხა ქალმა.

– არა! – იმავე ტონით უპასუხა პეპიმ.

– ვერ გამოვიდა, რისი თქმა გსურს?

– არა, მე არ მაწუხებს ქორფლი. პირიქით, ძალიანაც მომწონს, ნახვამდის.

პეპი კარსაყენ გაემართა, მერე უცებ დახლისკენ შემოტრიალდა და დაამატა:

– აი, ისეთი კრემი თუ გაქვთ, ქორფლი რომ უფრო დამეტყოს, შეგიძლიათ გამომიგზავნოთ შინ შევიდი-რვა ქილა“.

ცოტა ხნის წინ ჩემს გოგონას (უკვე ვეღარც ვითვლი, მერამდენედ) ვუკითხავდი „პეპი გრძელწინდას“. კითხვის დროს ბევრს ვიკინით, ბევრს ვსაუბრობთ, განვიხილავთ სხვადასხვა საკვანძო თემას და მერე ისევ სულ-მოუთქმელად ისმენს ვილა „ყიციციოში“ დატრიალებულ ამბებს. ანასტასია უკვე რვა წლისაა და მის ცხოვრებაში ნელ-ნელა წვეთავს ამბები სილამაზის სტანდარტების, დიეტების, ჭარბწონიანობის, სილამაზის პროცედურებისა და სილამაზის ინდუსტრიის შესახებ. პეპი ანასტასიასთვის როლ-მოდელია, აღფრთოვანებულია მისი სიამაყით, იუმორით, კეთილშობილებით და თავდაჯერებულობით.

ის საკუთარ შესაძლებლობებში დარწმუნებული, მამაცი, ძლიერი და მზრუნველი გოგონა, რომელიც არ ეშუება უსამართლობას, აბეზარ ბიჭებს ჭკუას ასწავლის და სუსტი, უძმეო ადამიანების დანაგვირის უფლებას არ აძლევს. პეპი მარტო ცხოვრობს, მშობლების გარეშე, და დამოუკიდებლობას პატარაობიდანვე მიჩვეულია; ხეებსა და სახლის სახურავზე მარჯვენად დაცოცავს, ცხენის ხელში აყვანაც შეუძლია და „ჭრიჭინას“ მართვაც კარგად გამოსდის. როდესაც ასეთი ყოჩაღი ხარ,

თავდაჯერებული რომ არ იყო, არც გამოვა.

პეპისგან დიდებსაც და პატარებსაც უამრავი რამის სწავლა შეგვიძლია. ასტრიდ ლინდგრენი კი სწორედ იმიტომ არის გასაოცარი საბავშვო მწერალი, რომ ასე მსუბუქად, ძალდაუტანებლად, იუმორით და ლაღად მოაქვს ჩვენამდე ისეთი ამბები, რომლებმაც შეიძლება დაგვავიროს იმაზე, რა კარგია, როდესაც ბავშვი დამოუკიდებელია

როგორებიც სურთ იყვნენ. სოციალური მედიით თუ ტელევიზიით ჩვენ ვხედავთ თანამედროვე ქალის ისეთ ვიზუალურ სურათ-ხატებს, რომლებსაც გვსურს მივმსგავსოთ: იდეალური წონით, გამოყვანილი, წვრილი წელით, ფახულა, თოჯინისებრი წამწამებით, პრიალა სახის კანით. ასეთი ვიზუალური განმამტკიცებლები მოზარდ გოგონებს საკუთარ თავში კიდევ

როდესაც ამას უყურებს თინეიჯერი, რომელსაც ისედაც აქვს ეჭვები საკუთარ თავთან დაკავშირებით, არ მოსწონს თავისი ცხვირი ან წუხს მომატებული წონაზე, ამის შედეგად უქვეითდება თვისი შეფასება, უყალიბდება სხეულის უარყოფითი სურათი. მოზარდები ხშირად იცავენ დიეტას, რაც მათში კვების არაჯანსაღ პატერნებს აყალიბებს. მოზარდი ხომ ისედაც ითვლის „ლაიქებს“



და აქვს ცხოვრებისთვის საჭირო უნარ-ჩვევები; რომ თვითონ და სამყაროსთვის თვალის გასწორება ზოგჯერ ძალიან გვეხმარება შინაგანი წონასწორობის შენარჩუნებაში; რა კარგია, როცა საკუთარ თავს ვიღებთ ისეთს, როგორებიც ვართ – ეს გვეხმარება, თავი და გვევლოდეს იმ შესაძლებლობების, რომლებიც გვაქვს; რა მშვენიერია, როდესაც საკუთარი შესაძლებლობების გვერა, გამბედავი ხარ და ასე სხვებსაც უკეთ ეხმარები. უამრავი ასეთი შეტყობინება შეიძლება ამოვიკითხოთ „პეპი გრძელწინდაში“, გავუზიაროთ შეილებს, ერთად ვიფიქროთ და ვიმსჯელოთ.

გოგონები იმ რწმენით ვიზრდებით, რომ ბევრი რამ უნდა გამოვასწოროთ საკუთარ თავში, გარეგნობაში, რაღაც სტანდარტში მოვაქციოთ ჩვენი ქცევა, სხეული და წონა. სილამაზის თანამედროვე სტანდარტებმა და საშუალებებმა ქალის უფრო მეტად მისცა ცვლილების და საკუთარ გარეგნობაში კორექტივების შეტანის ფუნქცია. მათ შეუძლიათ გახდნენ ისეთები,

უფრო აეჭვებს. სილამაზის ინდუსტრია არა მხოლოდ გარეგნულ ფაქტორზე ახდენს გავლენას, ასევე ზემოქმედებს მოზარდის მეტაბოლურ ჯანმრთელობაზეც. მკვლევრები მიიჩნევენ, რომ გოგონები უფრო მოწყვლადნი არიან მასობრივი საინფორმაციო საშუალებების მიმართ, რომლებიც სხეულის იდეალური აგებულებისა და სიკამბდრის პროპაგანდას ეწევიან.

ფსიქოლოგი რუსუდან ზაალმევილი გვიხსენის, როგორ მოქმედებს სოციალური მედიის ხშირი მოხმარება მოზარდის ფსიქოემოციურ მდგომარეობაზე და როგორ ზრდის კვებითი აშლილობების განვითარების რისკს სოციალური მედიის მიერ შემოთავაზებული ქალის/გოგონას იმიჯები: „კვლევის თანახმად, მოზარდების, რომლებიც უფრო მეტ დროს ატარებენ სოციალურ მედიაში, მეტად განიცდიან კვების დარღვევებს. სოციალური მედია მოზარდს სთავაზობს „იდეალურ“ ადამიანებს და უქმნის ერთგვარ ილუზიას. მაგალითად, არავინ აჩენს სტრიებს – ყველას „იდეალური“ ტანი და სახე აქვს.

### შორინა ტყეშელაშვილი

## სიყვარულით, გოგონებს

ფეისბუქზე, „გულებს“ ინსტაგრამზე და თუ რაეცა ცოტაა, თვლის, რომ არ არის მიღებული და მოწონებული იმ ჯგუფის მიერ, რომელსაც სურს ეკუთვნოდეს“.

გარდატეხის ასაკში მოზარდი მრავალ გამოწვევას ეფხვება. ფიზიოლოგიური და ფსიქოლოგიური ცვლილებები მის ცხოვრებას ცვლის და ზოგჯერ ცხოვრების ხარისხს შესამჩნევად აუარესებს. ამ პერიოდში იცვლება მოზარდის სხეული და ისიც უფრო მეტად უღრმავდება საკუთარ თავს, აკვირდება და ზოგჯერ ზედმეტად კრიტიკულად აღიქვამს თავის გარეგნობას, არ მოსწონს ესა თუ ის ნაწილი, უკმაყოფილოა თმით, თვალებით, სახის კანის ფერით, სიმაღლით, სიდაბლით; აწუხებს აკნე, აშვითებს წონა, გარშემო მყოფების, განსაკუთრებით თანატოლების აზრი.

ასე მგონია, ამ გზას ყველა გოგონა გადის, საკუთარ სხეულის მიწვევების, უსიყვარულობისა და უკმაყოფილების ერთ-ერთ ყველაზე რთულ ცხოვრებისეულ მონაკვეთს. თუმცა ამ გზას ბოლოს მაინც მივყავართ მადლიერებისა და უნიკალური შესაძლებლობების აღმოჩენისკენ. ჩვენ, მშობლებმა და მასწავლებლებმა, უნდა დავარწმუნოთ თითოეული გოგონა, რომელსაც აკლია რწმენა თავდაჯერება, რომ იყოს ისეთი, როგორც არის, აღმოაჩინოს დაფარული შესაძლებლობები და შეიყვაროს საკუთარი თავი.

გერმანელი კოლეგის ტილმან კიზერის ლექცია-სემინარიდან რამდენიმე მნიშვნელოვანი გზავნილი და საფიქრალი წამოვიყოლე. მინდა, გავიზიაროთ.

ტილმან კიზერი ჰიბერნიის ვალდორფის სკოლის დაწყებითი კლასების მასწავლებელი და დურგალია. ის ბავშვებს სასკოლო საგნებთან ერთად ხეზე მუშაობასაც ასწავლის. ხელობის გაკვეთილებზე ერთ-ერთი დავალება ხის გემის შექმნაა. გვიზიარებდა გერმანელი მასწავლებელი თავის გამოცდილებას და ასეთი რამ ასხენა:

„გემის გაუმჯობესების პროცესი მონოტონური, ერთფეროვანია. საჭირო საქმეა, ოღონდ პროცესში შეიძლება დაგაფიქვდეს, რას აკეთებ და რატომ. ასეთ დროს ობიექტიდან აბსტრაქცია, შორიდან შეხედვა და დაფიქრება საჭიროა: რას ვაკეთებ? რისთვის? ხომ არ დამავიწყდა მიზანი? სად ვარ? საით მივდივარ? რა გეზი მაქვს? რას მივიღებ, როდესაც ამას დავესრულებ?“

ამ სურათხატოვანი ჩანართის შემდეგ მომხსენებელმა თანამედროვე სამყაროს გამოწვევებსა და განათლების მნიშვნელობაზე ისაუბრა. რა არის დღეს სკოლის მიზანი და ფუნქცია? რა უნარებითა და ცოდნით უნდა აღეჭურვით მოსწავლე, რომ ის დამოუკიდებელ, ძლიერ, შემოქმედ, მოქმედ ადამიანად იქცეს?

აი, ის კითხვები, რომლებიც უნდა დაისვას მონოტონური სასწავლო პროცესის დროს. ყოველდღიურ საზრუნავში ჩაფლულ მასწავლებელს, დღის, სემესტრისა და წლიური გეგმების, ათასგვარი ანალიზის, საწერის, ბიუროკრატიული ტვირთის წინეჭევე, პერიოდულად სჭირდება აბსტრაქცია, „ცოდნის გემისთვის“ გვერდიდან შეხედვა. კითხვების დასმა. მიზნების გამოკვეთა. ირგვლივ მიმოხედვა. რეალობის შეფასება. მოსწავლეებთან დაახლოება. მათი ხმის გაგონება. არა მარტო გაგონება, გააზრება: რას ამბობენ ისინი? რას უმკლავდებიან? რა ემოციურ მდგომარეობაში არიან?

გადავდგათ ერთი ნაბიჯი უკან. შევხედოთ ჩვენი „ცოდნის გემს“. რას ვთავაზობთ მოსწავლეებს?

**სურათი 1. გაკვეთილების „კალენდრისკოპი“**

დღის ცხრა საათიდან, 5-10 წუთიანი შესვენებებისა და დიდი შესვენების ჩათვლით, მოსწავლეები ესწრებიან რამდენიმე 45 წუთიან გაკვეთილს.

პირობითად, ავიღოთ სამუალო საფეხურის გაკვეთილების ცხრილი.

გაკვეთილების წყება დაიწყო ქართული.

45 წუთში დასრულდა. დასვენება. მერე – 45 წუთი მათემატიკა. დასრულდა.

+ რომელიმე საბუნებისმეტყველო საგანი (ქიმია/ფიზიკა/ბიოლოგია...).

დასრულდა. რომელიმე უცხო ენა. სამოქალაქო.

დასრულდა.

თუ გაუმართლათ – სულ

ესაა. თუმცა, უმეტესწად, 6 ან 7 გაკვეთილი ტარდება. თვალსაჩინოებისთვის საძიებო სისტემაში სიტყვების „გაკვეთილების ცხრილი საშუალო საფეხურზე“ შეყვანისას მოძიებულ

ახერხებს, როდის? როგორ? სამყაროს რა სურათს იღებს ხანმოკლე ინტერვალებით გამოყოფილ გაკვეთილებზე დასწრებისას?

ინტეგრირებული სწავლება ერთ-ერთია იმ მეთოდთაგან, რომლებიც ამ პრობლემის გადასაჭრელად შეიძლება განვიხილოთ, მაგრამ რამდენად ხშირად ახერხებენ მასწავლებლები თანამშრომლობას? რა საგნები მიეწოდებათ მოსწავლეებს ისე, რომ მათ ინტერდისციპლინური კავშირების დახმარებით შეძლონ ცოდნის კონსტრუირება?

ვფიქრობ, ეს გაფანტული, ფრაგმენტული სურათი საგულისხმო ფაქტორია განათლების ხარისხზე მსჯელო-

**სურათი 2. მიესაჯოს მერხთან ჯდომა!**

მერხებთან დღის უმეტესი ნაწილის გატარება მართლა მოსახდელ სასჯელს ჰგავს. ეს შედარება შემზარავი კია, მაგრამ მოზარდების მთელი დღის განმავლობაში მერხებთან დასმა კიდევ უფრო შემზარავია. ფიზიკური აღზრდის კვირაში რამდენიმე საათი სურათს დიდად ვერ ცვლის.

მერხებთან უძრავად ჯდომა! ერთ კლასში. ერთ სივრცეში (ნავალება მაინც?!)

სენა! გაგონება! დაფას მიმტრება!

პარაგრაფიდან პარაგრაფამდე დამუშავება! დაუთხვია!



პირველივე ცხრილს დავურთავ:

N	ორშაბათი
1	საქ. ისტორია
2	ფიზ. აღზრდა
3	ქიმია
4	მათემატიკა
5	ინგლისური
6	ქართული
7	ბიოლოგია

საქართველოს ისტორიის შემდეგ – ფიზიკური აღზრდა, ქიმია, მათემატიკა, ინგლისური, მეექვსე გაკვეთილად – ქართული და შემდეგ – ბიოლოგია.

კითხვა: რა რჩება სამუშაო დღის ბოლოს მოსწავლეს სხვადასხვა დარგის შემსწავლელი ამ შვიდი გაკვეთილიდან? ამ თანმიმდევრობით 45 წუთით საკლასო ოთახში შესვლა-გამოსვლის შედეგად რას იძენს ის? გასაგებია, რომ სასწავლო გეგმა, მიზნები და ამოცანები წლიურია, შედეგებსაც წლის (სემესტრების, შემავაზებელი სამუშაოების) განმავლობაში ვიძიებთ, მაგრამ ასე დაგეგმილი სასწავლო პროცესი ნამდვილად ეფექტურია? თანადროულია? შედეგაინა? საკუთარი თავი რომ წარმოიდგინოთ: ფიზიკური აღზრდის გაკვეთილის შემდეგ – ქიმიან, მერე კი ქართულზე, რომელსაც ბიოლოგია მოსდევს, – რა განცდა დაგეუფლებოდათ? რამდენად ახერხებს მოსწავლე ასე ფრაგმენტულად მიღებული ცოდნის გამოლიანებას? და თუ

ბისას, ეს მიდგომა – გაკვეთილების უთავბოლო წყება – რალაცით კალენდრისკოპში შემთხვევით შექმნილ ფორმას მაგონებს.

„დღეს სკოლების უმეტესობა ყურადღებას იმაზე ამხვილებს, რომ მოსწავლეებმა ინფორმაცია დაიზუთონ. წინათ ასეთი მეთოდი მართებულად მიიჩნეოდა, რადგან ხელმისაწვდომი ინფორმაცია ცოტა იყო... XXI საუკუნეში კი, პირიქით, უზარმაზარი მოცულობის ინფორმაცია ლამისაა წავლევს. ასეთ სამყაროში ერთი რამ, რასაც მასწავლებელმა თავი უნდა აარდოს, მოსწავლეებისთვის მეტი ინფორმაციის მიწოდებაა. ბავშვებს ეს ისედაც არ აკლიათ. ამის მაგივრად ადამიანებს ინფორმაციის გააზრება, მნიშვნელოვნისა და უმნიშვნელოს ერთმანეთისგან გარჩევა და, რაც მთავარია, სხვადასხვა ცნობის ურთიერთშერწყმით მსოფლიოს ზოგადი სურათის დანახვა უნდა ასწავლონ“, – წერს იუვალ ნოა ჰარარი წიგნში „21 გაკვეთილი ოცდამეერთე საუკუნისთვის“. ამ წიგნში მკვლევარი თანამედროვეობის მოსწავლე და მნიშვნელოვან საკითხებს მიმოიხილავს. განათლების, აზროვნების განვითარებისა და ადამიანის წინაშე დღეს არსებული სირთულეების გადასაღებად საჭირო უნარების მიმოხილვას ის საგანგებო „გაკვეთილს“ უთმობს. წიგნი საინტერესო საკითხავი იქნება მასწავლებლებისთვისაც და მოსწავლეებისთვისაც. ეს მნიშვნელოვანი „გაკვეთილები“ გასააზრებელი და დამაფიქრებელია.

მოკლე შინაარსი! პარაგრაფის შინაარსი – წერით! კითხვებზე პასუხი – წერით! უტრირებულია?

მაინც რამდენად უტრირებულია სასკოლო პროცესის ეს აღწერილობა? მოსწავლეები სხედან და სხედან.

„აბა, რა უნდა ქნან?“ – ისმის შემხედერი კითხვა.

მოზარდმა უნდა იმოძრაოს.

მოზარდმა უნდა ისწავლოს საკუთარი სხეულის მართვა. გაუმჯობესება. უნდა შეიმეცნოს საკუთარი თავი. გამოსცადოს ის სხვადასხვა სიტუაციაში. შემოქმედებით, ჩარჩოებს მიღმა აზროვნებას უნდა დაეუფლოს. ფიზიკური ვარჯიში სასრატოვლო მნიშვნელობისაა.

45-წუთიანი გაკვეთილების წყება (შვიდეჯერ ორმოცდახუთი!) მტანჯველია სხეულისთვის. რა თქმა უნდა, ამ სხეულში დავროვდება ენერჯია, რომელიც გამოთავისუფლებას მოითხოვს.

რატომ სხედან ჩვენი მოსწავლეები უძრავად 45 წუთის განმავლობაში?

„აბა, რა უნდა ქნან?“ უნდა იმოძრაონ.

შექმნან გაკვეთილზე ჯგუფები – გადაადგილდნენ ერთმანეთისკენ. დაჯგუფდნენ.

წვიცილებს მიეცეთ დავალება: მოძებნეთ სკოლის შენობაში ან გარეთ (თუ უსაფრთხოა) სივრცე, აიღეთ 10 წუთი, იფიქრეთ მოცემულ დავალებაზე. დაბრუნდით და ნაფიქრი გაგვიზიარეთ.

დასასრული იხილეთ [www.mastsavlebeli.ge-ზე](http://www.mastsavlebeli.ge-ზე)



ალიქვას, პერსონაჟის ქცევა კი – ბუნებისთვის თავგანწირვად, არადა, ეს მხოლოდ ზედაპირული გააზრებაა. დავსვით კითხვა: რის სიმბოლო შეიძლება იყოს ნაძვი? დავაფიქროთ ჩვენი მოსწავლეები, რატომ ვერთავთ ახალ წელს მაინცდამაინც ნაძვს? მოვუყვით ქართული მითოლოგიიდან ამბები ხეებზე, შევასხენოთ ქრისტიანობაში ხის დანიშნულება და ისინი აუცილებლად მივლენ იმ აზრამდე, რომ პერსონაჟმა თავი უბრალოდ ნაძვს კი არ შესწირა, არამედ მარადიულობას, განახ-

საკითხებზე დისკუსია, ერთი მხრივ, ანალიტიკურ უნარებს განუვითარებს მოსწავლეებს, მეორე მხრივ კი იმ საკითხებზე დააფიქრებს, რომლებიც მათთვის მისტიკური, საიდუმლოებით მოცულია.

თავის ეზოში დაკრძალავს. მის საფლავზე ამოდის უზარმაზარი, მშვენიერი ხე. რამდენიმე წლის შემდეგ უზომოდ დარდიანი მამა ხეს მოჭრის და მისგან პატარა ბიჭს გამოთლის. ხის ბიჭუნა სასწაულებრივად ცოცხლდება. თითქოს მამა შვილს იბრუნებს... ხისთვის სულის ჩადგმის ეს



ლებას, რწმენას, ღმერთთან დამაკავშირებელ გზას. იდეისთვის ასეთი თავგანწირვა – უღმერთო სამყაროში, სადაც ბერის სოფელში ერთი ნაძვიც კი არ ხარობს! მოვაძებნინოთ მოსწავლეებს ინფორმაცია ხის სიმბოლიკაზე სხვადასხვა კულტურაში – ასე მათ ტექსტის სიღრმეებში წვდომას მივაჩვენებთ. რატომ უნდა იქცე ნაძვად ურწმუნოთა სამყაროში? დღეს რა გვაკლია? რად ქცევა სწუწურია ადამიანს? ნაძვად თუ თევზად? ასეთ



თემზე მუშაობისას მოსწავლეებს ასევე ვაჩვენებდი ახალ ანიმაციურ ფილმს „პინოქიო“, რომელიც ცნობილი ამბის განსხვავებულ გააზრებას გვთავაზობს. მამას ქალაქის დაბომბვისას გარდაეცვლება პატარა ბიჭი, რომელსაც

პროცესი ადამიანის ყველაზე ბუნებრივ რეინკარნაციად იქცევა.

ჩვენი ბავშვები იშვიათად კითხულობენ ქართულ ხალხურ ზღაპრებს, ან, თუ კითხულობენ – ადაპტირებულ ვერსიებს.

**ჩვენი ბავშვები იშვიათად კითხულობენ ქართულ ხალხურ ზღაპრებს, ან, თუ კითხულობენ – ადაპტირებულ ვერსიებს. არადა, სწორედ ამ ზღაპრებშია ჩვენი იდენტობის უზარმაზარი ნაწილი. ქართული ხალხური ზღაპრები გასაღები უამრავი სიმბოლური სახისა და მეტაფორისა.**

არადა, სწორედ ამ ზღაპრებშია ჩვენი იდენტობის უზარმაზარი ნაწილი. ქართული ხალხური ზღაპრები გასაღები უამრავი სიმბოლური სახისა და მეტაფორისა. ბოროტი დედინაცვლის გამო ალვის ხედ ქცეული გოგონა, მისგან გამოთლილი მკვნესარე სალამურის სევდიანი ჰანგი, კონკიას დედის საფლავზე ამოსული აშოლტილი ხე, რომელიც გოგონას ბედნიერებას მოუტანს და წერილის დასაწყისში ნახსენები ხის სიმბოლოს გააზრება.

ვფიქრობ, ტექსტის ასე მრავალმხრივ დამუშავება, პარალელების ძიება, სიმბოლოების პირველწყაროებზე ფიქრი არა მხოლოდ საინტერესოს გახდის ტექსტებზე მუშაობის პროცესს, არა მხოლოდ სწავლის მოტივაციაზე იმოქმედებს, არამედ ძიებას, კვლევას მიაჩვევს, ცოდნის სკივრს აუვსებს ჩვენს ბავშვებს. ხის სიმბოლოების ძიებას რომ გავყვეთ, ძალიან შორსაც წავალთ: კელტური სამყარო, დრუიდები, სკანდინავიური მითოლოგიიდან ცნობილი ხე – ივდრასილი, რომელიც ცხრა სამყაროს აერთიანებს... ამ ხის ამბავი ჩვენს მოსწავლეებს აუცილებლად ეცოდინებათ – სკანდინავიური მითოლოგიიდანაა თორი, რომელიც „მარველის“ კომიქსების ცნობილი სერიის პოპულარული პერსონაჟია. ჩვენ, მოსწავლელები, ძაფებს ვაბამთ და ვაკავშირებთ უძველეს სამყაროს თანამედროვეობასთან. უალრესად საინტერესოა, ახალ დროებაში რა დაემართათ მითიურ სახეებს – ისინი კინემატოგრაფმა გარდაქმნა და ისეთ პროდუქტებად აქცია, რომლებიც მილიონებად იყიდება. ამ საკითხს თუ ჩავუღრმავდებით, შევამჩნევთ,

რომ ახალ ფილმებში, წიგნებში, ანიმაციებში მრავალი მივიწყებული მითოსური სახეა.

ამ მიმართულების გაგრძელება იქნება „ვეფხისტყაოსნის“ ერთი თავის გააზრება: „წასვლა ავთანდილისგან ფრიდონისასა“. ავთანდილი, რომელმაც სულ ახლახან მოისმინა ტარიელის ტრაგიკული ამბავი, მეგობრობა შეჰფიცა გმირს და თუნდაც სიცოცხლის ფასად დახმარებას შეჰპირდა, რომელმაც სატრფო მიატოვა და ეს ცალკე ასევე დანებს, მიდის – სად, თავადაც არ იცის... მიზანი ცხადია: მეგობარს უნდა დაეხმაროს! სატრფოს თხოვნა შეუსრულოს! ყველაფრის ფასად! მიდის ფრიდონის საპოვნელად, ოღონდ არ იცის, მოკვდება თუ გადარჩება, არ იცის, საყვარელ თინათინს კიდევ იხილავს თუ არა. აი, ასეთი დარდით სავსე ახალგაზრდა ყმაწვილი ხმამაღლა ტირის, სამყაროს აყრუებს გულმოკლული მიჯნურისა და მეგობრის ვაება. და ყველა გზა რომ მოჭრილია, ღმერთის მიმართ ლოცვაც აღვლენილია, ავთანდილი მნათობებს მიმართავს თხოვნით. აი, აქ იწყება ყველაზე საინტერესო, მისტიკური რამ: თითოეული პლანეტის მიმართ აღვლენილ თხოვნაში ამ პლანეტის სიმბოლური მნიშვნელობა მოჩანს. პირველი ადრესატი, რა თქმა უნდა, მზეა. მზე სიმბოლოა მთავარი ღვთაების, ნათლის, დიდებულების, სამყაროს ცენტრისა და სამყაროს თვალის და ყველაზე ძვირფასი, სანატრელი სურვილი მას მიემართება: „მე ნუ გამყრი საყვარელსა, ნუ შემეცვლი ღამედ დღესა!“ შემდეგია ზუალი, იგივე სატურნი, ემოციებზე მოქმედი პლანეტა, და მის მიმართ თხოვნაც ასეთია: „შემომყარე

კაემანი, ტვირთი მძიმე, ვითა ვირსა,/ მას უთხარ, თუ: „ნუ გასწირავ, შენია და შენთვის ტირსა“. მას მოსდევს მუშთარი, იგივე იუპიტერი, სამართლიანობის პლანეტა: „ნუ ამრუდებ უმართლესსა, ნუ წაიწყებდ ამით სულსა!“ მარინი იგივე მარსია, ომის ღმერთი: „მოდი, მარინო, უწყალოდ დამჭერ ლახვრითა შენითა“. ასპიროზი – ვენერა, ოტარიდი – მერკური. აქვე – ამონარიდი საინტერესო სტატიიდან: „აღმოჩნდა, რომ იმდროინდელი კაცობრიობის მიერ საყოველთაოდ მიღებული პტოლემოსის გეოცენტრული სისტემა „ვეფხისტყაოსანში“ უარყოფილია და მის ნაცვლად მოცემულია სამყაროს აგებულების ახალი მოდელი, რომელიც მეცნიერთა მიერ მხოლოდ მეთექვსმეტე საუკუნეში იქნა შემუშავებული“. ამ წერილის ბმული:

<http://astronet.ge/2012-05-14-10-50-33/>

პოემის სიმბოლოებზე მუშაობით, ასტრონომიის და თუნდაც ასტროლოგიის ქრილში განხილვით, ძიებით, კვლევით, მსჯელობით, შეიძლება, „ვეფხისტყაოსანი“ ჩვენი მოსწავლეებისთვის საყვარელ ტექსტად ვაქციოთ.

წერილი რითაც დავიწყე, იმითვე დავასრულე: თუ სასწავლო პროცესში გავითვალისწინებთ მოსწავლეების ინტერესებს, მისწრაფებებს, თუ თავისუფლად ვიმსჯელებთ, მოვამყობთ დისკუსიებს, შედეგი ჩვენვე გავგაოცებს. მე კი გისურვებთ დაუვიწყარ მოგზაურობას სიმბოლოების, მითებისა და ტექსტების საოცრად საინტერესო სამყაროებში.



# ემპათია, სკოლა და თანამშრომლობა



ქეთევან კობალაძე

ემპათია ჰუმანიზმის არსი და მზრუნველი, კეთილი პიროვნების ჩამოყალიბების საფუძველია. ემპათია არასდროს ყოფილა ისეთი მნიშვნელოვანი, როგორც ჩვენს თანამედროვე ყოფაში. სწორედ ამიტომ, უფროსებმა უნდა განუვითარონ პატარებს სხვა ადამიანების გრძნობებისა და მოთხოვნილებების გაგების უნარი. ეს მოსაზრება ეკუთვნის მიშელ ბორბას, მრავალი წიგნის ავტორს, რომლებიც ბესტსელერებად არის აღიარებული. ბავშვთა აღზრდის საკითხების ექსპერტს, ყოფილ პედაგოგს, სპეციალური განათლება აქვს მიღებული შშმ ბავშვებთან მუშაობის სფეროში. მიშელ ბორბამ სან-ფრანცისკოს უნივერსიტეტში მოიპოვა დოქტორის ხარისხი პედაგოგიურ ფსიქოლოგიაში და მთელი მსოფლიოს მასშტაბით უწევს კონსულტირებას მშობლებსა და პედაგოგებს. მიღებული აქვს არაერთი ჯილდო და ცნობილია როგორც ახალგაზრდებში ბულინგისა და ძალადობის პრევენციის სპეციალისტი.

ამერიკელი ავტორი, რომელსაც ლექციები მსოფლიოს 30 ქვეყნის დიდ ქალაქებში ჩაუტარებია, გულსტკივილით აღნიშნავს, რომ სრულიად განსხვავებული კულტურის ხალხებში ერთნაირი ტენდენცია შეინიშნება, რომელიც თანამედროვე ცხოვრების რიტმის გამო ბავშვებისთვის „ბავშვობის წართმევით“ გამოიხატება. რამდენიმე ათეული წლის წინ ბავშვობა გელოსიპედით სეირნობაში, ხტუნვასა და სირბილში ანუ ცოცხალი

ურთიერთობების პირობებში მიმდინარეობდა. ახალი თაობა თავისუფალ დროს სახლში, ელექტრონულ მოწყობილობებში ვირტუალურ თამაშში ატარებს. ფსიქოლოგები სულ უფრო მეტად წუხან, რომ გაიზარდა ბავშვებში დეპრესია, შფოთვა, ნარცისიზმი.

„ბავშვებს არავინ ასწავლის მეგობრობას, მათ არ შეუძლიათ ჯანსაღი ურთიერთობების წარმართვა და ემპათიის გამოვლენა“, – წერს მიშელ ბორბა. მას მიაჩნია, რომ აუცილებელია ამ სიტუაციიდან გამოსავლის პოვნა. მშობლებმა, მასწავლებლებმა, მზრუნველებმა ხშირად და გულდასმით უნდა მოუსმინონ ბავშვებს, რათა დაეხმარონ მათ თანამშრომლობითი, ემპათიური ურთიერთობების განვითარებაში, რაც, თავის მხრივ, ბულინგისა და ძალადობის პრევენციას შეუწყობს ხელს.

სკოლა ის ადგილია, სადაც კარგად ჩანს ბავშვების ურთიერთდამოკიდებულება საკლასო ოთახებში, დერეფნებში, სათამაშო და სპორტულ დარბაზებში. სკოლებს შეუძლიათ, თავად შექმნან ან დანერგონ სხვა სკოლების მიერ შექმნილი პროგრამები, რომლებიც დაეხმარება მოსწავლეებს, ერთმანეთის დაცინვის, ჩხუბისა და აგრესიის ნაცვლად მხარი დაუჭირონ, შეაქონ, წაახალისონ მოწინააღმდეგე, ანუ ისწავლონ კონფლიქტის მშვიდობიანად მოგვარება.

**ემპათია ჰუმანიზმის არსი და მზრუნველი, კეთილი პიროვნების ჩამოყალიბების საფუძველია. ემპათია არასდროს ყოფილა ისეთი მნიშვნელოვანი, როგორც ჩვენს თანამედროვე ყოფაში. სწორედ ამიტომ, უფროსებმა უნდა განუვითარონ პატარებს სხვა ადამიანების გრძნობებისა და მოთხოვნილებების გაგების უნარი.**

**მშობლები შვილებს  
ნარმატებულ და  
ბედნიერ მომავალს  
უგეგმავენ, მაგრამ  
არ ღირს, ისინი  
გამუდმებული  
შეჯიბრებისა და  
კონკურენციის  
მდგომარეობაში  
ვამყოფოთ. მიშელ  
ბორბა მშობლებს  
განუმარტავს, რომ,  
კვლევების თანახმად,  
„თანამშრომლობითი  
სწავლება უფრო  
ნარმატებულია, ვიდრე  
კონკურენტული,  
რადგან ბავშვები  
საკუთარ თავს უფრო  
მეტად ენდობიან და  
ერთმანეთთან მეტ  
საერთოს პოულობენ.**

„თამაშის დროს ბავშვები სწავლობენ საუკეთესო თვისებების გამოვლენას, – განაგრძობს მიშელ ბორბა, – პირველივე კლასებიდან კოლექტიური თამაშები აუცილებელია პატარებისთვის. ამ დროს ბავშვები მხოლოდ შეჯიბრების პირობებში კი არ არიან ერთმანეთთან, არამედ სწავლობენ კეთილგანწყობილ, თანამშრომლობით ურთიერთობებს. კოლექტიური თამაშები ხელს უწყობს ბავშვების სოციალურ, ემოციურ, კოგნიტიურ, ფიზიკურ განვითარებას, ემპათიურ თანაგანცდას, ემპათიისა და კეთილგანწყობის პოტენციალის გამომჟღავნებას. ისინი შემდგომშიც ასევე ექცევიან თანატოლებს“.

ფსიქოლოგის აზრით, გაკვეთილებს შორის ხანგრძლივი შესვენებები უნდა დაინერგოს, რათა ბავშვებმა ენერჯის აღდგენასთან ერთად მოასწონ თამაში, რომელიც მრავალი კვლევის შედეგად აღიარებულია აკადემიური მიღწევების, კონცენტრაციის უნარისა და პოზიტიური ქცევის ხელშეწყობად. აუცილებელია, მშობლებმა/ აღმზრდელებმა იცოდნენ, რომ არ ღირს ბავშვების გადატვირთვა დამატებითი გაკვეთილებით, რეპეტიტორებთან მეცადინეობით. საზოგადოდ, სტრუქტურირებული აქტივობებით შევსებული დღის განრიგი ხელს უშლის სპონტანურობის, კრიტიკული აზროვნების, პრობლემის გადაჭრისა და გადაწყვეტილების მიღების უნარ-ჩვევების განვითარებას. თუ ბავშვებს თავისუფალ დროს არ შევუზღუდავთ და თანატოლებთან ურთიერ-

ობის საშუალებას მივცემთ, მათი ბედნიერებისა და ემპათიის დონეს გავზრდით. ამავე დროს, მათი აკადემიური მოსწრებაც გაუმჯობესდება.

მშობლები შვილებს წარმატებულ და ბედნიერ მომავალს უგეგმავენ, მაგრამ არ ღირს, ისინი გამუდმებული შეჯიბრებისა და კონკურენციის მდგომარეობაში ვამყოფოთ. მიშელ ბორბა მშობლებს განუმარტავს, რომ, კვლევების თანახმად, „თანამშრომლობითი სწავლება უფრო წარმატებულია, ვიდრე კონკურენტული, რადგან ბავშვები საკუთარ თავს უფრო მეტად ენდობიან და ერთმანეთთან მეტ საერთოს პოულობენ. მოგვსენებათ, რომ ფსიქოლოგია შეისწავლის ადამიანების ურთიერთობებს, მათ შორის თანამშრომლობას, აგრესიას, მიუღებლობას, საზოგადოებაში დამკვიდრებულ ცრურწმენებს და მრავალ მსგავს და განსხვავებულ ფენომენს. ჩემი ინტერესის საგანი ემპათიის განვითარების ოპტიმალური გზების მოძიებაა. თანამედროვე სამყაროში ემპათია ატყუალურია, რადგან ბულინგი კვლავ სერიოზულ გამოწვევად რჩება“.

ფსიქოლოგი მასწავლებლებს ურჩევს, თავდაპირველად მოსინჯონ ე.წ. „საკლასო შეხვედრები“. გვერდიგვერდ მსხდომ მოსწავლეებს სთხოვონ, უთხრან მეზობელს რამე სასიამოვნო, მერე კი განიხილონ, მაგალითად, დღის განრიგი, დღის ბოლოს გაუზიარონ ერთმანეთს სიახლეები ან ნებისმიერი სხვა რამ. „მსურდა, ამით ბავშვების-



ვის კლასში შექმენა ისეთი პირობები, რომლებიც ხელს შეუწყობდა ერთიანობის, თანამშრომლობის, კომუნიკაბელურობის ატმოსფეროს განმტკიცებას, – წერს ის, – ჩემთვის გამარჯვების მომტანი გახდა ერთი ისტორია: საკლასო ოთახში შესვლისას დავინახე, რომ ბავშვები თანაკლასელი გოგონას გარშემო ისხდნენ და ამშვიდებდნენ. გაირკვა, რომ დასვენებზე მისთვის სხვა ბავშვებს დაუცინიათ. თანაკლასელებმა „საგანგებო თათბირი“ გამართეს და დახმარების გეგმა შეიმუშავეს. ბავშვები შეთანხმდნენ, რომ გოგონას დასვენებებზე მართოს არ დატოვებდნენ. ამრიგად, ოჯახური შეხვედრები, თანაკლასელების შეხვედრები და თუნდაც უფრო დიდი მასშტაბის სასკოლო შეხვედრები ასწავლის ბავშვებს ურთიერთთანადგომას, სხვა ადამიანების მოსაზრებების მოსმენას და გაზიარებას. ასევე, პატარები და მოზარდები გამოიმუშავენ სოცი-ალურ-ემოციურ უნარ-ჩვევებს“.

მიმელ ბორბა მკითხველს რვა რჩევასაც აძლევს, რომლებიც მათ დაეხმარება, შინ თუ სკოლაში გამართონ ეფექტური შეხვედრა-საუბრები:

1. „შეიმუშავეთ მოქნილი გეგმა შეხვედრა-საუბრებისთვის. თემა მართლაც უამრავია. აი, მაგალითად: რა ხდებოდა განსხვავებული და საინტერესო გასულ კვირას; სამომავლო გეგმები; ჯიბის ფული; გაჯეტების მოხმარების შეზღუდვა; ოჯახური კონფლიქტები; საკლასო კონფლიქტები; კარგი ქცევა; პრობლემებზე საუბარი. შემიძლია, ერთი სახალისო რჩევაც მიცემა შემოვლებს: გამოსაჩენ ადგილას დადგით ყუთი, რომელშიც ბავშვები ჩაყრიან საკუთარ მოსაზრებებს, უფროსები კი მათ გაცნობიან და ბავშვებთან ერთად განიხილავენ.“
2. ეცადეთ, დაიცვათ შეხვედრების რეგულარულობის პრინციპი. შეიძლება, კვირაში ერთ-ხელ გაიმართოს ათწუთიანი (ან, ბავშვების ასაკის შესაბამისად, უფრო ხანმოკლე ან ხანგრძლივი) სასკოლო ან საოჯახო შეხვედრები.
3. შეხვედრების დროს როლები ისე შეარჩიეთ, რომ შესაძლებელი გახდეს მათი ადვილად შეცვლა. ბავშვებისთვის სახალისო და საინტერესო შეხვედრების მოსაწყობად ეს ხრიკი ძალიან გამოგადგებათ. „შეხვედრის თავმჯდომარე თვალ-ყურს ადევნებს განხილვის პროცესს, მდივანი აწარმოებს ოქმს, უურნალში კი იწერება სხდომის მიერ მიღებული გადაწყვეტილება და შენიშვნები“.
4. თანასწორუფლებიანობა. უნდა შეიმუშაოთ მკაფიო წესები, რომლებიც დაარეგულირებს

თითოეული მონაწილის გამოხატვისა და ხმის მიცემის უფლებას. მნიშვნელოვანია, ყველამ იცოდეს: თუ გვსურს, ჩვენი გრძნობებისა და მოთხოვნების შესახებ დანარჩენებმაც გაიგონ, საუბარი უნდა დავიწყოთ შემდეგი სიტყვებით: „ძალიან ავლელი, როდესაც...“, „ძალიან მოვიწყინე, როდესაც...“ საჭიროა, ბავშვებმა ისწავლონ მოსმენილი ტექსტის პერიფრაზირება: „ესე იგი, შენ...“, „შენ მიგაჩნია, რომ...“, „შენ გრძნობ...“, „მეჩვენება, რომ შენ გინდა თქვა...“.

5. ქათინაურები. ყოველი შეხვედრის დასაწყისში მონაწილეები ერთმანეთის მიმართ გამოხატვენ მადლიერებას გასული კვირის განმავლობაში გაცემებული საქმეებისთვის. მაგრამ სასიამოვნო ფრაზების მოსმენა მკაფიო მიზეზის გარეშეც შესაძლებელი და სასიამოვნოა. კარგი იქნება, შეხვედრის მიმდინარეობისას მასწავლებლებმა ან მშობლებმა თავად შესთავაზონ ბავშვებს სტანდარტული ფრაზები, რათა მათ კარგად გაიგონ ქათინაურის არსი: „კმაყოფილი ვარ, რომ შენ...“, „შენ ძალიან კარგად გამოგდის...“, „დიდი მადლობა იმისთვის, რომ...“
6. გადაწყვეტილებების მიღების თანმიმდევრულობა. შეხვედრების დროს განსახილველი თემების შესახებ მსჯელობა საჭიროა გაგრძელდეს მანამდე, სანამ ყველა მონაწილე საერთო აზრამდე არ მივა. აუცილებელია, შემუშავებული სტრატეგიის განხორციელება მომავალ შეხვედრამდე მოესწროს. ამის შემდეგ კი შეიძლება, განიხილოთ მისი შეცვლის პირობები.
7. სამართლიანი გადაწყვეტილება. ე.წ. „გონებრივი იერიშის“ ტექნიკა წარმატებით გამოიყენება მიზნის მისაღწევად. პრობლემის არსის გაცნობის შემდეგ უნდა ჩაიწეროთ იდეები და გადაწყვეტის შესაძლო გზები. არ გამოგრჩეთ შესაძლო ვარიანტები. განხილვას ექვემდებარება შემოთავაზებული ვარიანტის ყველა დადებითი და უარყოფითი ასპექტი. მას შემდეგ, რაც ყველა გამოთქვამს საკუთარ მოსაზრებას, უნდა განისაზღვროს საყოველთაოდ მისაღები და ოპტიმალური ვარიანტი.
8. დაბოლოს, არავითარ შემთხვევაში არ დავიწყოთ მხიარულება. წააქეზეთ ბავშვები/მოზარდები, გაუზიარონ ერთმანეთს სასაცილო, სახალისო ამბები, რომლებიც კვირის განმავლობაში თავს გადახდათ. შეხვედრა ოპტიმისტური განწყობით დაასრულეთ. შესთავაზეთ ბავშვებს ტკბილეული ან რაიმე ინტერაქციული თამაში, ან სულაც ჩაეხუტეთ ერთმანეთს“.





ქეთევან ოსიაშვილი

# სიუჟეტურ-როლური თამაშის მნიშვნელობა სკოლამდელ ასაკში

**ძნელია, მოიძებნოს  
ალმზრდელი,  
რომელიც არ  
დაადასტურებს, რომ  
თამაში სკოლამდელ  
პერიოდში ბავშვის  
უსაყვარლესი  
საქმიანობაა.  
სკოლამდელ ასაკს  
ხშირად თამაშის  
ასაკსაც უწოდებენ.**

ძნელია, მოიძებნოს ალმზრდელი, რომელიც არ დაადასტურებს, რომ თამაში სკოლამდელ პერიოდში ბავშვის უსაყვარლესი საქმიანობაა. სკოლამდელ ასაკს ხშირად თამაშის ასაკსაც უწოდებენ. პრაქტიკულად ყველაფერი, რითაც დაკავებულია ბავშვი, როცა რამდენიმე წნით თავის თავს არის მინდობილი, მარტოა, შეიძლება თამაშად ჩაითვალოს. ამ პერიოდში თამაშის გარეშე მისი განვითარება შეიძლება წარმოუდგენლად აკი მივიჩნიოთ. ეს ბუნებრივია, რადგან სკოლამდელი ასაკის ბავშვისთვის თამაში ქცევის წამყვანი ფორმაა.

ამ ეტაპზე ბავშვებისთვის ყველაზე მიმზიდველი სიუჟეტურ-როლური თამაშებია – თამაშები, რომლებიც იქმნება თავად ბავშვების მიერ. მათ განუმეორებელი სპეციფიკა აქვთ, რაც იმაში მდგომარეობს, რომ მოთამაშეთა თავისუფლება და დამოუკიდებლობა შერწყმულია თამაშის წესების მკაცრ, უპირობო მორჩილებასთან. წესებისადმი ასეთი ნებაყოფლობითი მორჩილება მაშინ ხდება, როცა ისინი გარედან კი არ არის თავს მოხვეული, არამედ გამომდინარეობს თამაშის შინაარსიდან, მისი ამოცანები-

დან, როდესაც მათი შესრულება მთავარ ხიზლს წარმოადგენს.

თავისუფალი სიუჟეტური თამაში ყველაზე მიმზიდველი საქმიანობაა სკოლამდელი ასაკის ბავშვისთვის. მისი მიმზიდველობა აიხსნება იმით, რომ თამაშის დროს ბავშვი განიცდის თავისუფლების სუბიექტურ შეგრძნებას, მის დაქვემდებარებაშია საგნები, მოქმედებები, დამოკიდებულებები – ყველაფერი ის, რაც რეალურ ცხოვრებაში დაბრკოლებების გადალახვას უკავსირდება. შინაგანი თავისუფლების ეს მდგომარეობა დაკავშირებულია სიუჟეტური თამაშის სპეციფიკასთან – წარმოსახულ, პირობით სიტუაციაში მოქმედებასთან. სიუჟეტური თამაში არ მოითხოვს ბავშვისგან რეალურ, ხელშესახებ პროდუქტს, მასში ხომ ყველაფერი პირობითია. სიუჟეტურ-როლური თამაშის მიმდინარეობისას ბავშვი საკუთარ თავზე ირგებს გარემო მყოფი ზრდასრული ადამიანების ქცევას, დამოკიდებულებებს, მოქმედებებს. ასეთი თამაშები წარმოუდგენლად ბევრია იმიტომ, რომ მათთვის სიუჟეტებს ბავშვი გარემომცველი რეალობიდან იღებს. აქედან გამომდინარე, ყველა

მოქმედება მათში რეალობას ასახავს. როლური თამაშები ბავშვებისთვის ტრადიციული გატაცებაა.

**რატომ არის სიუჟეტურ-როლური თამაში ასეთი მნიშვნელოვანი ბავშვისთვის, რა სარგებლობა მოაქვს მისთვის, მისი განვითარებისთვის?**

სიუჟეტურ-როლური თამაში არის საწყისი, შეგნებული ურთიერთქმედება პატარა ადამიანისა სამყაროსთან. ასეთი თამაშის დროს ბავშვი ასრულებს შემოქმედი სუბიექტის მთავარ როლს, ეს არის მისი თვითრეალიზაციისა და თვითგამოხატვის ხერხი, საშუალება. როლური თამაშის დროს ბავშვი არის ისეთი, როგორც სურს იყოს, არის იქ, სადაც სურს იყოს. ის საინტერესო და მიმზიდველი მოვლენების მონაწილეა. სიუჟეტურ-როლური თამაში საშუალებას აძლევს ბავშვს, წარმოსახულ სიტუაციაში განახორციელოს მისთვის მიმზიდველი როლური მოქმედებები, ფუნქციები, ჩაერთოს მრავალფეროვან სიტუაციებში.

- უაღრესად დიდია როლური თამაშის ღირებულება, მისი მნიშვნელობა სოციალური ქცევის ფორმირებაში, თვითდამტკიცებაში, ურთიერთობის პროცესში, ადამიანის ქცევის პროგნოზირების უნარის განვითარებაში.
- უფროსების ურთერთობების თამაშში გადატანით ბავშვი ეუფლება ამ ურთიერთობათა წესებს.
- თანატოლებთან თამაშის გზით ის იძენს ურთიერთგაგების გამოცდილებას, სწავლობს საკუთარი

ციული გადაწყვეტისთვის. ბავშვს უვითარდება კონფლიქტების დამოუკიდებლად გადაჭრის უნარი.

- სიუჟეტურ-როლური თამაშის დროს, წარმოსახვისა და ფანტაზიის დახმარებით, ბავშვს უვითარდება როგორც სოციალური, ისე ემოციური და კოგნიტიური უნარ-ჩვევებიც. ის იკვლევს სამყაროს, სიამოვნებას იღებს თამაშის პროცესით. თამაშში ეხმარება მას თვითკონტროლისა და ყურადღების გავარჯიშებაში.

ვარეობას, აფართოებს მის თვალსაწიერს, ასტიმულირებს სამყაროს შემდგომი კვლევის ინტერესს.

- სიუჟეტურ-როლური თამაშები ბავშვის კომპიუტერსა და ინტერნეტზე დამოკიდებულებისგან გათავისუფლების შესანიშნავ საშუალებას წარმოადგენს.
- როლური თამაშის დროს ვითარდება მეტყველება, უმჯობესდება საკომუნიკაციო უნარ-ჩვევები – ბავშვ-



მოქმედებებისა და განზრახვების ახსნას, სხვა ბავშვებთან მათ შეთანხმებას, კოორდინირებას, სწვდება მათ გრძნობებს და მიზნებს, თანაუგრძნობს მათ, უვითარდება ემპათიის უნარი. თამაშში ბავშვს ასევე ასწავლის თანაგანცდას და საკუთარი ემოციების, მათ შორის უარყოფითის, გამოხატვას, აუმჯობესებს თანატოლებთან მის ურთიერთობას, განაწყობს თანამშრომლობისა და პიროვნებათაშორისი კონფლიქტების კონსტრუქ-

- სიუჟეტურ-როლური თამაშები ეხმარება ბავშვს, გაუმკლავდეს სტრესს და შფოთვისას, რომელიც შეიძლება გამოწვეული იყოს ექიმთან ვიზიტით ან საბავშვო ბაღში მისვლით. შიშის გამოწვევი სიტუაციების გათამაშებით, სათამაშოების დახმარებით ან როლების მორგებით, ბავშვი თავს უსაფრთხოდ, დაცულად გრძნობს. როდესაც საუბრობს და შიშს გამოხატავს, უფროსებისგან საჭირო მხარდაჭერას იღებს.

- როლური თამაშები ასაზრდოებს ბავშვის ცნობისმოყ-

ვი სწავლობს ურთიერთობას, საკუთარი აზრების, სურვილების გამოხატვას, წესების ფორმულირებას. უვითარდება ყურადღება, მეხსიერება, ლოგიკური აზროვნება, აღქმა, წარმოსახვა. ბავშვი სწავლობს ფანტაზიურობას, ემოციების გამოხატვას; უკეთესად შეიცნობს სამყაროს, „იძირება“ ზრდასრულთა ცხოვრებაში მათი ქცევის მოდელის მორგებით, იშლება საზღვარი გამოგონილსა და რეალურს შორის.

**გავითვალისწინოთ, რომ სიუჟეტურ-როლურ თამაშებს ბევრი რამის თქმა შეუძლია ჩვენთვის ბავშვის, მისი გრძნობებისა და განცდების შესახებ. საჭიროა მხოლოდ თვალყური ვადევნოთ და ყველაფერს მივხვდებით, ეს კი, თავის მხრივ, მრავალი პრობლემის მოგვარებაში დაგვეხმარება.**

**როგორი უნდა იყოს უფროსის როლი ბავშვის თამაშის პროცესში?**

უფროსის როლი ბავშვების სიუჟეტურ-როლურ თამაშებში საკმაოდ მნიშვნელოვანია. დამოუკიდებლად ასეთ თამაშებს ბავშვი ვერ ითამაშებს და თუ მანც ითამაშა, დიდხანს ვერ გააგრძელებს. მიუხედავად ამისა, საჭიროა, გვახსოვდეს, რომ როლური თამაშის მთავარი გმირი უნდა იყოს ბავშვი, უფროსები კი უნდა ვიდგეთ მეორე პლანზე როგორც დამხმარეები. ვეცადოთ, თვალყური ვადევნოთ ბავშვის თამაშს – თუ ის დიდი ხნის განმავლობაში თამაშობს ერთსა და იმავე თამაშს და მასში არ ჩანს გაგრძელება, საჭიროა ჩავერიოთ და სიუჟეტის განვითარებაში დავეხმაროთ. ამგვარად ჩვენ ვუჩვენებთ ბავშვს, როგორ შეიძლება სიტუაციის შეცვლა. ნუ შევშოთ დეობით, თუ ის იმეორებს თამაშს – შესაძლოა, ძალიან მოსწონს ან უბრალოდ განამტკიცებს მიღებულ ცოდნას. ამ შემთხვევაში უკეთესი იქნება, არ ჩავერიოთ. დაე, თავად განავითაროს თამაში ახალი სიუჟეტის დამატებით. ბავშვმა დამოუკიდებლად უნდა ისწავლოს ფანტაზიურობა და ლოგიკური აზროვნება. ჩვენ უბრალოდ დავაკვირდეთ და სიტუაციის გამოსწორებაში ან შეცვლაში დავეხმაროთ.

არის მომენტები, როცა აუცილებელი ხდება ბავშვების თამაშში უფროსების აქტიური ჩარევა. თუ შევამ-

ჩნით, რომ თამაში გახდა სასტიკი, ბოროტი, პერსონაჟები კი მონსტრებად იქცნენ, საჭიროა, ჩავერიოთ. თუმცა უკეთესი იქნება, თუ მოვერიდებით ასეთ დროს ბავშვის საყვედურებით ავსებას და თამაშს არ შევაწყვეტინებთ. უმჯობესია, დავფიქრდეთ იმაზე, როგორ ვუხსნიდით მას, რა არის სიკეთე და რა არის ბოროტება, რა არის კარგი და რა არის ცუდი. პატარა ბავშვს უჭირს ყველა ამ ცნებაში გარკვევა, მით უმეტეს, თუ არცთუ სასურველი მაგალითები აქვს თანამედროვე მულტფილმებიდან. ასეთ სიტუაციაში შეიძლება ყურადღება მივაქციოთ იმას, რომელი მულტფილმები უყვარს ბავშვს და ვნახოთ ისინი მასთან ერთად; ყურების დროს შეგვიძლია გამოვხატოთ ჩვენი აზრი პერსონაჟების ქცევასთან დაკავშირებით – ბავშვი ამას აუცილებლად დაიმახსოვრებს. თუ შევამჩნიეთ, რომ ის განზრახ აგრძელებს სასტიკი სიუჟეტებით თამაშს, დაველაპარაკოთ. შესაძლოა, მას დაუგროვდა აგრესია, რომლის გარეთ გამოტანაც აუცილებელია. ასეთ დროს შეიძლება გულითადი საუბარი დაეხმაროს – ბავშვი ყველაფერს სიტყვიერად გამოხატავს, გარეთ გამოიტანს და, დიდი ალბათობით, აგრესია გაქრება.

გასათვალისწინებელია, რომ სიუჟეტურ-როლურ თამაშებში ბავშვებთან ერთად უფროსების მონაწილეობა სასარგებლოა როგორც ბავშვებისთვის,

ისე თავად უფროსებისთვისაც. თამაშის დროს ჩვენ ვურთიერთობთ ბავშვებთან „მთ ტერიტორიაზე“. საბავშვო თამაშების სამყაროში შესვლისას შეგვიძლია, თავადაც ბევრი რამ ვისწავლოთ და ვასწავლოთ ბავშვსაც:

- თამაში გვეხმარება, ველაპარაკოთ ბავშვს თავის ენაზე;
- გადავლახოთ, დაველიოთ უპირატესობის გრძნობა, ავტორიტარული პოზიცია (და, შესაბამისად, ეგოცენტრიზმიც) ბავშვთან ურთიერთობისას;
- გამოვაცოცხოთ საკუთარ თავში ბავშვური თვისებები: უშუალობა, გულწრფელობა, ემოციურობა;
- აღმოვაჩინოთ სწავლების საკმაოდ ეფექტიანი ხერხი – მოდელის, ნიმუშების მიხედვით სწავლება;
- გვიყვარდეს ბავშვი ისეთი, როგორც არის;
- ვასწავლოთ ბავშვს, შეხედოს საკუთარ თავს გვერდიდან, სხვა ადამიანების თვალთ.

დაბოლოს, გავითვალისწინოთ, რომ სიუჟეტურ-როლურ თამაშებს ბევრი რამის თქმა შეუძლია ჩვენთვის ბავშვის, მისი გრძნობებისა და განცდების შესახებ. საჭიროა მხოლოდ თვალყური ვადევნოთ და ყველაფერს მივხვდებით, ეს კი, თავის მხრივ, მრავალი პრობლემის მოგვარებაში დაგვეხმარება.





# ინტერესი, შთაბოძნება და წარმატება



მანანა სეხნიაშვილი

„მე არასოდეს ვასწავლი ჩემს სტუდენტებს. მე მათ ვუქმნი პირობებს, რომ თავად ისწავლონ“.

ალბერტ აინშტაინი

სწავლის ინტერესი მხოლოდ მაშინ ჩნდება, როდესაც არსებობს შთაბოძნება, რომელიც წარმატების შედეგად იბადება.

სკოლის მიზანი ჰარმონიული, კრეატიული, კრიტიკულად მოაზროვნე პიროვნების აღზრდა უნდა იყოს და არა კონკრეტული საგნის სპეციალისტის. სწავლის მოტივაციის ფორმირება განათლების სფეროში ყველაზე მნიშვნელოვანი თემაა.

## როგორ გავზარდოთ შედეგებითი ინტერესი?

საგანმანათლებლო პროცესი უნდა აიგოს მოსწავლეთა საჭიროებების მიხედვით. მოსწავლის მოტივაციის ფორმირებისთვის აუცილებელია სასწავლო პროცესის ორგანიზება ბავშვების საჭიროებების, ფიზიოლოგიური და ასაკობრივი მახასიათებლების გათვალისწინებით. მან უნდა:

- დააკმაყოფილოს მოსწავლეთა შემეცნებითი ინტერესები;
- წახალისოს მოსწავლეები ერთმანეთთან კომუნიკაციისთვის;
- დააჯილდოს რთული ამოცანების შესრულებისთვის;
- ხელი შეუწყოს მოსწავლეებს შორის თანასწორი ურთიერთობების ჩამოყალიბებას;
- განუვითაროს თვითშეფასების უნარი;
- ხელი შეუწყოს მათ თვითგანვითარებას;
- ჩამოუყალიბოს სწავლისადმი პოზიტიური დამოკიდებულება.

## როგორი პირობები უწყობს ხელს მოსწავლეთა შედეგებითი ინტერესის განვითარებას?

მოსწავლეთა სრულფასოვანი მოტივაციის ფორმირებისთვის მნიშვნელოვანია შემდეგი პირობების უზრუნველყოფა: შინაარსის გამდიდრება საინტერესო მასალით, რომ მოსწავლეთა შემეცნებითი მოთხოვნები და საჭიროებები დაკმაყოფილდეს; მოსწავლეებს შორის საინტერესო კომუნიკაციის ორგანიზება; ჰუმანური დამოკიდებულება ყველა მოსწავლის მიმართ; ურთიერთობის თანაბარი სტილის შენარჩუნება; შესაძლებლობების აქტიური თვითშეფასება; თვითგანვითარების სურვილის გაღვივება; სირთულეების დაძლევის შემთხვევაში მოსწავლეების წახალისება; მათი ინიციატივების ეფექტური მხარდაჭერა და წახალისება; პასუხისმგებლობის დამოკიდებულების ჩამოყალიბება; სწავლების მეთოდებისა და ხერხების მრავალფეროვნებაზე ზრუნვა.

გთავაზობთ საგანმანათლებლო მოტივაციის განვითარების რამდენიმე მეთოდს:

მეთოდი „დიდაქტიკური თამაშები“ გულისხმობს სიტუაციებს, რომლებიც ახდენს რეალობის სიმულაციას. ამ მეთოდის მთავარი მიზანი კოგნიტიური პროცესის სტიმულირებაა.

წარმატების სიტუაციის მეთოდი არის პირობების ისეთი მიზანმიმართული, ორგანიზებული კომბინაცია, რომლითაც შესაძლებელია მნიშვნელოვანი შედეგების მიღწევა აქტივობებში. ეს არის კარგად გააზრებული, მოზადებული სტრატეგიისა და

სკოლის მიზანი ჰარმონიული, კრეატიული, კრიტიკულად მოაზროვნე პიროვნების აღზრდა უნდა იყოს და არა კონკრეტული საგნის სპეციალისტის. სწავლის მოტივაციის ფორმირება განათლების სფეროში ყველაზე მნიშვნელოვანი თემაა.

**საგანმანათლებლო პროცესი უნდა აიგოს მოსწავლეთა საჭიროებების მიხედვით. მოსწავლის მოტივაციის ფორმირებისთვის აუცილებელია სასწავლო პროცესის ორგანიზება ბავშვების საჭიროებების, ფიზიოლოგიური და ასაკობრივი მახასიათებლების გათვალისწინებით.**

ტექტიკის შედეგი. შეიძლება გამოვყოთ ინდივიდუალური წარმატებისა და მოლოდინის სამი ტიპი: მოსალოდნელი წარმატება – შესაძლოა არსებობდეს როგორც გონივრული იმედი ან სასწავლის მოლოდინი, მაგრამ შეუძლებელია, წარმატება დაიბადოს ნულიდან; შესაძრწვევი წარმატება – ავი-სირებს მიღწევებს, აძლევს მოსწავლეებს შესაძლებლობას, განიცადონ აღიარების სინარული, საკუთარი შესაძლებლობების და მომავლის რწმენა; წარმატების განზოგადება – ხელს უწყობს ნდობის, უსაფრთხოების, თავდაჯერების განმტკიცებას.

**კონკურენციის მეთოდი** – ამ დროს მოსწავლეთა მეტოქეობის ბუნებრივი მოთხოვნილება მიმართულია პიროვნებისა და საზოგადოებისთვის აუცილებელი თვისებების ჩამოყალიბებისკენ. მოსწავლეები ერთმანეთს ეჯიბრებიან, სწრაფად ითვისებენ სოციალური ქცევის გამოცდილებას, ივითარებენ ფიზიკურ, მორალურ, ესთეტიკურ თვისებებს. კონკურენცია განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მათთვის, ვინც ჩამორჩება: სხვების მიღწევებთან თავიანთი შედეგების შედარებით ისინი იღებენ ახალ სტიმულს ზრდისთვის და საქმის მეტი ძალისხმევით კეთებას იწყებენ.

**პროექტის მეთოდი** – დიდი მნიშვნელობა აქვს საპროექტო აქტივობას, რომელიც ავითარებს ცოდნის დამოუკიდებლად აგების, საინფორმაციო სივრცეში ნავიგაციის, შემოქმედებითი


ზროვნების, პრობლემის დანახვისა და გადაჭრის უნარებს. საპროექტო აქტივობა საგანმანათლებლო საქმიანობის მნიშვნელოვანი სტრუქტურაა. მოსწავლეების საპროექტო აქტივობის შესაძლო პროდუქტებია: ურუნალი, დასაცეცი წიგნი, მემორანდუმი, ტესტი თემაზე, პრეზენტაცია, მოთხრობა, ზღაპარი, კოლაჟი, კედლის გაზეთი, სუვენირი.

**პრობლემური სიტუაციის შექმნის მეთოდი** – პრობლემური სიტუაციის შექმნა შესაძლებელია პრობლემური საკითხების, ამოცანების, საძიებო ხასიათის ამოცანების ფორმულირებით. გაკვეთილის თითოეულ ეტაპზე შეგიძლიათ გამოიყენოთ პრობლემური კითხვები: წინააღმდეგობრივი კითხვები; კითხვები, რომლებიც მოითხოვს მსგავსებისა და განსხვავებების დადგენას და რაც უფრო ნაკლებად აშკარაა ეს განსხვავება თუ მსგავსება, მით უფრო საინტერესოა მისი აღმოჩენა; კითხვები მიზნშედეგობრივი კავშირის დამყარების შესახებ, როცა თითოეული მიზნის აღმოჩენა ნაბიჯია ღრმა გაგებისკენ.

**სასწავლო მასალისადმი ინტერესის გაზრდის ტექნიკა**

იმისთვის, რომ მოსწავლე თავიდანვე დავანტერესოთ, გაკვეთილის ყოველ ეტაპზე უნდა გვახსოვდეს მისი მოტივაცია. ამისთვის საჭიროა, ახალი თემის შესწავლა უჩვეულოდ დავიწყოთ.

მეთოდი „მიზიდველი მიზანი“ დაგვენმარება, მოსწავლეებს მარტივი და გასაგები მიზანი



შევთავაზოთ. მაგალითად, თემა „წყლის თვისებების“ შესწავლა: მოსწავლეებმა უნდა გაარკვიონ, რატომ სკდება წყლის მილები ცივ ზამთარში. ხშირად უჩვეულო ფორმულირება მოსწავლეებს არა მხოლოდ იზიდავს, არამედ მათ ყურადღებას გაკვეთილის ბოლომდე იპყრობს.

გაკვეთილის თემის დასახელებისას შეიძლება გამოვიყენოთ მეთოდი „პროგნოზირება“. მაგალითად: „მოსმინეთ საკითხის სათაური, რომლითაც ვიმუშავებთ გაკვეთილზე და შეეცადეთ, დაადგინოთ შესაძლო მოვლენები“.

შესასწავლი საგნისადმი ინტერესის გაჩენისთვის საჭიროა თემის შესწავლის აუცილებლობის, მნიშვნელობის, მიზანშეწონილობის გააზრება. ამაში შემდეგი მეთოდები დაგეხმარებათ:

**„სპიკერი“** – 1 წუთში დაარწმუნე თანამოსაუბრე, რომ ამ თემის შესწავლა აუცილებელია.

**„ავტორი“** – შენ რომ სახელმძღვანელოს ავტორი ყოფილიყავი, როგორ აუხსნიდი მოსწავლეებს ამ თემის შესწავლის აუცილებლობას?

**„პრო“** – შენი მომავალი პროფესიიდან გამომდინარე, რატომ არის საჭირო ამ თემის შესწავლა?

**„კერპი“** – წარმოიდგინე, შენი „კერპები“ როგორ დაგმიტკიცებენ ამ თემის შესწავლის აუცილებლობას.

**„ფანტაზია“** – (გაკვეთილის თემა იწერება დაფაზე) დაასახელე ამ თემაზე ცოდნის, უნარებისა და შესაძლებლობების ცხოვრებაში გამოყენების 5 გზა.

**„მართალი/ყალბი განცხადებები“** – თემის ირგვლივ შემოთავაზებული განმარტებებიდან მოსწავლეებმა უნდა ამოარჩიონ „ჭეშმარიტი“ დებულებები.

**„იპოვე შეცდომა“** – მასწავლებელი შეგნებულად უშვებს უზუსტობებს სასწავლო მასალის წარდგენისას, მოსწავლეებმა კი უნდა იპოვონ ისინი, რაც ხელს შეუწყობს კონცენტრაციის შენარჩუნებას მთელი გაკვეთილის განმავლობაში.

**„შებედე სამყაროს სხვისი თვალთ“** – იქმნება უჩვეულო სიტუაცია. მაგალითად, თემა „წყლის ციკლის“ შესწავლისას მოსწავლეებმა თავი ფიქვად უნდა წარმოიდგინონ და აღწერონ ყველაფერი, რაც ემართებათ.

**„სიურპრიზი“** – გაკვეთილზე მოსწავლეებს ეძლევათ საინტერესო ფაქტები. მაგალითად, კუნძულ შრი-ლანკაზე ხარობს კორიფას გვარის პალმები, რომელთა ფოთლების სიგრძე 8 მეტრს აღწევს, ხოლო სიგანე – 6 მეტრს.

**„დიან/არა“** – მოსწავლეები ცდილობენ, იპოვონ პრობლემის გადაჭრის გზა და მასწავლებელს უსვამენ მხოლოდ დამაზუსტებელ კითხვებს.

მასალის განმეორების ეტაპზე მნიშვნელოვანია, მოსწავლეები დაინტერესდნენ ამ მასალის გამოყენებით. რა გზები არსებობს ამის მისაღწევად?

**„საკუთარი მხარდაჭერა“** – მოსწავლე პასუხების ძირითად სქემას ახალ მასალაზე დაყრდნობით დამოუკიდებლად შეიმუშავებს.

**„გამეორება-გაფართოება“** – მოსწავლეები ქმნიან კითხვების სერიას, რომელიც ცოდნის გაფართოების შესაძლებლობას იძლევა.

**„საკუთარი მაგალითები“** – მოსწავლეები ახალ მასალაზე მაგალითებს ქმნიან. ასევე შეიძლება საკუთარი ამოცანების შედგენა, იდეების წამოყენება შესწავლილი მასალის გამოსაყენებლად.

**„გამეორება ერთდროული კონტროლით“** – მოსწავლეები ასრულებენ ტესტს, ავსებენ კროსვორდს შესწავლილ თემაზე, მერე კი ერთმანეთს უცვლიან.

**„თვითკონტროლისა და თვითშეფასების“** სტადიაზე კარგი იქნება მუშაობა წყვილში. მოსწავლე პასუხობს მეგობრის კითხვას, რის შემდეგაც როლებს ცვლიან. ამის შემდეგ მიიღება ზოგადი გადაწყვეტილება და ეცნობება კლასს. შეგიძლიათ, გაკვეთილზე პერიოდულად შეთავაზოთ მოსწავლეებს რვეულების გაცვლა და ერთმანეთის შეცდომების გასწორება.

კარგი იდეაა, საშინაო დავალება მოსწავლეთა ყოველდღიურ ცხოვრებას დაუკავშიროთ. მაგალითად, „მომზადეთ მოხსენება შინაური ცხოველის ან საყვარელი სპორტის შესახებ“.

რეიტინგი არ არის შეფასება. აუცილებელია, საჯაროდ გამოვყოთ მოსწავლის თითოეული წარმატება. ამზეა დამოკიდებული ჩვენი წარმოდგენა სამყაროზე, ჩვენი მზადყოფნა მუშაობისთვის, ახლის შესწავლისთვის.

ასე რომ, მეთოდების გააზრებული შერჩევა, მათი გონივრული კომბინაცია შესაძლებელს გახდის ბავშვების საგანმანათლებლო მოტივაციის ამაღლებას.





ქრისტინა სურგულაძე

# „საშინელი დავალები“

**ყველა საგანს თავისი სპეციფიკა აქვს, თუმცა მჯერა, რომ რამდენიმე კვირაში ერთხელ მაინც შეიძლება ისეთ თემას მივადგეთ, რომელიც სახალისო დავალების მიცემის შთაგონებას მოგვცემს.**

მასწავლებლებისთვის განკუთვნილ ერთ-ერთ ტრენინგზე ტრენერმა გუნდებად გაგვანაწილა და პატარა ბურთები დაგვირიგა. გუნდებებს ბურთები ერთმანეთისთვის უნდა გვესროლა, განსაზღვრული ხნის შემდეგ კი მათ რაოდენობას გვიზრდიდნენ: თუ თავიდან ორი ბურთით დავიწყეთ, ცოტა ხანში წრეში იმდენი ბურთი დაფრინავდა, რამდენი მასწავლებელიც ვიდექით. ეს უფრო მეტ კონცენტრაციას მოითხოვდა; ფაქტობრივად, ერთ წამში ბურთი სხვისთვისაც უნდა მიგეწოდებინა, სხვისი ნასროლიც ყოჩაღად დაგეჭირა და მერე ისევ გესროლა, სანამ ასევე სხვის ნასროლს დაიჭერდი.

ამ სავარჯიშოს ორი ნაწილი ჰქონდა, თუმცა ორივე ნაწილში ერთსა და იმავეს ვაკეთებდით. პირველად ტრენერმა არ გაგვიძილა, რატომ ვიქცეოდით ასე. მეორედ გვითხრა, რა გვეშლებოდა და ამის შემდეგ, ყველას გასაკვირად, მართლაც ადვილად მოვახერხეთ ბურთების წვიმაში ორიენტირება. პირველ ჯერზე ყველა ვცდილობდით, დაგვეჭირა, ხოლო მას, დაიჭერდნენ თუ არა ჩვენს ნასროლს, აღარ ვაკვირდებოდით. ტრენერმა სწორედ ამ მაგალითზე აგვიხსნა, რამდენად მნიშვნელოვანია გუნდურობა, რომ მაშინ, როცა პასუხისმგებლობას ვიხსნით იმაზე, დაიჭერს თუ არა ჩვენს ნასროლ ბურთს ჩვენი თანაგუნდელი, მთელი გუნდის საქმე ირევა და ბურთები მიმართულებას კარგავს, რადგან ვიდრე თუნდაც ერთი თანაგუნდელი ძირს დავარდნილ ბურთს მისდევს, სხვების საქმეც ფუჭდება. ამიტომ მხოლოდ ის კი არ არის მნიშვნელოვანი, რომ დავიჭიროთ, არამედ ისიც, რომ ზუსტად ისე ვისროლოთ, სხვამაც ადვილად დაიჭიროს, ან საერთოდ არ ვისრო-

ლოთ, თუ ვხედავთ, რომ მას ჯერ არ დაუსრულე-ბია წინა სვლა.

ამ ყველაფრის გააზრების შემდეგ ხელახლა შევეუდექით თამაშს და სასიამოვნოდ გაოცებულები დავრჩით იმით, რამდენად უკეთ წარიმართა ყველაფერი. თუმცა, რასაკვირველია, მცირე გადაცდომები მაინც იყო. მაგალითად, თამაშის დასრულებისას გავანალიზებ, რომ ბოლოს, როცა აჩქარებული ტემპისგან სხეული დამეძაბა, ერთი ბურთი ხელში ჩამიბლუჯავს და ასე მჭერია გაუაზრებლად, ასე რომ, ერთხანს მხოლოდ ცალი ხელით ვთამაშობდი.

ჩემს ადგილზე დაბრუნებისას, როგორც კი ხელში ბურთი ვიგრძენი, გამეცინა და გავიფიქრე, რომ ეს მშვენიერი სავარჯიშო შეიძლებოდა ყოფილიყო არა მხოლოდ გუნდში პასუხისმგებლობისა და საქმის გადანაწილების მეტაფორა, არამედ რაღაც სხვისაც, მაგალითად, საშინაო დავალებების.

იმ მომენტში თავი ბავშვად ვიგრძენი, რომელმაც, მაგალითად, ფიზიკის პროექტზე უნდა იმუშაოს და კონკრეტული ვადაც აქვს, მაგრამ უეცრად ქიმიის მასწავლებელი ესვრის დავალებას, რომელიც სწრაფად უნდა შეასრულოს და დაბრუნოს. ამასობაში ქართულის მასწავლებელიც ესვრის თავის დავალებას, რომლის შესრულებისა და დაბრუნების შემდეგ ინგლისური ენის დავალება გამოჩნდება, მერე – ხელოვნების, ისტორიის, გერმანულის, ისტ-ის, ბიოლოგიის და ასე დაუსრულებლად. ვადა იწურება, ფიზიკის პროექტი კი ხელში ჩაბლუჯულ ბურთად რჩება და შფოთვის დონეც იმატებს.

რა მოხდება, თუ ამ ბურთს იმად განვიხილავთ, რისი გაკეთებაც ბავშვს სურს, მაგრამ რისთვისაც დროს ვერ პოულობს? მაგალითად, წიგნის კითხვად, ფილმის ყურებად ან თუნდაც, მეგობრებთან ერთად თამაშად? ადვილი მისახვედრია, რომ შფოთვის გაღიზიანებაც დაემატება. იმის გათვალისწინებით, რომ ბავშვებს თავიანთი შეგრძნებების ამოცნობა და მათთვის სახელების დარქმევა თითქმის არ შეუძლიათ, გამოდის, რომ ხშირად მათ პატარა თავებს დომბალისთვის ვიმეტებთ, რაც, დარწმუნებული ვარ, არავის გვინდა.

განათლების მკვლევრებისთვის დღემდე საკამათო საკითხია, საშინაო დავალებების დადებითი

გავლენა მოსწავლის აკადემიურ განვითარებაზე წონის თუ არა უარყოფითს, თუმცა ხშირად ფაქტი ჯიუტია და შემდეგი წინადადებებით გველაპარაკება: „მას, დღეს ხუთზე გავდივარ სკოლიდან, დედამ უნდა მომაკითხოს, მერე მუსიკაზე მივდივარ, იქ ორი საათი უნდა დავრჩე, იცით, რა საცობებია ხოლმე? სახლში ძალიან გვიან მივალ და თუ შეიძლება, ხვალისთვის დავალება არ მომცეთ“. მუსიკა, ცეკვა, ვიოლინო, ფლეიტა, მათემატიკა, ინგლისური, კალათბურთი, ფეხბურთი... ეს სია უსასრულოა და გამოდის, რომ ბავშვები (რომლებსაც ხშირად უსამართლოდ ვაბრალებთ ეკრანზე მიჯაჭვულობის გამო უსაქმურობას) მთელი დღე ძალიან დატვირთულები არიან.



**მასწავლებელს შეუძლია აკონტროლოს, რამდენ დავალებას მისცემს მოსწავლეს. გარკვეულწილად ასეც არის, თუმცა რაოდენობასთან ერთად უდიდესი მნიშვნელობა აქვს იმასაც, როგორ, რა ფორმით მივანდით მოსწავლეებს დავალებას.**

კერძო სკოლების უმეტესობა მეექვსე კლასის ჩათვლით მშობლებსა და ბავშვებს გახანგრძლივებულ სწავლებას სთავაზობს, რაც იმას ნიშნავს, რომ მოსწავლეები ექვს საათამდე სკოლაში რჩებიან და იქვე ასრულებენ დავალებებს. ერთი მხრივ, ამ გაცვეთილების შემდგომ პერიოდს უამრავი დადებითი აქვს: ბავშვები ერთად მუშაობას სწავლობენ, დავალების შესრულებაც ალბათ უფრო სახალისო ხდება, საღამოს დროს ითავისუფლებენ და ა.შ. თუმცა ეს პერიოდი სამი ან, მაქსიმუმ, ოთხი საათია. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ამ სამ თუ ოთხ საათში ბავშვებმა დასვენებაც უნდა მოასწონ, განტვირთვაც, თამაზიც და ჭამაც. ამ ყველაფრის შემდეგ ხშირია შემთხვევა, როცა, გახანგრძლივებულში დარჩენის მიუხედავად, აღმოჩნდება, რომ ბავშვმა კონკრეტული დავალების შესრულება ვერ მოასწრო. ერთხელ მოსწავლეს ვუთხარი, სხვა დროს წიგნები სახლში წაიღე, თუ დავალების შესრულებას აქ ვერ ასწრებ-მეთქი. სკოლიდან ფეხბურთზე წავედი და სახლში ათზე მივედი, მიპასუხა. სახლში ათზე მეც ხშირად მივდივარ, გრძელი სამუშაო დღეები მასწავლებლების ყოველდღიურობაა (რასაც უნდა ფიქრობდნენ მათ ხშირ დასვენებებსა თუ მოკლე სამუშაო დღეებზე სხვები). ამ დროს რომ ვინმემ მითხრას, დაჯექი და ხვალინდელი დღისთვის რამე გააკეთო, შესაძლოა, ბრაზისგან კონტროლი დაგკარგო. ჰოდა, თუ მე ჩემს ასაკში არ შემიძლია გადალლილობისგან სტრესის, შფოთვისა და გაღიზიანების კონტროლი, რატომ უნდა ვთხოვდე ამას მესამე – ან თუნდაც მეექვსე კლასელს?!

მეორე საკითხია ის, რასაც მშობლები განიცდიან, როცა მათი შვილები გაცვეთილების შემდეგ გახანგრძლივებულში არ რჩებიან და სამეცადინო მაგიდა მიუღივს და მოფენილია სხვადასხვა საგნის სახელმძღვანელოებითა და რვეულებით, რასაც თან ახლავს „დაწერე“, „წაიკითხე“, „გააგრძელე“ შეძახილები (რითაც, მაგალითად, სასვე იყო ჩემი ბავშვობა) და ღამის ათ საათზე თვალზე მომდგარი ცრემლები, ხშირად – ტანტრუმებიც. ასეთ სიტუაციაში მშობელმა კარგად უნდა გააკონტროლოს, შვილი ნამდვილად დავალებას წერს მთელი დღე თუ პერიოდულად მუსიკას უსმენს ან სოციალურ ქსელს ათვალიერებს, რაც, თავის მხრივ, შეიძლება სხვა კუთხითაც იყოს საყურადღებო. თუმცა, რაც უნდა იყოს, ხშირად საშინაო დავალების შესრულება მშობლებსა და შვილებს შორის უთანხმოების მიზეზადაც კი იქცევა, რაც ავტომატურად აისახება სკოლისადმი ბავშვის დამოკიდებულებაზე. მით უმეტეს, თუ საქმეს ისიც ართულებს, რომ მშობლებს

შვილის აკადემიური მოსწრება არ მოსწონთ და მისგან მკაცრად ითხოვენ მეტს.

ერთი მხრივ, შეიძლება ვიფიქროთ, რომ ამ ყველაფრის თავიდათავი მასწავლებელია და მას შეუძლია აკონტროლოს, რამდენ დავალებას მისცემს მოსწავლეს. გარკვეულწილად ასეც არის, თუმცა რაოდენობასთან ერთად უდიდესი მნიშვნელობა აქვს იმასაც, როგორ, რა ფორმით მივანდით მოსწავლეებს დავალებას.

## 1. საშინაო დავალების სისშირა

ჩემს მოსწავლეებს სავალდებულო დავალებას ყოველდღე არ ვაძლევ. შესაძლოა, მივცე დღეგამოშვებით ან კვირაში ორჯერ, იმის მიხედვით, რას ითხოვს თემა. თუ დავალებას ვაძლევ ორშაბათს, ისინი იღებენ გონივრულ დროსაც – ვეუბნები, რომ დავალების ჩაბარების ბოლო ვადა იქნება ხუთშაბათი. თავიდან ამ მეთოდის მიმართ ცოტა სკეპტიკურად ვიყავი განწყობილი, რადგან მიმაჩნდა, რომ 45 წუთი, თუნდაც ყოველდღე, საკმარისი არ არის კონკრეტული საგნის კარგად ასათვისებლად, მაგრამ მას შემდეგ, რაც ეს მეთოდი პრაქტიკაში მოვსინჯე, ჩემი მოსწავლეების განწყობა საგრძნობლად შეიცვალა. თანაც, მაშინაც კი, როცა გვეგონია, რომ არ გვისმენენ, ბავშვებს ყველაფერი ესმით და ყველაფერს იმასხორებენ. მათ უდიდეს სიხარულს ანიჭებთ, როცა ვამბობ, რომ დღეს დავალება არ ექნებათ. უფრო პროდუქტიულებიც გახდნენ და გაცვეთილზე მეტადაც მუშაობენ. ნაწილმა დაგვეგმაცა ისწავლა: თუ იცის, რომ დავალებისთვის ორი დღე აქვს, ნაწილს ერთ დღეს ასრულებს, ნაწილს – მეორე დღეს. დროის მენეჯმენტის სწავლა შესაძლებელია, თუმცა ზოგიერთი თავიდანვე ასე აკეთებს. დანარჩენები გამოცდილებით უნდა მიხვდნენ, რომ სამუშაოს გადანაწილება სჯობს ერთდროულად შესრულებას, თუმცა თუ ვერ მიხვდებიან ან მიხვდებიან, მაგრამ ასე ვერ იმუშავებენ, არც ეს არის ტრაგედია, უამრავი წარმატებული პროექტი სწორედ ბოლო ვადის წინა საათებში ბარდება.

## 2. არასავალდებულო დავალება

იმ დღეებში, როცა სავალდებულო დავალება მიცემული მაქვს, შემიძლია მივცე სხვა დავალებაც, რომელსაც არასავალდებულო ვეძახი. არასავალდებულო დავალების მიცემა სავალდებულოსთან ერთადაც შეგიძლიათ. თუ სავალდებულო

დავალება სამუშაო რვეულში ერთი გვერდია, არასავალდებულო შეიძლება იყოს იმავე საკითხზე ამოხედილი სამუშაო ფურცელი. გაოცდებით, როგორ უხარიათ იმ სამუშაო ფურცლის დანახვა, რომელსაც არასავალდებულო ჰქვია და, შესაბამისად, „სამინელ დავალებას“ არ უკავშირდება შეიძლება, სავალდებულოზე მალეც კი დაწერონ.

**P.S.** არასავალდებულო დავალებას კლასში რამდენიმე ბავშვი მართებულად მიიჩნევს ნამდვილად არასავალდებულოდ და თავსაც არ ივალდებულვებს, რომ შეასრულოს. ამაზე საყვედური არ უნდა წამოგვდეთ, თორემ მიხვდებიან, რომ დავალებას უბრალოდ სახელს უყვლით.

### 3. ეკრანი და შაბათ-კვირა

სოციალურ ქსელებში გადაღლილი მასწავლებლებისთვის არსებობს ერთი საინტერესო გვერდი, რომელსაც bored teachers ჰქვია და ხშირად არის ჩემი სიცილის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი. მასხოვს, პირველად სწორედ აქ წავიკითხე: მასწავლებლებს არ უნდა დაგვაიწყდეს, რომ ხშირად ჩვენს ენერგიულ ათწუთიან მონოლოგზე ეფექტური შეიძლება იუთუბის 4.5-წამიანი ანიმაციური ვიდეო აღმოჩნდესო. ბოლოს და ბოლოს, ჯენ ზისა და ჯენ ალფასთან – ციფრულ ეპოქაში დაბადებულ თაობებთან გვაქვს ურთიერთობა.

შაბათ-კვირა ოფიციალურად და ლეგიტიმურად დასვენების დღეებია. პარასკევობით დავალებებს იშვიათად ვაძლევ ხოლმე, რადგან არ მინდა, მომდევნო ორი დღე დავალების გახსენებისას თუნდაც სულ მცირე სტრესი იგრძნონ, თუმცა სულ არაფერიც არ შეიძლება, ამიტომ პარასკევობით დავალების გრაფაში სასარგებლო ბმულებს ვტოვებ: იუთუბი, ლაივგორკვითისი, ქუიზლეტი ან ნებისმიერი სხვა რამ, რისთვისაც 10-15 წუთიც საკმარისი იქნება. ჩვენს ჯენ ზიებსა და ჯენ ალფებს ძალიან უყვართ ეკრანთან ურთიერთობა, რაღაცების ყურება და აწყობა.

### 4. დავალება ინტერესის გათვალისწინებით

ყველა საგანს თავისი სპეციფიკა აქვს, თუმცა მჯერა, რომ რამდენიმე კვირაში ერთხელ მაინც შეიძლება ისეთ თემას მივადგეთ, რომელიც სახალისო დავალების მიცემის შთაგონებას მოგვცემს. ბავშვებს მრავალმხრივი ინტერესები აქვთ, ზოგს ფეხბურთი უყვარს, ზოგს – ანიმე, ზოგს – ხატვა ან ვიდეოთამაშები, თუმცა უნივერსალური

რამეებიც არსებობს. მაგალითად, ყველას უყვარს მუსიკის მოსმენა. თუ ვთხოვთ, რომ გაკვეთილის თემა თავიანთ ინტერესებს დაუკავშირონ და ინსტრუქციებით მარტივად მივახვედრებთ, რა ქნან, სიამოვნებით იმუშავენ იმაზე, რაც დავალებათ.

მაგალითად, ერთხელ ვთხოვე, კონკრეტულ თავში ნასწავლი სიტყვებისთვის გადაეხედათ და გაეხსენებინათ, რომელიმე ეს სიტყვა რომელიმე მათ საყვარელ სიმღერაში ხომ არ იყო ნახსენები. თუ იყო, ტექსტი ამოეწერათ და სიმღერა კლასში მოგვესმინა. რამდენიმე დღის წინ კი აღმოვაჩინე, რომ 2022 წლის ფეხბურთის მსოფლიო ჩემპიონატზე დაწერილი ერთ-ერთი სიმღერა შესანიშნავი რესურსია ქვეყნების ინგლისური დასახელებების დასასწავლად, განსაკუთრებით – კლასის იმ ნაწილისთვის, რომელიც ფეხბურთის აქტიური მაყურებელია.

„სამინელი დავალება!“ – გაისმის ხოლმე ზურგს უკანდან, როცა დაფაზე დავალების წერას ვიწყებ (ეს ტერმინი პირველად მე ვახსენე, მოეწონათ და აიტაცეს. ბავშვობაში, როცა გაუთავებლად ვიჯექი წიგნებთან, დედაჩემი საშინაო დავალებას „სამინელ დავალებას“ ეძახდა). „არ იქნება სამინელი, მხოლოდ 10 წუთს წაგართმევთ“, – მშვიდად ვაბრუნებ პასუხს და დანაპირებს ყოველთვის ვასრულებ, რადგან იმის გააზრება, რომ ჩემი საგნის გამო არავინ ისტრესება, პირველ რიგში, მე მგვრის შვებას. ამასთანავე, კლასში მუდამ იქნება, სულ მცირე, ერთი მოსწავლე, რომელიც ყოველდღე ვთხოვთ დამატებით ან ე.წ. არასავალდებულო დავალებას. მისთვის ამის მიცემა პრობლემა არ არის. დამატებითი დავალება სჯობს დამატებით სტრესს.

ახლა რომ ვუფიქრებ, წერილის დასაწყისში ნახსენები სავარჯიშო, ხელში ჩაბლუჯული ბურთისა და ფიზიკის პროექტის გარეშე, თავდაპირველი შინაარსითაც შეიძლება ჰგავდეს ბავშვებისთვის საშინაო დავალების მიცემას. თუ ჩვენ, მასწავლებლები და მოსწავლეები, განვიხილავთ როგორც გუნდი, რომელიც ერთ მიზანზე, განათლების მიღებაზე მუშაობს, მაშინ მართებულად, საშინაო დავალების ბურთის სროლისას დავრწმუნდეთ, რომ ბავშვი მზადაა დაიჭიროს, რომ სხვა ბურთი ნასროლი აქვს და ჩვენ პირისპირ დგას. უნდა დავრწმუნდეთ, რომ ჩვენც სწორად ვდგავართ, ბურთს სწორი კუთხით ვესვრით, ისეთი ძალით, რომ არც ხელიდან გაუვარდეს და არც თავზე გადაუფრინოს. ასე რამდენიმე ნაბიჯით უფრო მიუახლოვდებით მიზანს – განათლების მიღებას სტრესისა და დაძაბულობის გარეშე.





თემურ სუყაშვილი

# აქტიური მოქალაქეობის სწავლება პეტიციის შემუშავებით

**საკუთარი და სხვათა უფლებების დაცვა, ურბანული პრობლემების მოგვარება, გარემოსდაცვითი აქტივობები, ჩართულობა ადგილობრივი თვითმმართველობის საქმიანობაში, თემის ინფორმირება – იმ საკითხების არასრული ჩამონათვალია, რომლებზეც ახალგაზრდები სკოლიდანვე იწყებენ ფიქრს და გადაჭრის გზების პოვნას ცდილობენ.**

დავიწყეთ დილემით: როგორ ვასწავლოთ მოსწავლეებს მონაწილეობა ადგილობრივი ხელისუფლების საქმიანობაში?

გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოქალაქეთა ჩართულობა დემოკრატიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრინციპია. მისი გაძლიერება ძალიან მნიშვნელოვანია ადგილობრივ თვითმმართველობასთან დაკავშირებული პროცესებისა და საკითხების არსებითი გაუმჯობესებისთვის.

დემოკრატიული პრინციპებიდან გამომდინარე, ცნობილია, რომ თუ გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართულია ბევრი ადამიანი და გათვალისწინებულია მათი აზრი, ეს, ერთი მხრივ, ზრდის საქმიანობაზე კონტროლის ხარისხს, მეორე მხრივ კი ლეგიტიმურობას მატებს თვითმმართველი ორგანოების მიერ გადადგმულ ნაბიჯებს. შედეგად, გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართული მოქალაქეების მიერ განხორციელებული კონტროლით ადგილობრივი თვითმმართველობის ეფექტიანობა სავრძნობლად მაღლდება.

დავსვათ კითხვა: რა არის საჭირო აქტიური მოქალაქის ჩამოსაყალიბებლად? ხარისხიანი განათლება? კარგი პროგრამები და სახელმძღვანელოები თუ უფრო მეტი?

აქტიურ მოქალაქედ მხოლოდ თეორიული ცოდნით ვერ ჩამოვყალიბდებით, ამიტომ მნიშვნელოვანია, ეს ცოდნა პრაქტიკაში გამოვცადოთ. სასკოლო სივრცე და გარემო სწორედ ის ადგილია, სადაც ახალგაზრდამ უნდა შეიძინოს აქტიური მოქალაქისთვის დამახასიათებელი უნარ-ჩვევები.

საკუთარი და სხვათა უფლებების დაცვა, ურბანული პრობლემების მოგვარება, გარემოსდაცვითი აქტივობები, ჩართულობა ადგილობრივი თვითმმართველობის საქმიანობაში, თემის ინფორმირება – იმ საკითხების არასრული ჩამონათვალია, რომლებზეც ახალგაზრდები სკოლიდანვე იწყებენ ფიქრს და გადაჭრის გზების პოვნას ცდილობენ.

თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის

სამართლებრივი მექანიზმები მოცემულია ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსში. კოდექსის 85-ე მუხლის მეოთხე პუნქტის მიხედვით, ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის ფორმებია:

- 🟢 დასახლების საერთო კრება;
- 🟢 პეტიცია;
- 🟢 სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო;
- 🟢 მუნიციპალიტეტის საკრებულოს და მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის სხდომებში მონაწილეობა;
- 🟢 მუნიციპალიტეტის გამგებლის/მერის და მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშების მოსმენა.

მოქალაქეობის/სამოქალაქო განათლების სასწავლო დისციპლინა, თეორიულ ცოდნასთან ერთად, პრაქტიკულ საქმიანობაში ჩართვის საშუალებასაც იძლევა. ამ დროს მოსწავლე ამჩნევს, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის საქმიანობაში



მონაწილეობა არ არის მხოლოდ ფურცელზე დაწერილი უფლება და პრაქტიკაში მისი რეალიზება შესაძლებელია.

**პეტიცია როგორც ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის ფორმა**

უცხო სიტყვათა ლექსიკონში „პეტიცია“ განმარტებულია როგორც წერილობითი კოლექტიური თხოვნა ხელისუფლების უმაღლესი ორგანოსადმი, მთავრობის მეთაურისადმი, კოლექტიური შუამდგომლობა. დღეს ის გამოიყენება როგორც ადგილობრივი, ისე ცენტრალური ხელისუფლებისადმი კოლექტიური განცხადებების სახით. მოსწავლეებმა სკოლაში შეიძლება პეტიციით მიმართონ

დირექტორს, სამეურვეო საბჭოსა და პედაგოგიურ საბჭოს.

მოქალაქეობის/სამოქალაქო განათლების კურსის ფარგლებში ისწავლება ადვოკატირების ინსტრუმენტები. პეტიციის შედგენა და შესაბამის ორგანოში წარდგენა არის ის, რისი სწავლებაც სკოლიდანვე შესაძლებელია.

პეტიციაზე მუშაობის პროცესი პირობითად შეიძლება დავყოთ ეტაპებად:

1. საკითხის დასმა/პრობლემის იდენტიფიცირება;
2. საკითხის/პრობლემის მოგვარებაზე პასუხისმგებელი ორგანოს განსაზღვრა;
3. პეტიციის ტექსტის შემუშავება;
4. ხელმოწერების შეგროვება;
5. პეტიციის წარდგენა უფლებამოსილ ორგანოში და განხილვებში მონაწილეობა.

ქალაქ მარნეულის N2 და N5 საჯარო სკოლების მოსწავლეებმა, კვლევის შედეგად, მუნიციპალიტეტში „სოციალური კარადის“ განთავსების საჭიროება დაინახეს. შემდეგ შეადგინეს პეტიციის ტექსტი, შეაგროვეს ხელმოწერები და მიმართეს მუნიციპალიტეტის მერიასა და საკრებულოს. განცხადება განხილვის ეტაპზეა.

**სად და როგორ შევქმნათ პეტიცია?**

საქართველოში მუნიციპალიტეტების უმრავლესობა საკუთარ ვებგვერდზე პეტიციის ელექტრონული სახით დამატებისა და გაგზავნის პლატფორმას ვეთავაზობს. გარდა ამისა, არსებობს რამდენიმე ვებგვერდი, სადაც შესაძლებელია პეტიციის განთავსება და ხელმოწერების შეგროვება. მაგალითად:



**პეტიცია**

ჩვენს მუნიციპალიტეტში და უზუალოდ ქალაქ მარნეულში უამრავი უვიფროსად გაჭირვებული ოჯახია. ასეთი ოჯახების უზრავლებობას არ აქვს ფინანსური შესაძლებლობა, რომ შეიძინონ ესა თუ ის ნივთი (მაგ. ტანსაცმელი, საკაფელარო ნივთები, სათამაშოები და სხვ).

ამუდგროვლად მოსახლეობა ხშირად ყრის ნივთებს, რომლებიც აღარ სჭირდებათ. ამ დროს, ქალაქში ცხოვრობენ ადამიანები, რომლებსთვისაც ჩვენს მიერ ვადაწარმოო ნივთები შეიძლება იყოს შეტად ღირებული.

ამიტომ ჩვენ, ქვემოთ ხელმოწერნი მოგმართავთ თხოვნით რომ ქალაქ მარნეულში მოეწყოს „სოციალური კარადა“.

„სოციალური კარადა“ ეს იქნება საჯარო სივრცე, სადაც ჩვენს მაცხოვრებლები დიდიხდები ჩვენთვის არ სჭირო ნივთებს. აღნიშნული ნივთების წაღება და სარგებლობა შეეძლება ნებისმიერ პირს.

„სოციალური კარადის“ პროექტი მოქალაქეებს დაეხმარება ემსათიისა და თანაზროვნის უნარების განვითარებაში. ამ ელლავრის გამოვიდილება არსებობს მხოფლიის სხეადსხვა ქვეყნებში (მაგისტრალი, დანია და ა.შ.) და საკნოდ წარმატებულია.


პატივისცემით.

დღეს საზოგადოება  
 ნელ-ნელა  
 იაზრებს,  
 რომ ერთობლივი  
 ძალისხმევით  
 შესაძლებელია  
 ცვლილებების  
 განხორციელება.  
 რაც უფრო მეტია  
 მოქალაქეთა  
 ჩართულობა,  
 მით მეტი  
 ანგარიშვალდე-  
 ბულებაა  
 ადგილობრივ  
 ხელისუფლებასა და  
 მოსახლეობას  
 შორის.

www.manifest.ge  
 www.ichange.gov.ge  
 www.change.org  
 (საერთაშორისო)

საქართველოში, საბჭოთა  
 წარსულის გათვალისწინე-  
 ბით, ადგილობრივი თვითმ-  
 მართველობის საქმიანობაში

შესაძლებელია ცვლილებების  
 განხორციელება. რაც უფრო მე-  
 ტია მოქალაქეთა ჩართულობა,  
 მით მეტი ანგარიშვალდეზულე-



გარდა ელექტრონული პეტი-  
 ციებისა, შესაძლებელია ტრ-  
 დიციული წესით ხელმოწერე-  
 ბის შეგროვება და შესაბამის  
 ორგანოში წარდგენა.

მოქალაქეთა ჩართულობის  
 საკითხი განცხადებების წერით  
 შემოიფარგლებოდა. დღეს სა-  
 ზოგადოება ნელ-ნელა იაზრებს,  
 რომ ერთობლივი ძალისხმევით

ბაა ადგილობრივ ხელისუფლე-  
 ბასა და მოსახლეობას შორის.



# უსაფრთხო „მგზავრობის“ აკოლოგია



მაია იანტელიძე

ილია ჭავჭავაძის „მგზავრის წერილები“

„მგზავრის წერილები“ ილია ჭავჭავაძის პიროვნული თუ შემოქმედებითი კრედოს მატარებელი ნაწარმოებია. მასში ავტორისთვის ჩვეული სააზროვნო სიღრმით ნაჩვენებია ის მოქალაქეობრივი ენერგია და ბრძოლისუნარიანობა, ეროვნული მუხტი, რომელიც სათქმელს დიაპაზონსა და მასშტაბს განუვრცობდა. ეს ნაწარმოები ცრემლიანი ჰიმნია სიცოცხლის მარადიულობისა, მისი უწყვეტი წრებრუნვისა.

ჭაბუკი ილია, რუსეთიდან პირველად დაბრუნებული, გზაში თერგს, არაგვის ქალებს ესიყვარულედა. ასე ამეტყველდა მისი „ჭკვიანი“, საბოლოოდ კი სამშობლოს შეწირული გული, ყალიბი და მდინარეა მიეცა იმ დიდ ენერგეტიკას, შეუპოვარ შფოთვარებას, მოძრაობის ფილოსოფია რომ მიიჩნია სიცოცხლისთვის აზრისა და მნიშვნელობის მიმცემად და ასეთ უნივერსალურს, სიცოცხლისუნარიანსა და მარად თანამედროვეს რომ ხდის ილია ჭავჭავაძის შემოქმედებას.

„დალოცა ღმერთმა ისევ თავზედ ხელაღებული, გიჟი, გადარეული, შეუპოვარი და დაუმონავი, მღვრიე თერგი. შავის კლდის გულიდამ გადმომსკდარი მიდის და მიბლავის და აბლავლებს თავის გარეშემოსა. მიყვარს თერგის ზარიანი ხუილი, გამალებული ბრძოლა, დრტივინა და ვაი-ვაგლახი. თერგი სახეა ადამიანის ვალვიძებულის ცხოვრებისა, ამაღლევებელი და ღირსსაცნობი სახეც არის: იმის მღვრიე წყალში სჩანს მთელის ქვეყნის უბედურების ნაცარტუტა. მყინვარი კი უკვდავებისა და განცხრომის დიდებული სახეა: ცივია – როგორც უკვდავება და ჩუშია – როგორც განცხ-

რომა. არა, მყინვარი არ მიყვარს, მით უფრო, რომ მიუკარებლად მაღალია. ქვეყნის ბედნიერების ქვაკუთხედი კი ყოველთვის ძირიდან დადებულია, ყოველი შენობა ძირიდან ამაღლებულია, მაღლიდან კი შენობა არსად არ დაწყებულია. ამიტომაც მე, როგორც ქვეყნის შვილს, თერგის სახე უფრო მომწონს და უფრო მიყვარს. არა, მყინვარი არ მიყვარს: მისი სიცივე ჰსუსხავს და სითეთრე აბერებს! მაღალიო! რად მინდა მისი სიმაღლე, თუ მე იმას ვერ ავწვდები და ის მე ვერ ჩამომწვდება. არა, არ მიყვარს მყინვარი. მყინვარი დიდ გეტეს მაგონებს და თერგი კი მრისხანე და შეუპოვარს ბაირონსა. ნეტავი შენ, თერგო! იმითი ხარ კარგი, რომ მოუსვენარი ხარ. აბა პატარა ხანს დადგე, თუ მყრალ გუბედ არ გადაიქცე და ეგ შენი საშიშარი ხმაურობა ბაყაყების ყიყინზედ არ შეგეცვალოს. მოძრაობა და მარტო მოძრაობა არის, ჩემო თერგო, ქვეყნის ღონისა და სიცოცხლის მიმცემი...“


– შინაგან მღელვარებასთან ერთად, აქ მტკიცენულად მეტყველი დუმილიცაა, მთელი სიცოცხლე რომ აწუხებდა, თან სდევდა ილიას, სიყვარული, „განდეგილში“ რომ ფილოსოფიურად გაღრმავდა, განივრცო და დვრიტა სიცოცხლისა, რომელსაც ჩვენი ბედკრული, დაკნინებული ქვეყანა უნდა გადაერჩინა.

ლელთ ლუნია განუმეორებელი თვითმყოფადობის, დაუვიწყარი სულიერი სიღრმისა და პიროვნული ნამდვილობის, სიმართლის მატარებელი პერსონაჟია. „მგზავრის წერილები“, ილიასა და ლელთ ლუნისა დიალოგი შეიძლება შევადაროთ ჩაადავეის „ფილოსოფიურ წერილებს“, რომლებსაც გერცენმა „შუალამისას გასროლილი თოფის

**იშვიათია, რომ ადამიანი წმინდანად იქცეს არა მხოლოდ ცხოვრებით, არამედ მონამეობრივი აღსასრულითაც. ილია ბოლომდე ერთგული დარჩა თავისი მშვენიერი ნაწარმოებისა „მგზავრის წერილები“, რომელიც მისი შემოქმედებითი მოღვაწეობის დასაწყისია.**

ხმა“ უწოდა. ასეთივე შემაშფოთებელ-გამომაფ-  
ხიზლებელი როლი უნდა ეთამაშა ახალგაზრდა  
ილიას ამ ნაწარმოებსაც.

ილიას იტაცებს მშფოთვარე, მრისხანე და დაუდე-  
გარი სახე ბაირონისა, მისი პოეზიისთვის დამახა-  
სიათებელი ბრძოლის, გამუდმებული დინამიკის  
სულიკვეთება. თუკი „გულცივი“ გოეთე ბოლოს  
იქამდე მივიდა, რომ ფაუსტს ათქმევინა: „შრომა



– აი, უკანასკნელი სიტყვა ჩვენი სიცოცხლისა.  
მხოლოდ იგია ღირსი სიცოცხლისა და თავისუფ-  
ლებისა, ვინც ყოველდღე იბრძვის სიცოცხლისა  
და თავისუფლების მოსაპოვებლად“, – ილიაც  
ერის განვითარების მსგავს კონცეფციას  
ემხრობა, ენერგიით, ცხოვლად: სწორედ ეს  
ხალისი და მოქმედება აკლია მის მამულსაც

(„ო, ღმერთო ჩემო, სულ ძილი, ძილი“), რადგან  
უიმედობა – ფიზიკური თუ სულიერი, ლუარსაბი-  
სეული – ტრავიკულიცაა და უბედურების, სიკვ-  
დილის მომტანიც. წუთისოფელი არავის აპატიებს  
„თვალის მოხუჭვას“, ამიტომ ცხოვრებას კი არ  
უნდა ჩამორჩე ან ანდეგნო, უნდა გაუსწრო კიდევ,  
აჯობო.

„ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნესო“ – ფილო-  
სოფია მელანქოლიურიცაა, თავისი თითქოს  
უტოპიურობით ჩვენისთანა პატარა ერისთვის,  
რომელიც ფიზიკური გადარჩენისთვის მთელი თავისი  
ისტორიის განმავლობაში ძლიერ მფარველს  
ეძებდა. ის „მფარველი“ კი ან სულს სთხოვდა, ან  
საკრალურ „სხეულს“. მაგრამ აქ სწორი გაგებაა

მთავარი. ჩვენი თავი ჩვენივე ფასეულობებია, „ჩვეულებებისაებრ მამულისა სვლა“, რამაც ჩამოაყალიბა, განავითარა და დღემდე მოიტანა ქართული ქრისტიანული ცივილიზაცია. ისევე, როგორც „ბებერი“ ევროპისთვის უმნიშვნელოვანესია მისი კონსერვატიულობა, ტრადიციულობა, რომელსაც ყოველთვის უნდა დაუბრუნდეს, რომ დეკადენსისგან თავი გადაირჩინოს.

„მგზავრის წერილებში“ ერთი საინტერესო პერსონაჟიცაა, რომელიც რუსი ერის ფსიქოტიპის, სულიერი წყობისა და მსოფლმხედველობის

გამოთქმული სამოქმედო პროგრამა, გამოკვეთილი კარდინალური პრობლემით, აზრს რომ აძლევდა მათ ყოველგვარ საქმიანობას. ეს იყო ეროვნულობა, დამოუკიდებლობისა და თავისუფლების მოპოვების კონცეფცია, გზა, გარაუდდი, დაუოკებელი სურვილი, რომელიც ყოველთვის წარმოადგენდა ჩვენი ერის სასიცოცხლო მიზანს, გამოხატვის ფორმასა თუ მოქმედების პერსპექტივას: მოუღლე ბრძოლას თვითგადარჩენისთვის. „არა, წარიღეთ ეს ბნელი და მშვიდობიანი ღამე თავის ძილითა და სიზმრებითა და მომეცი მე ნათელი და მოუსვენარი დღე თავის ტანჯვითა,

**„მგზავრის წერილები“ ილია ჭავჭავაძის პიროვნული თუ შემოქმედებითი კრედოს მატარებელი ნაწარმოებია. მასში ავტორისთვის ჩვეული სააზროვნო სიღრმით ნაჩვენებია ის მოქალაქეობრივი ენერჯია და ბრძოლისუნარიანობა, ეროვნული მუხტი, რომელიც სათქმელს დიაპაზონსა და მასშტაბს განუვრცობდა. ეს ნაწარმოები ცრემლიანი ჰიმნია სიცოცხლის მარადიულობისა, მისი უწყვეტი წრებრუნვისა.**

პაროდინებული, მაგრამ ზუსტი მოდელია. ეს არის რუსი ოფიცერი, რომლის „სახის მეტყველება ამჟღავნებდა, რომ ღვინოსა და არაყს ძალიან დაახლოვებით იცნობდა. თვალად ერთი ოცდაათის წლისას ჰგვანდა. ზედ ეტყობოდა, რომ მგზავრი არ იყო“. თუმცა იგი რუსეთის ისტორიის „მგზავრია“, ეროვნული ხასიათის გამოხატულება, მეშჩანური, მდაბიური ამპარტავენებით, პეტერბურგი მხოლოდ რუსეთის კი არა, სამყაროს გული რომ ჰგონია („ბარაქალა მართლმადიდებელ რუსეთს! სახელი და დიდება! საცა ფეხს შესდგამს, დაამყარებს ხოლმე ცივილიზაციას“), განათლების დონეს გენერლების რაოდენობით რომ საზღვრავს, შაქრის ქურდების წინააღმდეგ სამი ბუზის „ფილოსოფია“ რომ შეუმუშავებია, ქართველებზე მისი წარმოდგენა ლერმონტოვის ფრაზას „нежли понкие прызины“ რომ ვერასდროს გასცდება და თავმდაბლობა, დიდ ჰუმანიზმს რომ უძღვის წინ, „არც დასიზმრებია“. ნათლად წარმოგვიდგება ამ ერის დღევანდელი, რომელსაც ვერაფერი შემატა ღვთისაგან დიდ წყალობად ნაბოძებმა მე-19 საუკუნემ, ჩვენთვის თუ დოსტოევსკიმ.

„მგზავრის წერილები“ ერთგვარი მანიფესტი იყო, „თერგდალეულთა“ მხატვრულ ქარგაში

წვალებითა, ბრძოლითა და ვაი-ვაგლახითა!“ – ეს „დღის“ ფილოსოფია ილიას შემოქმედებაში მარტივად არ მიიღწევა და ხორციელდება. ის გულის სისხლს მოითხოვს ქართულ სინამდვილეში. მანაც, იმის დასტურად, რომ წერდა იმას, რაც სწამდა, რასაც ესწრაფოდა, გაიღო სისხლი: იღვაწა და აღესრულა ისე, როგორც ეკადრებოდა დიდ ქართველ მწერალსა და ერისკაცს, რომლისთვისაც „მამულიშვილობა მსხვერპლია და არა სეირი“. იშვიათია, რომ ადამიანი წმინდანად იქცეს არა მხოლოდ ცხოვრებით, არამედ მოწამეობრივი აღსასრულითაც. ილია ბოლომდე ერთგული დარჩა თავისი მშვენიერი ნაწარმოებისა „მგზავრის წერილები“, რომელიც მისი შემოქმედებითი მოღვაწეობის დასაწყისია.





ნატასია არაბული

# რას ნიშნავს, როცა ბავშვს რალაცის სწავლა არ უნდა

**როცა ბავშვი რალაცის სწავლაზე ან კეთებაზე უარს ამბობს, ეს თითქმის ყოველთვის უფროსების ბრალია – ჩვენ ვერ ვუხსნით მათ საკმარისად მკაფიოდ, რისთვის ჭირდება ესა თუ ის ინფორმაცია, დისციპლინა და უნარები, ჩვენ ვერ ვპოულობთ მათთვის გასაგებ ენას ცოდნების გადასაცემად.**

ინტუიცია ჯერ ჯიღევ ჩემს ბავშვობაში მეუბნებოდა, რომ როცა რალაცას ვერ ვსწავლობდი, ეს ყოველთვის იმას არ ნიშნავდა, რომ ამ რალაცის სწავლა არ მინდოდა, მაგრამ ახლა, ჩემი შვილების და მათი მეგობრების შემყურეს სრულიად დარწმუნებით შემიძლია ვთქვა, რომ როცა ბავშვი რალაცის სწავლაზე ან კეთებაზე უარს ამბობს, ეს თითქმის ყოველთვის უფროსების ბრალია – ჩვენ ვერ ვუხსნით მათ საკმარისად მკაფიოდ, რისთვის სჭირდება ესა თუ ის ინფორმაცია, დისციპლინა და უნარები, ჩვენ ვერ ვპოულობთ მათთვის გასაგებ ენას ცოდნების გადასაცემად. არც თუ იშვიათად, შეცდომასაც ვუშვებთ და ბავშვებს ვკიდებთ პასუხისმგებლობას იმაზე, რის სწავლასაც ვერ ახერხებენ, ვარწმუნებთ რომ ეს მათ არ შეუძლიათ, ეს მათთვის არ არის და თითქმის არასოდეს ვმსჯელობთ იმაზე, რას ვერ ვახერხებთ ჩვენ, უფროსები, რა არ გამოგვივიდა ჩვენ ბავშვებთან ურთიერთობაში.

**მაგალითი #1:** დიდხანს ვითრევედი ფეხს, მიმეყვანა თუ არა მუსიკალურ სკოლაში ჩემი უფროსი შვილი, რომელიც ნაზგასმით მუსიკალური ადამიანია. ჩემ შემთხვევაში მუსიკის გაკვეთილებზე გატარებული დრო დაკარგული დრო აღმოჩნდა და არ მქონდა იმის იმედი, რომ ამ ოც წელიწადში მნიშვნელოვნად შეიცვალა ან სწავლების მეთოდები, ან მუსიკალური სკოლების აურა. ბოლოს გადავწყვიტე, რომ ჩემი ცუდი გამოცდილება სხვა ადამიანის ბედის განმსაზღვრელი არ უნდა ყოფილიყო, მივიყვანე და ყველა ის შიში ამიხდა, რაც იმ შენობაში მისვლამდე მქონდა. ძველი ინსტრუმენტები, Школа Игры

სახელმძღვანელოდ და ძალიან, ძალიან მოხუცი და დაღლილი მასწავლებელი სოლფეჯიოსთვის. როცა ჩემმა შვილმა მითხრა, რომ მუსიკაზე აღარ ივლიდა, მისი გადარწმუნება არ მიცდია, თუმცა გული დამწყდა, რომ ისევ ვერ შეასრულა სახელოვნებო სკოლამ მისი ფუნქცია. მუსიკალური სკოლიდან გამოსვლის შემდეგ, რამდენიმე თვეში ინტერნეტში მოძებნა თავისი საყვარელი ფილმების საუნდტრეკების ნოტები, პიანინოს კლავიშები მარკერებით დანომრა და ახლა მარტო და დაულალავად ცდილობს ისწავლოს იმის დაკვრა, რაც მოსწონს და უყვარს. რთულია იმის თქმა, რატომ არ არის მუსიკალური სასწავლებლები საინტერესო თანამედროვე ბავშვებისთვის ან რამ განაპირობა ჩვენი ასეთი გამოცდილება. იქნებ ჩემმა შიშებმა და წინასწარმა განწყობამ, ან მასწავლებლების დაბალმა ხელფასმა და მოტივაციამ? შეიძლება იმან, რომ ამ სივრცეებში არასოდეს არავის უფიქრია იმაზე, რა ინტერესებთ თანამედროვე ბავშვებს, როგორ მუსიკას უსმენენ და როგორ ამუშავებენ ინფორმაციას? ან სულაც იმან, რომ ძალიან მწირი და ცალსახა სწავლების მეთოდები და კომპლექსურად მუსიკის აღქმა და შესწავლა ამ პროგრამების მიზანი არ არის. გააზრებული გვაქვს ის, რომ მუსიკა არც მხოლოდ ლამაზი მელოდიაა და არც მხოლოდ კარგი საშემსრულებლო ტექნიკა, რომ ეს კომუნიკაციის ფორმაა, სათქმელის გამოხატვის ფორმა და ამ ენის ასათვისებლად მოსმენის უნარი, ნათელი გონება და დაულალავად მუშაობის პრაქტიკააა საჭირო?

**მაგალითი #2:** ჩემი შვილები ბევრად ნაკლებ წიგნს კითხულობენ, ვიდრე მე ვკითხულობდი მათ ასაკში და ეს ამბავი, რომ ვთქვა, არ მალეღვებს, მართალი არ ვიქნები. წიგნებთან მეგობრული ურთიერთობის შესანარჩუნებლად რამდენიმე რიტუალი გვაქვს: ძილის წინ მე ვუკითხავ, პერიოდულად აუდიო წიგნებს უსმენენ, სკოლაში კითხვის საათი აქვთ, მაგრამ ის სურათი, რასაც ვისურვებდი დამენახა, წიგნში მთელი არსებით ჩაფლული ბავშვი, არ ჩნდებოდა მანამ, სანამ მანგებს აღმოაჩენდნენ. მანგა კომიქსის იაპონური შესატყვისია და ის ამბებიც, რომლებსაც სულმოუთქმელად ნთქავენ, ძირითადად იაპონელი

სკოლაც, ოჯახიც და ყველა საგანმანათლებლო მიზნის დაწესებულებაც უნდა ფიქრობდეს იმაზე, რომ თანამედროვე ბავშვებისთვის ნაბეჭდი წიგნი მხოლოდ ერთი მედიუმი, რომლის პარალელურადაც ფორმალური თუ არაფორმალური საგანმანათლებლო მასალები არსებობდეს ვიდეოთამაშების, აუდიო წიგნების, კომიქსების, "იქსფლენინერების", სერიალების სახითაც - საბოლოოდ ალბათ ის ამბები შეინარჩუნებს სიცოცხლეს და ის ისტორიები იქნება ცნობილი ამ ბავშვებისთვის, რომლებიც ბევრ სხვადასხვა ფორმატში გადაკონვერტირდება.

**მაგალითი #3.** რამდენიმე კვირის წინ ერთი სრულიად შესანიშნავი გოგო გავიცანი, 16 წლის



ავტორების ინგლისურენოვანი ისტორიებია, რომლებიც ჩემგან დამოუკიდებლად იპოვეს ანიმებით და იუთუბზე ამ სუბკულტურის გარშემო გაერთიანებული კომუნის განხილვების სმენით. მანგების შემოჭრის შემდეგ მივხვდი, რომ მხოლოდ კარგი ამბავი საკმარისი აღარ არის, კარგი ამბის ბევრ მედიუმში გადატანის ხელოვნებას უნდა ფლობდეს ამბების გამავრცელებელი იმისთვის, რომ ბავშვების გული მოიგოს.

დამოუკიდებელი, სხარტი, ყოჩალი ადამიანი ნათელი გონებით და თვალეში ნაპერწკლებით. ამ კარგმა გოგომ სკოლაში სწავლა მეცხრე კლასში შეწყვიტა და მუშაობა დაიწყო იმით იმედგაცრუებულმა, რომ მასწავლებლები არასოდეს უჯერებდნენ კარგად შესრულებულ დავალებებზე, რომ ეს ნამდვილად მან შეძლო, არასოდეს ეკითხებოდნენ, ჰქონდა თუ არა გაკვეთილი ნასწავლი და იმასაც „გაგებით ეკიდებოდნენ“ ბოლო მერხზე რომ

**ზოგჯერ არსწავლის მიზეზი შეიძლება განვითარების განსხვავებული დინამიკა, ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემები იყოს და ამასთან გამკლავება მარტოს გაგიჭირდებათ.**

იჯდა ბოლო კლასებში ყურსასმენებით სასწავლო პროცესიდან დემონსტრაციულად გათიშული. როცა სკოლის ამბებს მიყვებოდა, ვერაფრით ვიპოვე ჩემში ძალა, მეთქვა, რომ იქნებ მაინც ღირდა სკოლა არ მიეტოვებინა – ასეთ სკოლაში სიარული თავის მოტყუებაა და ცოტა შეურაცხყოფაცაა, მაგრამ იგივეს ფიქრობენ კი ის მასწავლებლები, რომლებმაც ამ გოგოსაც და ალბათ სხვა ბავშვებსაც წაართვეს შესაძლებლობა, სკოლაში კარგი განათლება მიეღო, თავი საზოგადოების სრულფასოვან წევრად ეგრძნო და თავისი შესაძლებლობები მაქსიმალურად გამოეყენებინა?

**მაგალითი #4.** სწავლას მოტივაცია სჭირდება და იმის რწმენა, რომ ესაა გზა უკეთესი ცხოვრებისთვის, სამყაროს შეცნობისთვის, ადამიანებთან საერთო ენის გამოსანახად, ოცნებების ასახდენად. როცა ბავშვებს ვასწავლით, რომ „თუ კაცსა ცოდნა არა აქვს, გასტანჯავს წუთისოფელი“, ისეთი წესრიგი გეჭირდება არ გუმენტად, სადაც მთავარი კაპიტალი განათლება, გამოცდილება, კეთილსინდისიერება და სიმართლეა, შესაბამისად პროტექციონიზმი, ნეპოტიზმი და კონფორმიზმი სამარცხვინოდ ითვლება. ყველგან, სადაც გადაწყვეტილებები მიიღება, ეს უნდა ახსოვდეთ; ყველას, ვინც ბავშვებთან დაიჭერს საქმეს, უნდა სწამდეს თანასწორობის იდეის და იმის, რომ ადამიანი მხოლოდ მისი გაკეთებული საქმეებით ფასდება.

ეს წერილი მხოლოდ პირადი მაგალითების კრებულად რომ არ დარჩეს, აქვე გთავაზობთ სპეციალისტების მოსაზრებებს იმაზე, რა უნდა ვქნათ, როცა ბავშვს რაღაცის სწავლა არ უნდა:

- გაითვალისწინეთ ბავშვის ინტერესები. სწავლების პროცესში მაქსიმალურად უნდა იყოს გათვალისწინებული მისი უნარები და ინტერესები, ამბები და მოვლენები მისთვის საინტერესო ხედვის კუთხიდან უნდა იქნას მიწოდებული.
- სწავლა არ უნდა იყოს სტრესული – ყველას უნდა მისი შვილი ან მოსწავლე საუკეთესო იყოს, მაგრამ ეს სურვილი არ უნდა იქცეს ბავშვისთვის ტვირთად და სევდად.

- გააღვიძეთ ცნობისმოყვარეობა. ყველაფერი, რაც არ გაინტერესებს, ადრე თუ გვიან გავიწყდება. რაიმეს სწავლებზე მნიშვნელოვანი ხშირად იმის ახსნაა, რატომ არის ამ რაღაცის სწავლა საინტერესო, რატომ ეხება ეს მას, რაში გამოიყენებს ამ ცოდნას, როგორ გაერთობა ამ პროცესით.
- იყავით მისი პარტნიორი და მეგობარი, თუ შეძლებთ როლური მოდელიც. არც ერთ ბავშვს არ სჯერა გაუნათლებელი უფროსის, რომელიც სწავლის მნიშვნელობაზე ელაპარაკება ან მშობლის, რომელიც აიძულებს წაიკითხოს 15 წიგნი არდადეგებზე მაშინ, როცა თვითონ წლებია წიგნი ხელში არ აუღია. აჩვენეთ ბავშვებს, რომ თქვენც მუდმივად ზრუნავთ თვითგანვითარებაზე, თქვენც გაქვთ ინტერესები, თქვენც ბევრი რამ არ იცით და ყოველთვის მზად ხართ მიიღოთ ახალი ცოდნა და რატომაც არა, ზოგჯერ ეს ერთადაც შეგიძლიათ გააკეთოთ.
- არ გამოგეპაროთ მომენტი, როცა პროფესიონალის დახმარება შეიძლება იყოს საჭირო: ზოგჯერ არსწავლის მიზეზი შეიძლება განვითარების განსხვავებული დინამიკა, ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემები იყოს და ამასთან გამკლავება მარტოს გაგიჭირდებათ.





# მასწავლებლის სახე ალბერ კამიუს „სტუმარში“



მაკა სახურია

ალბათ მეგილიონედ ვკითხულობთ და ვეკითხებით ერთმანეთს: მაინც როგორი უნდა იყოს მასწავლებელი? გარდა ცოდნის გადაცემის მისიისა, კიდევ რა როლი უნდა შეასრულოს მან მოსწავლის ცხოვრებაში? ვფიქრობ, ამ კითხვას პასუხობს ალბერ კამიუს მოთხრობა „სტუმარი“, რომელიც ყველა მასწავლებელმა უნდა წაიკითხოს.

ამასწინათ თბილისის კლასიკური გიმნაზიის დირექტორი ფეისბუქზე წერდა, რომ კაბინეტში რამდენიმე მეშვიდეკლასელი ესტუმრა. დირექტორი მოეშობა და რამე პრობლემის, ნებართვის, ან სათხოვრის მოსასმენად, მაგრამ ბავშვებმა უთხრეს, რომ მსგავსი არაფერი აწუხებდათ, უბრალოდ მოუნდათ, რომ დირექტორს ჩახუტებოდნენ, ეთქვათ მისთვის, რამდენად ძვირფასი იყო, რომ უყვარდათ, სურდათ სითბოს მიღება და გაცემა. ქალბატონმა თამარმა ჩაიხუტა ბავშვები და ემოციური პოსტიტი მიმართა თავის მოსწავლეებს, უთხრა, რომ მისი კარი ყოველთვის ღიაა ყოველი მათგანის მოსასმენად.

რამდენად ვართ ჩვენ მზად საიმიხოდ, რომ ჩვენი მოსწავ-

ლეებისთვის ვიყოთ საიმედო ადამიანები, თანამდგომნი, გამგებნი, მიმღებნი, მომფრებელნი? ბავშვებს ყველაზე მეტად ეს სჭირდებათ ჩვენგან. საგნის სწავლა მეორეხარისხოვანია, ყველას ყველა საგანი არ აინტერესებს, არც სურვილი აქვს და არც უნარები, რომ მაღალ აკადემიურ დონეზე ათვისოს პროგრამა. თუკი ბავშვი გრძნობს, რომ მასწავლებლის თვალში ის მხოლოდ წარუმატებელი მოსწავლე და კლასში ბალასტია, რომლის თავიდან მოშორებასაც ცდილობს ყველა, დამრიგებელიც, დირექციაც და თანაკლასელებიც, ეს მის დემოტივირებას იწვევს.

რატომ აყოლებს ჯერომ სელინჯერი თავის რომანში „კლდის პირზე ჭვავის ყანაში“ ჰოლდენ კოლფილდს პენსის პრივილეგიურებული სკოლიდან გარიცხვის ამბებს? ბიჭმა ოთხი საგანი „ჩააფლავა“, ამიტომაც სკოლას მისი თავიდან მოშორება სურდა. ჰოლდენისთვის ეს უკვე მეოთხე სკოლიდან გარიცხვა იყო. ბიჭს ამ სკოლების ადმინისტრაციისა და მასწავლებლებისადმი ნდობა სრულიად დაკარგული ჰქონდა, მისთვის სულერთი იყო მათი

შეფასებები, მათთან ურთიერთობა სრული სიყალბე იყო. როცა მისტერ სპენსერი მორალისტურ შეგონებებს ეუბნებოდა, ჰოლდენი მისგან თავის დაძვრენაზე ფიქრობდა, მიაჩნდა, რომ „თუკი ნაღდი მასწავლებელი რამეს ამოიჩემებს, თავისას ყოველთვის გაიტანს“. „გამოლმით ის იყო, გალმით – მე“, – ამბობს ჰოლდენი. ბიჭს არ აქვს მოლოდინი, რომ დირექტორს მისი მოსმენა, მიღება და გაგება შეუძლია, ამიტომ ამბობს: „მოდი, ახლა აუხსენი ამას, რატომ და რისთვის, მაინც ვერ გაიგებს“. ის თავიდან მოსაშორებლად ასეთ ტრაფარეტულ ფრაზას ეუბნება მისტერ სპენსერს: „უბრალოდ, ახლა ეგეთ დინებაში ვარ მოხვედრილი, ყველა ხვდება ხოლმე რაღაც დინებაში და თვითონ უნდა გამოაღწიოს იქიდან“. ჰოლდენს აღარ უნდა მისტერ სპენსერის სინდისის ქენჯნის გამოძახებული ტექსტების მოსმენა და არც მის მიერ მორთმეული ცხელი შოკოლადი, მისი გონება ნიუ-იორკის სენტრალ-პარკის სამხრეთით მდებარე გაყინულ ტბაზე მიუსაფრად დარჩენილ იხვებს დასტრიალებს. და სწორედ რომ მოყინულ ტბაზე უმწეოდ დარჩენილი იხვი

ალეგორიულად განასახიერებს გარშემომყოფთა უგულობით „სულგაყინულ“ მოსწავლეს, რომელმაც არც კი იცის, რა გზას უნდა დაადგეს.

„შეგებდით სიმართლეს თვალეში – მასწავლებლები გონებაჩლუნგების ხროვაა“, – ათქმევინებს თავის გმირს, კავკა თამურას, ჰარუკი მურაკამი. თუკი 15 წლის ბიჭი, გონიერი და გულიანი ადამიანი, ასე ფიქრობს, ცხადია, მასწავლებლები სცოდავენ...

ალბერ კამიუს „სტუმარში“ მოქმედება ალჟირში ხდება. დარუ ერთ-ერთი პროვინციის სკოლაში მასწავლებლად მუშაობს და იქვე ცხოვრობს. მისი ლატაკი მოსწავლეები პლატოზე გაფანტულ სოფლებში ცხოვრობენ და ოქტომბერში უეცრად თოვლი რომ მოვიდა, უამინდობის გამო სკოლაში აღარ დადიან. მასწავლებელი სკოლაში მარტო დარჩა. მთავრობა მას უზიდავს ხორბალს, რომ მოსწავლეების ოჯახებს გაუნაწილოს. ცხოვრება ამ ხრიკს ადგილას ჯოჯოხეთია, მაგრამ „დარუ აქ დაიბადა და სხვაგან რომ ეცხოვრა, გადასახლებაში ეგონებოდა თავი“. მასწავლებელი უდავოდ

**ალბათ მემილიონედ  
კვითხულობთ  
და ვეკითხებით  
ერთმანეთს: მაინც  
როგორი უნდა იყოს  
მასწავლებელი?  
გარდა ცოდნის  
გადაცემის მისიისა,  
კიდევ რა როლი  
უნდა შეასრულოს  
მან მოსწავლის  
ცხოვრებაში?  
ფეიქრობ, ამ  
კითხვას პასუხობს  
ალბერ კამიუს  
მოთხრობა „სტუმარი“,  
რომელიც ყველა  
მასწავლებელმა უნდა  
წაიკითხოს.**

მისიონერია. ალბათ მისიონერი ყოველი ადამიანია, მაგრამ, მასწავლებლისგან განსხვავებით, ყველას არ აქვს სამსახურეობრივი და მორალური ვალდებულება, რომ სხვებს მიუძღვნას თავისი ადამიანური რესურსები თუ უნარ-ჩვევები.

და აი, როცა სკოლა დაცლილი იყო მოსწავლეებისგან, დარუს მოხუცმა კორსიკელმა ჟანდარმმა ბალდუჩიმ ტყვედ მოუყვანა დამნაშავე არაბი, რომელსაც ნასესხები ხორბლის გამო გაჩაღებული კონფლიქტის დროს საკუთარი ბიძაშვილისთვის ნამგლით ყელი გამოეჭრა. გარშემო მიიანობის მოლოდინში იყო ყველა. ბალდუჩი ჩიოდა, რომ ელამერში პოლიციის მთელ დეპარტამენტს 12 კაცი იცავდა და რესურსი არ ჰყოფნიდათ, ამიტომაც გადაწყვიტეს, რომ ელამერიდან ტანგიტამდე დამნაშავეს მიყვანა დარუსთვის ეთხოვათ. მას ტყვესთან ერთად 20 კილომეტრი უნდა გაეგლო და დამნაშავე მართლმსაჯულებისთვის ჩაებარებინა. ბალდუჩი წუხდა, დამნაშავეს სოფელი დრტინავს და თანამოძმის გათავისუფლებას ითხოვს. თვითონ დამნაშავე ერთი უწყინარი, საწყალი ახალგაზრდა კაცი იყო, ძალიან ეშინოდა სამართალდამცველებისა. მის მზერაში შიში და მუდარა ირეკლებოდა. რას მიზამენ? – ეკითხებოდა მასწავლებელს. დარუს იმის გაგება აინტერესებს, ნანობს თუ არა დამნაშავე დანაშაულს. მასწავლებელი უარს ეუბნება ბალდუჩის ტყვის დატოვებასა და სამართალდამცველებისთვის გადაცემაზე. კი, ის მკვლელია, მაგრამ დარუსთვის ადამიანი იყო და არ სურდა მის გაცემაში მონაწილეობა. „ვერა, ვერ გავცემ!“ – ეუბნებოდა მასწავლებელი ჟანდარმს. თუმცა სხვა გზაც არ

იყო. დარუ ენდო მკვლელს. ღამე თავისთან დაიტოვა, შეკრული ხელები გაუხსნა, გულუხვად მიართვა სასმელ-საჭმელი. მოუხედავად ჟანდარმის გაფრთხილებისა, უიარაღოდ იყო მის გვერდით, არ შემინებია მის სიახლოვეს დაძინების. მეორე დილასაც კარგად ასაუბმა და გზას გაუყენა. მისთვის მომარაგებული ჰქონდა ფულიც, საკვებიც და როცა გზაგასაყართან დადგნენ, დარუმი ტყვეს ორი გზა აჩვენა, გზა, რომელიც აღმოსავლეთით, ტანგიტისკენ, ციხისკენ, მიდიოდა და მეორე გზა – სამხრეთისკენ, პლატოზე, საიდანაც მომთაბარეთა იალალები იწყებოდა და ტყვეს შეეძლო იქ ეპოვა თავშესაფარი. მასწავლებელმა სტუმარი ამ გზაგასაყარზე დატოვა და თავად სკოლაში დაბრუნდა. დაფაზე მის მიერ დახატულ საფრანგეთის მდინარეთა ხეყულებს შორის ვილაცას გაუწავავი ხელით წაეწერა: „შენ ჩვენი ძმა გაცი და იცოდე, გაზღვევინებ!“ მასწავლებელი მარტო იყო შურისმაძიებელი ბრბოს წინაშე, ხოლო იმ ბრბომ არც იცოდა, რა გააკეთა მასწავლებელმა მათი თანამოძმისთვის.

მოთხრობის იდეა სწორედ დარუს მიერ მკვლელისთვის შეთავაზებულ არჩევანთან არის დაკავშირებული. მასწავლებელმა დაინახა, რომ დამნაშავემ მართლმსაჯულების გზა აირჩია. დარუ ხედავდა, როგორ მიიბიჯებდა არაბი აღმოსავლეთისკენ: „დარუს გული შეეკუმშა, როცა ამ მსუბუქ ნისლში თვალი მოჰკრა არაბს, მიიმედ რომ მიიბიჯებდა ციხისაკენ მიმავალ გზაზე“.

ღირსეული მასწავლებელი მოსწავლეს იმპერატიულად კი არ კარნახობს გზასა და არჩევანს,

არამედ უთითებს, ასწავლის არჩევას თავისუფალი ნებით.

ნდობის მოპოვება, ღირებულებების სწავლება, ჰუმანიზმის, სიყვარულისა და თავისუფლების შეთავაზება, ცხოვრების გზის ჩვენება – მასწავლებლის საქმეა.

რევან ინანიშვილის ნოველა „შორ, თეთრ მწვერვალში“ ვხვდებით შინდელაშვილის მეოცნებე ბიჭს, რომელიც ფიქრებით თავისი სოფლის სანახებში დაფრინავს, ხოლო მასწავლებელს მისი არაფერი ესმის, მხოლოდ გრამატიკულ ნორმას ეკითხება. ბიჭს თვალეზში გაურკვევლობის ბურუსი უდგას, მასწავლებლის კომენტარი კი გამგმირავია. „ვაი, შენს პატრონს, უბედურს, ჰგონია სკოლაში გამოგზავნა შენც!“ – ზიზზით თქვა მასწავლებელმა, მაგიდიდან ბლოკნოტი აიღო და წითელი ავტოკალმით რაღაც ჩაინიშნა“. ასეთი მასწავლებლებიც არიან და არიან რეზო ინანიშვილის ნოველა „დამრიგების“ მთავარი გმირის მსგავსი ადამიანებიც, რომლებიც ცხოვრების გზის მანათობლად რჩებიან თავიანთი მოსწავლეებისთვის.

კამიუს „სტუმარი“ დარუს სახით გვთავაზობს იდეალური მასწავლებლის სახეს. მისთვის ღვთის მიერ გამოგზავნილი სტუმარია ყოველი ადამიანი, ყოველი მათგანში სიკეთის მარცვლების დანახვა სურს, სწამს ადამიანთა გაკეთილშობილების იდეისა. ძალაც შესწევს საიმისოდ, რომ გავლენა მოახდინოს, შეცვალოს, გააჯანსაღოს ადამიანთა სულები. ალბათ ეს არის მაღალი მისია მასწავლებლისა, რომლისთვისაც ღირს სიცოცხლეც და ენერჯის გაღებაც.



ძვირფასო მასწავლებლებო!  
ჟურნალი „მასწავლებელი“ და ინტერნეტგაზეთი „Mastsavlebeli.ge“ წარმოგიდგენთ

## მასწავლებლის წიგნს: „კვლევაზე დაფუძნებული სწავლება“



17

# მასწავლებლის წიგნი

კვლევაზე  
დაფუძნებული  
სწავლება

